№224 (12 294)
22 სექტემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარაგბო ფანტასტიკა

საქართველოს მეოთხედფინალში გასვლის შანსი აქვს!

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

ნიკოლოზ აბაშიძე

მსოფლიო თასის ერთადერთ გუშინდელ თამაშში საფრანგეთმა 25:3 დაამარცხა ირლანდია და პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა, ხოლო ირლანდიას შესაძლოა ძალიან ძვირად დაუჯდეს საქართველოს ნაკრებთან დაკარგული ერთი ქულა - მათ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების მხოლოდ თეორიული შანსი დარჩათ.

საქმეში გასარკვევად აქვე უნდა მოვიყვანოთ D ჯგუფის ცხრილი.

D ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
საფრანგეთი	3	2	0	1	124-30	2	10
არგენტინა	2	2	0	0	50-15	1	9
ირლანდია	3	2	0	1	49-52	1	9
საქართველო	2	0	0	2	13-47	1	1
ნამიბია	2	0	0	2	27-119	-	0

22 სექტემბერს: არგენტინა-ნამიბია
26 სექტემბერს: საქართველო-ნამიბია
30 სექტემბერს: საფრანგეთი-საქართველო
30 სექტემბერს: ირლანდია-არგენტინა

თუ დავუშვებთ, რომ ფრანგები 30 სექტემბერს დაამარცხებენ საქართველოს ნაკრებს და თან 4 ლელოს გაუტანენ, დაგროვებენ 15 ქულას. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ დღეს არგენტინა პრემიით მოუგებს ნამიბიას და 30 სექტემბერს, ირლანდიასთან თამაშს 14 ქულით შეხვდება. ამ ორი დაშვების შემდეგ (და ეს ყველაზე მოსალოდნელი შედეგებია) ირლანდია ვერანაირად ვერ გადაუსწრებს საფრანგეთს, ხოლო არგენტინასთან ხუთქულიან სხვაობას გააბათილებს ერთადერთ ვარიანტში - თუ ქულებით 5-0 აჯობებს (გაუტანს 4 ლელოს და არ გაატანინებს ამდენივეს, თან მოუგებს შვიდზე ქულაზე მეტით). მხოლოდ ასეთ, სრულიად არარეალურ ვარიანტში, ირლანდია პირადი მოგების ხარჯზე გადაასწრებს არგენტინას, ხოლო 10 ქულა რომ ჰქონოდა, მაშინ უბრალოდ 7 ქულაზე მეტით მოგებაც ეყოფოდა.

თუმცა, არგენტინა სულაც არ ფიქრობს ირლანდიელებთან დამარცხებას და არანაკლები მოტივაცია ექნება. 30 სექტემბერს მოგების შემთხვევაში არგენტინელები ჯგუფში პირველ ადგილზე გავლენ და მეოთხედფინალში ზელანდიასთან შეხვედრას აიცილებენ. ამ შემთხვევაში "ოლ ბლექსს" ფრანგები გადაეყრებიან ნაადრევად.

თუმცა, არის ერთი, ფანტასმაგორიული ვარიანტიც: მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი საქართველოს ნაკრებსაც შერჩა!

13

საფრანგეთი-ირლანდია 25:3. ვენსან კლერის ლელო

მსოფლიო ჩემპიონატებიდან რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მსოფლიო ჩემპიონი რამაზ ნოზაძე

ინტერვიუ რამაზ ნოზაძესთან

დამსახურებული საჩუქარი

ნიკოლოზ ნეფარიძე
ბაქოდან

მსოფლიო ჩემპიონი რამაზ ნოზაძე (იგივე ნანო) გამორჩეული კაცია, როგორც ხალიჩაზე, ისე მის გარეთ. მასთან ინტერვიუ მას შემდეგ ჩავწერეთ, რაც ნოზაძე მთელი შემართებით გულშემატკივრობდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოთარ თუშიშვილს. ოთარმა ბულგარელ პასლართან მართლაც ჩინებულად იჭიდავა და ნოზაძე ჯერ კიდევ ამ ბრძოლის ემოციის ქვეშ იყო

- ნახეთ, რა მაგრად იჭიდავა "თუშიმ"? რა წაგებული მატჩი შემოატრიალა, ნამდვილი ლომია..

- მეორე დღეა, რაც მსოფლიო ჩემპიონი გახდით და როგორც ვატყობთ, ემოციები ჯერ არ დამცხრალა.

- რა თქმა უნდა, ჯერ სად არის. დღესაც რომ მომეგო მსოფლიო ჩემპიონატი, ისევე გამოვხატავდი მოგებას. ტიტულის მოგება ისეთი რამეა, ცივად ვერ მიიღებ. სპორტსმენი ამდენი წელი შრომობს, იჭირვებს, ტრავმებსა და მეტოქეებს ებრძვის, ასევე სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს და ოქროს მოპოვება ერთგვარი საჩუქარივით არის, დამსახურებული საჩუქარივით. აბა, ამას მალე როგორ დაივიწყებ. ყველა შედეგი დიდი შრომის მერე მიიღწევა, სხვანაირად უბრალოდ არაფერი გამოვა.

- ისეთი შემართებით გულშემატკივრობდით, მგონი, ახლა გაცილებით მეტს ნერვიულობდით..

- მასეა, ძალიან დიდი სხვაობაა, ახლა უფრო ვინერვიულე. ხალიჩაზე თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. იქ რომ ასე აჰყვე ემოციებს, ყველა მატჩს წააგებ.

- მოდით, თქვენი ფინალური ორთაბრძოლა გავიხსენოთ..

- ფინალამდე ექვსი ორთაბროლის გამართვა მარტო მე მომიწია, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დამღლელია. მეტოქე კი უფრო დასვენებული იყო. ბრძოლის წინ არჩევნის წინაშე ვიყავი, ეგრევე შემეტია და ადვილად მომეგო (მაგრამ წაგების საფრთხეც არსებობდა), ან მეფრთხილა. მე მეორე ვარიანტი ავირჩიე...

11

ტრიუმფით დაწყებული ფიასკოთი დასრულდა

11

თავისუფალი ჭიდაობა: მხოლოდ ერთი ბრინჯაო და ორი ლიცენზია

ძალოსნობა

დღეს გიორგი ასანიძე გამოდის

10

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ჩემპიონატი

სექტემბერი ჩემპიონატი

www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. II ტური. წინათქმა

დასავლეთმა შეიძლება ლიდერი შეცვალოს

წინა ჩემპიონატის მეორე წრე. ოლიმპი-ზესტაფონი 1:1

დღეს პირველი წრის ერთ-ერთი ცენტრალური დაპირისპირებაა. ზესტაფონური მატჩი ბევრს გადაწყვეტს. ფეროელები დინამოელთა უპირველესი მდევრები არიან და ქულების დაკარგვა მათ გეგმებში არ შედის. თავის მხრივ, "ოლიმპს" საქმეები ცუდად მისდის და კიდევ ერთი მარცხი ჩემპიონთა მდგომარეობას საგრძნობლად დაამძიმებს. არანაკლებ პრინციპული ჯახია ზუგდიდში, შეიძლება ითქვას, ეს ამ სეზონში "დინამოს" პირველი სერიოზული გამოცდაა.

ზესტაფონი–ოლიმპი

22 სექტემბერი. ზესტაფონი. –ცენტრალური. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, კესანი, ჟონატასი, ვიეირა, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე

ოლიმპი: მერლანი (მ. ალავიძე), ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, სილაგაძე, ქებაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი, ჟივკოვიჩი, რ. ჯიქია, ჯილდასი

დისკვალიფიკაცია: გენაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ზესტაფონელებმა სეზონი ჩინებულად დაიწყეს და "დინამოს" კვალში უდგანან. **თემურ მახარაძის** გუნდი განსაკუთრებით ეფექტურად წინა ხაზში თამაშობს და შარშანდელთან შედარებით, მეტოქის ნახევარზე გაცილებით მრავალფეროვანია. ვნახოთ, რას დაუპირისპირებს მეტოქეს რუსთავული დაცვა. შეტევაში "ოლიმპს" აქამდეც უჭირდა და დისკვალიფიცირებული **რევაზ გენაძის** არყოფნაში ამ მხრივ კიდევ უფრო რთულად ექნება საქმე.

მგლები–დინამო

22 სექტემბერი. ზუგდიდი. ცენტრალური. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხუბუა, ქირია, კრასოვსკი, ვართაგავა, ჯოჯუა, ბაკარანძე

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დიღმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, ფეიქრიშვილი (კობახიძე), აკირემი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ზუგდიდის სტადიონზე გულშემატკივარი ისედაც მრავლად დადის, "დინამოსთან" კი სრული ანშლაგი იქნება. "მგლები" შინ ყოველთვის ძლიერია და სულაც არ იქნება გასაკვირი, **დუშან უჰრინის** გუნდს პირველ დანაკარგი სამეგრელოში თუ ექნება. ისე, "დინამო" ევროფიასკოს შემდეგ რიგიანად გამოიყურება და თუ ზუგდიდშიც იმარჯვა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი პრეტენდენტია.

ლოკომოტივი–ფილა

22 სექტემბერი. თბილისი. მ. მესხი. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე, ხოხონიშვილი, გულორდავა, მალიჩავა, ლაღაძე, ტიკურიშვილი, ყენია, მიქაძე, იმედაძე,

დისკვალიფიკაცია: კიკნაძე (მწვრთნელი), გუშარაშვილი, სამხარაძე, ჟღენტი, მიგინეიშვილი

ფილა: ილურიძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ღაცაბიძე, ნ. ნოზაძე, სადაღაშვილი, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, სამადაშვილი, ბ. ჩიტაია

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

"მგლებთან" და "ვიტ ჯორჯიასთან" ჩადენილი არასპორტული საქციელის გამო, ლამის ნახევარი "ლოკომოტივია" დისკვალიფიცირებულია. ბუნებრივია, ეს გორელთა შანსებს ერთიორად ზრდის. ჩემპიონატის სტარტი ორივე გუნდს უხეირო გამოუვიდა და ქულები ჰაერივით სჭირდება.

ბათუმი–ცხინვალი

22 სექტემბერი. ბათუმი. ადელი. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

ბათუმი: თოთლაძე, თედორაძე, გალოგრე, კუნჭულია, მაკარიანი, კ. მახარაძე, ზ. ჭელიძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, მოდებაძე, კაკალაძე

სპარტაკი: კოდალაევი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ბახტურიძე, გოგოხია, ძარია, კუპრეიშვილი, ხიდეშელი, ჯანელიძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება - ნებისმიერი სხვა შედეგი "ბათუმისთვის" კატასტროფის ტოლფასი იქნება. თუკი **ამირან გოგიტიძის** შეგირდები დროულად არ შეუდგნენ ქულების დაგროვებას (მით უმეტეს კონკურენტებთან), პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდებათ.

ვიტ ჯორჯია–ბორჯომი

23 სექტემბერი. მცხეთა. არმაზი. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ადამაძე, კაიშაური, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, მელქაძე, სახოკია (ლუჭაშვილი), გელაშვილი

დისკვალიფიკაცია: ლომაია, ბეჭვაია

ბორჯომი: შეყრილაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, ქარქოზაშვილი, აკობია, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი, ყველაშვილი, შ. ჯიქია

დისკვალიფიკაცია: თ. ლონღაძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ყოველთვის დაძაბულია და წესით, გამონაკლისი არც ხვალინდელი მატჩი უნდა გამოდგეს. "ვიტ ჯორჯიაცა" და "ბორჯომიც" ცხრილის ზედა ნახევარში არიან და გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერებთან მჭიდრო დისტანციას შეინარჩუნებენ.

მესხეთი–სიონი

23 სექტემბერი. ახალციხე. მ. იაძე. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, აკოფიანი, გ. ნადირაშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი, ძამსაშვილი, გ. თურმანიძე, ინასარიძე, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

სიონი: სტურუა, ბოიომო, სვანიძე, ოქროპირიძე, რაქვიაშვილი, სანიკიძე, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ქურასბედიანი, ნადირაძე, ქარდავა

დისკვალიფიკაცია: ჩასემი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

"მესხეთის" მესამე პოზიციის ჩინებული შანსი აქვს. დღევანდელი "სიონი" ნამდვილადვ არაა უძლეველი გუნდი, მით უფრო, რომ ბოლნისელებს მთავარი დამრტყმელი ძალა, **ერიკ რომეო ჩასემი** ჰყავთ დასჯილი.

ამერი–მერანი

23 სექტემბერი. თბილისი. ამერი. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი

მერანი: სეფიაშვილი, ლოლაძე, ჯანგიძე, თ. კობიაშვილი, სარალიძე, გიგაური, ტყეშელაშვილი, ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, ბ. ყღენტი, გოჩაშვილი (სევასტოპულო)

დისკვალიფიკაცია: დეისაძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

"მერანის" დამარცხება "ამერის" მძიმე მდგომარეობას სულ ოდნავ თუ შეამსუბუქებს, მაგრამ გლდანელებს ისღა დარჩენიათ, ჯერ აქ აიღონ სამი ქულა და შემდეგ იფიქრონ ლიდერებთან ჩამორჩენის აღმოფხვრაზე.

ლევან ჭანეზაშვილი

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	5	5	0	0	13-1	15
2. ზესტაფონი	5	4	1	0	12-2	13
3. მესხეთი	5	3	1	1	6-4	10
4. ვიტ ჯორჯია	5	3	1	1	6-5	10
5. მგლები	5	3	0	2	4-3	9
6. ბორჯომი	5	2	2	1	6-3	8
7. სიონი	5	2	1	2	5-7	7
8. ოლიმპი	5	2	1	2	3-4	7
9. ამერი	5	2	0	3	6-8	6
10. სპარტაკი	5	1	2	2	2-6	5
11. დილა	5	1	0	4	4-8	3
12. მერანი	5	1	0	4	2-7	3
13. ლოკომოტივი	5	1	0	4	4-11	3
14. ბათუმი	5	0	1	4	2-6	1

ბომბარდირები

ვიეირა (ზესტაფონი)	3
კაიდარაშვილი (მესხეთი)	3
ირანიძე (ზესტაფონი)	3
გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი)	3
სასკოვიჩი (დინამო)	3
შ. ჯიქია (ბორჯომი)	3
აკირემი (დინამო)	3
გ. მერებაშვილი (დინამო)	3
ხუციშვილი (დინამო)	3

ლეგიონერები. ლატვია

ელიავასთვის სეზონი დასრულდა

საქართველო-უკრაინის მატჩამდე ვარჯიშისას ჩვენი ნაკრების მცველი **ზაალ ელიავა** დაშავდა - მხარი ამოუვარდა. როგორც ირკვევა ელიავას ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ზაალი მიმდინარე სეზონში ვეღარ ითამაშებს.

ელიავას გარდა, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციათა გამო, რიგის "სკონტოს" ქვეყნის ჩემპიონატის მატჩში კიდევ 14 ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ სტუმრად "დინაბურგის" მაინც ძლევა არ გასჭირვებია. ეს მატჩი ერთგვარი ქართული დერბიც კი გახლდათ. ორივე გუნდის სასტარტო შემადგენლობაში თითო ქართველი იყო და "დინაბურგსაც" ხომ მწვრთნელად ქართველი **თამაზ პერტია** ჰყავს.. მასპინძელთაგან **ლევან კორღალიძე** 26-ე წუთზე შეცვალეს, მაგრამ მის ტრავმაზე ლატვიური წყაროები არაფერს იტყობინებიან. სტუმართა გუნდში კი 90 წუთი დაყო მოედანზე **დავით გამეზარდაშვილმა**. "სკონტომ" მასპინძელთა ოცნებებს პირველ ტაიმშივე ცივი შხაპი გადაასხა - რიგელები შესვენებაზე სამბურთიანი უპირატესობით წავიდნენ. მეორე ნახევარში კი კიდევ ერთი გაიტანეს და ანგარიშით 4:0 მოიგეს. ამ გამარჯვების შემდეგ რიგის "სკონტო" გათამაშების ცხრილში 39 ქულით მე-4 ადგილზეა. რიგელებს 2 ქულით უსწრებს მესამე საფეხურზე მყოფი **ზურაბ მენთეშაშვილის** "ვენტსპილსი". ელიავასგან განსხვავები გამოჯანმრთელება მოასწრო ზურაბ მენთეშაშვილმა, რომელიც მასპინძელთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩიც ჩაამთავრა.

დავით ცაბაძე

ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ფილიალი საქართველოში, თანაგრძნობას უცხადებს ფილიალის ინსტრუქტორს თენგიზ კაციას მამის გარდაცვალების გამო.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ინტერვიუ გიორგი ჭელიძესთან

პასუხი დინამოსთან თამაშის შემდეგ მეცოდინება

მოსკოვის "ლოკომოტივის" და ლუგანსკის "ზარიის" შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი გიორგი ჭელიძე სამშობლოში დაბრუნდა და ერთ-ერთ მოწინავე გუნდ "ზესტაფონში" მივიდა. დღეს "ზესტაფონი" შინ ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპს" მასპინძლობს და შეტევაში, რა თქმა უნდა, ჭელიძის დიდად ეიმედება - გიორგიმ ხუთ ტურში სამი გოლი გაიტანა და კარგ ფორმაშია. ჭელიძესთან საუბარი "ოლიმპთან" დღევანდელი მატჩით დავიწყეთ...

- "ოლიმპთან" მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. შინ ვთამაშობთ, გულშემატკივრების დიდი მხარდაჭერის იმედი გვაქვს და ეს ალბათ გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს.

- რამდენმე დღის წინათ თბილისის "დინამომ" მეორე ტურის გამოტოვებული მატჩი მოიგო ბოლნისის "სიონთან" და ლიდერობა ჩამოგარვათ. როგორ ფიქრობ, ახლა "დინამო" რომ არის პირველ ადგილზე, ეს კანონზომიერია?

- პირველ ტურში შინ "ბორჯომთან" ორი ქულა დავკარგეთ და ამის გამო დავისაჯეთ კიდეც, თუმცა "დინამოც" არ არის ის გუნდი, გაუთვალისწინებელი ქულები რომ არ დაკარგოს!

- "დინამო" და "ზესტაფონი" ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატებად ითვლებიან და, არა მხოლოდ იმის გამო, რომ პირველ-მეორე ადგილზე ეს გუნდები არიან - პირველ ხუთ ტურში მათ ყველაზე ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენეს და ალბათ მოთამაშეთა კონტინგენტის მხრივაც საუკეთესოები არიან. როგორ ფიქრობ, ამ ბოლო კომპონენტში უფრო "ზესტაფონისკენაა" უპირატესობა თუ "დინამოსკენ"?

- ამ დროისთვის ამის თქმა გამიჭირდება. როცა ჩვენ და "დინამო" შევხვდებით, თამაშის შემდეგ ამ კითხვაზე ზუსტად გიპასუხებთ.

- "ზესტაფონამდე" ლუგანსკის "ზარიაში" იყავი. არ შეგეძლო კიდევ დარჩენილიყავი უკრაინაში?

- ლუგანსკში რომ მივედი, ფაქტობრივად, შვიდი თვის უთამაშებელი ვიყავი და ძნელი იყო ეგრევე ადგილის დამკვიდრება ძირითად შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე რამდენიმე მატჩში თამაში. "ზარიაში" მოსკოვის "ლოკომოტივიდან" განათხოვრებით ვიყავი და საიჯარო ვადა ამოიწურა. შემეძლო "ლოკომოტივში" დაბრუნება, მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო ორი თვე სამთვიან რუსულ ვიზას ველოდი. ჩავთვალე, რომ აზრი აღარ ჰქონდა "ლოკომოტივში" დაბრუნებას, რადგან ამდენი ლოდინის შემდეგ ისევ დუბლებში უნდა მეთამაშა.

- "ზესტაფონში" რა ვადიანი იჯარით ხარ?

- პირველი წრის ბოლომდე. მოსკოვის "ლოკომოტივს" კი 2009 წლამდე ვეკუთვნი.

- პირველი წრის შემდეგ "ზესტაფონიდან" წახვალ?

- ჯერ არ ვიცი, პირველი წრე რომ ჩამთავრდება, მერე გამოჩნდება, რა როგორ იქნება.

- საქართველოს ჩემპიონატს დაახლოებით სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდი. ატყობ რაიმე ცვლილებას?

- როგორ არა, საქართველოს ჩემპიონატი უფრო დაძაბული და სერიოზული გახდა. თუ ადრე საქართველოს ჩემპიონატში ფეხბურთელები დადიოდნენ, ახლა ცოტას დარბიან.

- როგორ ატყობ, საქართველოს ჩემპიონატში შენს კოზირს, სისწრაფეს კარგად იყენებ?

- ალბათ, კი, ხუთ თამაშში სამი გოლი გავიტანე - შედეგი სახეზეა.

- დაბოლოს, მაინც როგორ შეაფასებდი "ზესტაფონი"-"ოლიმპის" მატჩში შანსებს?

- "ოლიმპი" ჩემპიონია და ასეთ გუნდთან სამ ქულას ვერავინ დაგეგმავს. თანაც, "ზესტაფონთან" ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს, რადგან ძალიან უნდა, კარგ გუნდს მოუგოს.

დავით თავართქილაძე

U17. ევროპის ჩემპიონატი

ოთხიდან ორი გარკვეულია

პორტუგალიაში ნათამაშები ამხანაგური მატჩის შემდეგ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ბულგარეთში გაემგზავრა, სადაც 24-29 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლის მატჩები გაიმართება. პირენეებზე ქართველმა ჭაბუკებმა ერთი შეხვედრა მოიგეს 2:1 და ერთიც წააგეს - 0:1.

ბულგარეთში გასამართი მატჩების კალენდარი ასეთია:

24 სექტემბერი
ბულგარეთი-უნგრეთი
საქართველო-ხორვატია
26 სექტემბერი
ბულგარეთი-ხორვატია
საქართველო-უნგრეთი
29 სექტემბერი
ბულგარეთი-საქართველო
უნგრეთი-ხორვატია

ჰერბერტ ცანკერმა ბულგარეთში 18 ფეხბურთელი იახლა:

მეკარეები: **1. დავით მეფარიძე (გაგრა), 12. თორნიკე ნიორაძე (დინამო).**

მცველები: **2. დათა რიგვავა, 5. დიმიტრი პაჭკორია (ორივე ოლიმპი), 3. ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), 4. თორნიკე კაკუბავა (დინამო), 6. ზვიად რობაქიძე (ოლიმპიკი).**

ნახევარმცველები: **7. ნიკა ძალამიძე (ბაია), 8. ლუკა გუგუჩია, 9. ნიკა შონია, 13. გიორგი გორდეზიანი, 17. გიორგი გურეშიძე (ყველა ოლიმპი), 14. გიგა მელიქიშვილი (კახეთი), 16. ჯანო ანანიძე (დინამო კ. უკრაინა), 18. ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი).**

თავდამსხმელები: **10. ირაკლი შეყილაძე, 15. დავით რაფავა (ორივე ბაია), 11. ლეგა მუმლაძე (ოლიმპი).**

24 სექტემბერს საქართველო-ხორვატიის 17-წლამდელთა მატჩს ნორვეგიელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი **სვენ-ერიკ ედვარტსენი** გახლავთ, თანამსაჯები **კიმ ტომას ჰაგლუნდი** და ბულგარელი **ვესელინ მიშევ დობრიანოვი**, მეოთხე მსაჯი ასევე ბულგარელი **ცვეტან გეორგიევია**. მსაჯთა დამკვირვებელი - სლოვენიელი **მილოვან ნიკოლიჩი**.



ჰერბერტ ცანკერი

პირველი მატჩი ხორვატებთან კი გვაქვს, მაგრამ ხორვატიისა და ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციათა ვებგვერდებზე მათი ჭაბუკთა ნაკრებების შემადგენლობები გუშინ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. აი, უნგრელებმა კი დაასახელეს ის ფეხბურთელები, რომლებიც ბულგარეთში იასპარეზებენ:

მეკარეები: **ადამ კოვაჩიკი (რეჯინა, იტალია), რობერტ ამბრუსიჩი (მტკ ბუდაპეშტი).**

მცველები: **ლასლო შუჩი (რეგენსბურგი, გერმანია), მატე ტოჩი (უიპეშტი), შაბა პრეკლეტი (რეჯინა, იტალია), ტიბორ ლადანუი, ნორბერტ ოდე (ორივე მტკ ბუდაპეშტი).**

ნახევარმცველები: **პეტერ ნემეცი, ნორბერტ ჩიკი (ორივე მტკ ბუდაპეშტი), პატრიკ ნაგი (რაპიდი, ავსტრია), დანიელ ჰაგი (ჰამბურგი, გერმანია), შაბოლც უვეგესი (უიპეშტი), მატე კიში (დიორი).**

თავდამსხმელები: **შაბოლს შორბა, მარტონ ეპელი, პატრიკ ტიშლერი (ყველა მტკ ბედაპეშტი), დონატ ლაშკოვიჩი (ფრაიბურგი, გერმანია), ისტვან კოვაჩი (ფერენცვაროში).**

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

კობიაშვილი არმინიასთან გამორიცხულია

ლუქსემბურგთან ამხანაგურ მატჩში დაშავებული **ლევან კობიაშვილი** ვერც დღევანდელ მატჩში დაეხმარება "შალკეს" "არმინიასთან" მატჩში. არადა თავად ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, რომ შაბათს მაინც შეძლებდა მოედანზე გასვლას. რამდენიმე დღის წინათ "კიკერმაც" კი დაწერა, კობიაშვილი შაბათს ითამაშებსო, გუშინ კი საპირისპირო გაირკვა.

"ლევან კობიაშვილმა სრულად გამოჯანმრთელება ჯერ კიდევ ვერ მოახერხა. შესაბამისად, 22 სექტემბერს "არმინიასთან" მატჩში ის ვერ ითამაშებს. საეჭვოა კრისტიან პანდერის მოედანზე ხილვაც", - გვამცნობენ გერმანული სააგენტოები.

დავით ცაბაძე

რუმინეთისთვის ნაკრები გაცხადდა

ფუტზალში საქართველოს ეროვნული გუნდი რუმინეთის ნაკრებთან 26 და 27 სექტემბერს ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტრე თაბუკაშვილმა** რუმინელებთან თამაშებისთვის გუნდში 12 მოთამაშე გამოიძახა:

მეკარე: **ლევან გაბუჩია (ცენტრ პოინტი).**

ფეხბურთელები: **შოთა კუბლაშვილი, გიორგი იოსებიძე, ნიკოლოზ ოსეფაშვილი, არჩილ ბოკერია, ავთანდილ ასათიანი (ყველა ცენტრ პოინტი), ლევან ზუმბაძე, აკაკი კაკაშვილი (ორივე საბურთალო), ლევან დარჩია, გიორგი მშვიდობაძე, გიორგი ბერიძიშვილი (ყველა იმედი), სერგო მელაძე (არმავილი, იტალია).**

სიაში მხოლოდ ერთი ლეგიონერია – იტალიურ "არმავილში მოასპარეზე **სერგო მელაძე**. სხვა მოთამაშეები კი ეროვნული ჩემპიონატის გუნდებს წარმოადგენენ. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, რუმინელებმა ბოლოს ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. მათ სტამბოლში თურქეთის ნაკრები ორჯერ დაამარცხეს - 5:1 და 4:2.

დავით ცაბაძე

CDN ხავხასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭიანურებლად

სატელეფონო საუბრების ფასმობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სამთა ლიგა საქართველოსთვის, გადარჩენის გზა?

ლევან ყიფიანი საინტერესო პროექტს ახმოვანებს

მსოფლიო ფეხბურთი ინტეგრაციისკენ მიდის. G-14-ის გაფართოებას 50 გუნდამდე ფიქრობენ. ამერიკისა და მექსიკის ორ-ორმა საუკეთესო გუნდმა წლეულს პირველად ჩაატარა ჩრდილო ამერიკის ჩემპიონთა ლიგა. საბჭოური ნოსტალგია დღემდე ვერ გაინელეს რუსებმა და მათ უკრაინელი თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ. ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა რუსები გაცილებით პრაგმატულად ფიქრობენ და ყოფილი იმპერიის ჩემპიონატის აღდგენის ნაცვლად, უკრაინისა და რუსეთის საუკეთესო გუნდების სუპერლიგის პროექტზე მუშაობენ.

გრანდების პარალელურად, თავის გადარჩენას მცირე ქვეყნებიც ცდილობენ. ასე მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა საკუთარი ლიგა ჩამოაყალიბეს. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი 2007 წლიდან ერთგვარ ჩემპიონთა ლიგას ათამაშებენ.

ეს არის ჩინებული იდეა, რომელიც სამივე ქვეყნის ფეხბურთის დონის გაზრდის წინაპირობა გახდება. ცალ-ცალკე თუკი მაყურებლის აღფრთოვანებას არც ერთი ჩემპიონატი არ იწვევს, მეზობლების შეჯიბრება მაყურებლისთვისაც გაცილებით მიმზიდველი იქნება, სპონსორებისთვისაც და ტელეკომპანიებისთვისაც.

ქართული და ყაზახური გუნდები, ჯერჯერობით მხოლოდ ევროთასებზე ხვდებიან ერთმანეთს

ნუკრი მანჩხავა ლიტვაში თამაშობს და მეტადაა ინფორმირებული, ამ ტურნირის შესახებ. ამიტომაც გავესაუბრეთ და საინტერესო დეტალები შევიტყვეთ.

- ყველა აღიარებს, რომ ბალტიის ლიგა ძალიან პერსპექტიული ტურნირია. ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს, გუნდები ერთმანეთთან დაპირისპირებით იზრდებიან, თან უფრო სწრაფად, ვიდრე ეროვნულ ლიგაში თამაშით, სპონსორებიც მეტ ინტერესს იჩენენ.

- შენი კლუბი, ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი" ისედაც მდიდარია. "ბალტიის ლიგით" ვითარება კიდევ გაუმჯობესდებოდა.

- სამართლე რომ გითხრათ, მე ამ საკითხში კარგად ვერ ვერკვევი. თუმცა ტურნირი სწორედ ამაზეა გათვლილი. ის აუცილებლად მომგებიანი გახდება. ამას გარდა, უცხოეთის ძლიერი კლუბები ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების ჩემპიონატებით თითქმის არ ინტერესდებიან. სამი ქვეყნის ჩემპიონატში კი გაცილებით საინტერესო ფეხბურთელები იქნებიან თავმოყრილი და არჩევანის მეტი საშუალებაც უჩნდებათ.

- "კაუნასი" და სხვა მონაწილეები როგორ ახერხებთ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშსაც?

- წელიწადში დამატებით მინიმუმ ექვსი თამაში გვემატება. კალენდარი კი იტვირთება, მაგრამ ამ ეტაპზე ასე ჯობს.

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **გოგი ფიფია** ბალტიისპირელების ჩანაფიქრით აღფრთოვანებულია და თვლის, რომ ასეთი ტურნირი ქართული ფეხბურთის წინსვლის საწინდარია:

- იანვარში რიგაში ზაალ ელიავასთან ვიყავი და იქ მითხრეს, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდისგან ბალტიისპირეთის ერთიანი ჩემპიონატი ჩატარდებოდა. ასეთი რამ ჩვენთვისაც მისწრება იქნებოდა. თუმცა აზერბაიჯანელებს და სომხებს ერთად რა ძალა ათამაშებს? არადა, რაღაც სიახლე გვჭირდება, თორემ მთელი მსოფლიო წინ მიდის და ჩვენ გავჩერდით.

...ბალტიისპირელებმა მეზობელი სკანდინავიელების გამოცდილება გადაიღეს. დანიის, შვედეთისა და ნორვეგიის ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდით კომპლექტდება "როიალ კაპი", ანუ "სამეფო თასი". იგი მაყურებელში მეტად პოპულარული შეჯიბრებაა და უკვე წლებია გრძელდება.

საქართველო ამ კუთხითაც გამოუვალ მდგომარეობაშია. ბალტიისპირელებისა და სკანდინაველების დარი მეზობლები არ გვხვდა წილად. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენია, რომ სამი კავკასიური ქვეყნის "ჩემპიონთა ლიგა" შედგეს.

ჩვენთვის სამივე ქვეყნის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციების ხელმძღვანელების აზრი ცნობილია - იდეა მოსწონთ, მაგრამ აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის გამო, მისი ორგანიზება შეუძლებლად მიაჩნიათ.

ქართული საფეხბურთო ორგანიზაციის მმართველთა ფხაზეა დამოკიდებული, რა გამოსავალს იპოვნიან. თუკი "კავკასიის ჩემპიონთა ლიგა" დაარსდება, თამაშები მხოლოდ თბილისში ჩატარდება, ეს საინტერესოც, მაგრამ სარისკოც იქნება, სპონსორებიც დაინტერესდებიან, ტელევიზიებიც და მაყურებელიც ივლის სტადიონზე. ფეხბურთის განვითარებას კი სხვა წინაპირობა არ სჭირდება.

ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** საინტერესო მოლაპარაკებების შინაარსს გვიმხელს:

- საქართველოში და ფეხბურთის ფედერაციაშიც არაერთი ადამიანია, რომელიც ამ თემაზე ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა არ საუბრობს. მაგალითად დიმიტრი რამიშვილს აქვს ინიციატივა, ვისაუბრეთ და მეც პრინციპულად ვემხრობი ამ იდეას. ასეთი ტურნირი რეგიონში ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს და პოლიტიკურადაც საინტერესოა. ურიგო არ იქნება, დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის დაძაბულობის შემცირებას ამგვარად ხელი რომ შევუწყოთ.

რამდენიმე ხნის წინათ ყაზახეთის ფედერაციიდან მივიღეთ წინადადება - საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის გუნდების მონაწილეობით საერთო ტურნირი ჩაგვეტარებინა. მასპინძლად მათაც და აზერბაიჯანსაც თბილისი წარმოუდგენიათ. ძალიან ბევრი და კარგი პროექტებია, მაგრამ ეს აშკარად პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. თუკი სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა მოგვარდა, ტურნირი ჩატარდება.

არსებობს შავი ზღვის ქვეყნების ჩემპიონატის იდეაც. მთელი ევროპა ასეთი რეგიონული ტურნირების იდეამ მოიცვა. ჩვენც ვფიქრობთ როგორი პროექტი განვახორციელოთ. დღეს თუ არა, ხვალ, შეიძლება, ვინმემ დაგვასწროს და მოვლენებს ჩამოვრჩეთ. ამიტომაც თადარიგი უნდა დავიჭიროთ. მაგალითად, ბეკენბაუერის პროექტები რეალურად მეჩვენება.

- ევროკავშირი, ერთიანი ვალუტა, ერთიანი სასამართლო - ეს ყველაფერი ერთიანი ევროპული სუპერლიგის, ანუ G14-ის ლოგიკურ წინაპირობად მიგაჩნიათ?

- რა თქმა უნდა. დროა, ასეთი გლობალური პროექტები საქართველოშიც განვახორციელოთ. სამწუხაროდ, თუკი სკანდინავიასა და ბალტიისპირეთში ასეთი ლიგები ჩამოყალიბდა, სომხეთ-აზერბაიჯანის საომარი მდგომარეობა ამიერკავკასიაში ტურნირის გამართვას უდიდეს დაბრკოლებას უქმნის. სხვათა შორის, ორივე ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე შევხვდით და აშკარაა, რომ საკითხი იოლად ვერ მოგვარდება.

როგორც შევიტყვეთ, ყაზახებთან დაკავშირებული პროექტები საქართველოს ფედერაციას ლევან ყიფიანის შუამავლობით შესთავაზეს.

ლევან ყიფიანი:

- სამწუხაროდ, საქართველო ღარიბი ქვეყანაა, სახელმწიფოც ფეხბურთს ფინანსურად სოლიდურ დახმარებას ვერ უნევს, საფეხბურთო სკოლებსაც აღარ აფინანსებს და ასეთ პირობებში, განვითარება შეუძლებელია. გამოსავალი მხოლოდ რეგიონული ტურნირების ჩატარებაა.

ამ თემაზე აზერბაიჯანელებთან და ყაზახებთან უკვე ვთანამშრომლობ. საუბარია ჩვენი სამი ქვეყნის წამყვანი გუნდების მონაწილეობით ტრადიციული ტურნირის დაფუძნებაზე. მსგავსი პროექტი უკვე განახორციელეს ბალტიისპირეტში, სკანდინავიაში და წარმატებული აღმოჩნდა. ეს ჩვენს ფეხბურთს გამოცოცხლების ერთ-ერთი სასურველი გზაა. ამ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებისთვის მეტი რესურსია და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ.

- ეს თქვენი პროექტია თუ ყაზახების?

- იდეა შევთავაზე და აიტაცეს. მსგავსი გლობალური პროექტების გარეშე საქართველოში ფეხბურთი ჩაკვდება. როგორც გითხარით, მსგავსი ტურნირები ტარდება ბალტიისპირეთში, სკანდინავიაში, ახლა ამერიკა და მექსიკა აპირებენ იმავეს. ანუ საუბარია, რესურსების გაერთიანებაზე. რუსეთი და უკრაინა მდიდარი ქვეყნებია, დამოუკიდებელად ძლიერი, საინტერესო პირველობის ჩამოყალიბებაც მოახერხეს. ამის მიუხედავად, ამ ორი ქვეყნის საუკეთესო გუნდების მონაწილეობით ტურნირის ჩატარების იდეა მაინც განხილვაშია.

აზერბაიჯანსა და ყაზახეთს დიდი რესურსები აქვთ, მაგრამ არ გააჩნიათ ჩვენაირი საფეხბურთო ინტელექტი და ტრადიცია. ამ ძალების გაერთიანებით კი სოლიდური ტურნირის ჩატარება შეიძლება, სადაც სამ-სამი წამყვანი გუნდი ითამაშებს.

- ყაზახები და აზერბაიჯანელები თანახმა არიან?

- ორივე ქვეყნის წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებს ვესაუბრე და პროექტი სიხარულით აიტაცეს. სომხებიც ჩვენს დღეში არიან, მაგრამ მათი ჩართვა რთული იქნება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კლუბებიც იმავე პოზიციაზე არიან, იდეა ყველას მოსწონს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ლიდერებით მატჩს თუ 1000 კაცი ესწრება, საქართველოს, ყაზახეთის და აზერბაიჯანის ლიდერთა თამაშები სულ მცირე ორჯერ მეტ მაყურებელს მიიზიდავს.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის ჩამოყალიბებაზე რომ ვსაუბრობდი, მაშინ ბევრს ეცინებოდა. დღეს კი ლიგა მუშაობს და იმდენი მოახერხა, თასის ფინალზე 20 ათასი კაცი მიიზიდა. ასე იქნება ქართულ-ყაზახურ-აზერული ლიგაც. დღეს თუ ვინმეს ეცინება, ხვალ მის მნიშვნელობას დაინახავს.

მერაბ მამულაშვილი

ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის

არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და საკვიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაეშვებიან ოქტომბრის დასაწყისში.

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

ხმაურიანი გადადგომის შემდეგ

ნუ გეშინიათ, მალე დავბრუნდები!



"განსაკუთრებული კაცი" ჟოზე მოურინიოსთვის სხვას არ შეურქმევია. ის თვითონ გახდა საკუთარი თავის ნათლია, როცა 3 წლის წინათ თქვა - მე მოვიგე ჩემპიონთა ლიგა, ამიტომაც განსაკუთრებული კაცი ვარო... მისი ამპარტავნობა ბევრს აღიზიანებდა, თუმც მათვე არ უჭირდათ მისი სამწვრთნელო ნიჭის საქვეყნოდ აღიარება. დღეს ეს განსაკუთრებული კაცი უკვე "ჩელსის" ისტორიაა. მოურინიომ თავად შექმნა საკუთარი თავი. ბოლო წლებში მის მიერ მოგებულ ტიტულთა ნუსხა ბევრ გამოცდილ და უფრო ტიტულოვან მწვრთნელებსაც მოსჭრის თვალს. ამიტომ, მისი თითოეული ნაბიჯი გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებდა და მით უმეტეს ახლა, არცთუ მოულოდნელი დათხოვნის შემდეგ...

დიახ, **ჟოზე მოურინიოს** წასვლა მოსალოდნელიც იყო და მოულოდნელიც. მოსალოდნელი იმიტომ, რომ იანვრის ამბების შემდეგ მასა და **რომან აბრამოვიჩს** შორის ურთიერთობა საბედისწეროდ დაიძაბა. ისინი დიდხანს არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მერე ამას დაერთო წარუმატებლობა როგორც შინაურ, ისე საგარეო ფრონტზე. აბრამოვიჩის ტიპის მეპატრონეები კი ამას ასე იოლად ვერ ეგუებიან. კლუბში დიდი კაპიტალის დაბანდება მათთვის იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს ჩემპიონი უნდა გახდეს, ხოლო ყოველ მეორე წელს ჩემპიონთა ლიგა უნდა მოიგოს. მაგრამ მათ ხელში გარანტირებული მომავალი მაინც არ გაქვს. მოულოდნელი კი იმიტომ იყო ჟოზეს გადადგომა, რომ ასეთ მწვრთნელებს წინდებივით არ იცვლიან. რა თქმა უნდა, "ჩელსი" რომ ელიტური კლუბი გახდა, ამაში აბრამოვიჩის წვლილია პირველ რიგში გამოსარჩევი. რომ არა მისი კაპიტალი, ეს გუნდი დღეს "ევერტონის", "ვესტ ჰემის" ან "ასტონ ვილის" გვერდით (სპორტული თვალსაზრისით) იდგებოდა. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ფული ტიტულის უპირობო გარანტია არ არის და რომ კარგ მწვრთნელსაც ფასდაუდებელი როლი ენიჭება...

მოურინიოს ამბავი მსოფლიო მედიის მთავარ თემად იქცა. რა თქმა უნდა, არანაკლებ საინტერესოა ისიც, თუ სად მოძებნის ნავსაყუდელს ამ საუკუნის დასაწყისის ყველაზე გამორჩეული სპეციალისტი. სპეკულაციები აგორებულია. გუშინ, როცა ჟოზე "სტემფორდ ბრიჯზე" უკანასკნელად მივიდა და კომპენსაციის საკითხზე წარმატებით მოილაპარაკა, გამოვიდა ჩასაფრებული ჟურნალისტების წინაშე და ცეცხლზე ნავთი დაასხა: *"ნუ გეშინიათ, მალე დავბრუნდები"!*

რასაკვირველია, დაბრუნდება, მაგრამ სად? ერთი წლის წინათ, მან არ დამალა, რომ პორტუგალიის ნაკრებში მუშაობა სურს, მაგრამ მაშინ რას წარმოიდგენდა, რომ ერთი წლის შემდეგ "ჩელსიში" აღარ იქნებოდა. *"დიახ, მართლაც ძალიან მინდა ჩემი ქვეყნის მთავარ გუნდში მუშაობა და ვგრძნობ, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასაც სურს ჩემთან თანამშრომლობა. მაგრამ ამისთვის იდეალური დრო იქნებოდა 12 წლის შემდეგ, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატსა და ევროპის 2020 წლის პირველობაზე".*

შესაძლოა, ეს 12 წელიწადი მოურინიომ რამდენიმე თვეში დაფაროს. საქმე ისაა, რომ **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ოთხმატჩიანმა დისკვალიფიკაციამ მისი სკამი გვარიანად შეარყია. პორტუგალიის ნაკრებს, რომელსაც ევრო 2008-ის შესარჩევში მალე გადამწყვეტი მატჩები ელის, მთავარი მწვრთნელი ვერ უხელმძღვანელებს. არადა, პირველი ნაკრების საქმე ვერ არის კარგად. გუშინ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟილბერტო მადაილმა** სასწრაფოდ მოითხოვა აღმასკომის საგანგებო სხდომის მონვეევა. აღმასკომმა მწვრთნელის საკითხზე უნდა იმსჯელოს. სიტუაცია ბუნდოვანია. მიუთითებენ თუ არა სკოლარის კარისკენ, გადაჭრით ამის თქმა ჯერ ადრეა. თუმც საყურადღებოა მადაილის კიდევ ერთი ფრაზა: *"ფედერაცია ჩემი საკუთრება არ არის და იძულებული ვიქნები, დავეთანხმო აღმასკომის ნებისმიერ გადაწყვეტილებას".*

მაშ, შევთანხმდეთ, რომ მოურინიოს დანიშვნა პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, სავსებით რეალურია. გავიხსენოთ მისი ერთ-ერთი ინტერვიუც, რომელიც დეკემბერში გამოქვეყნდა და სადაც ის იტალიაში მუშაობის პერსპექტივაზე საუბრობს: *"სერია A-ში არის რაღაც ისეთი, რაც მოტივაციას მაძლევს. ესპანეთში ოთხი წელიწადი ვიმუშავე და იქაურ ფეხბურთზე ყველაფერი ვიცი. იტალია კი ჩემთვის სრულიად უცნობი ფენომენია".*

მაგრამ მოურინიოს პრობლემა ისაა, რომ სერია A-ში, ამ ეტაპზე, მისთვის შესაფერისი ვაკანსია არ ჩანს. ჟოზესთვის პრიორიტეტული იქნებოდა "იუვენტუსში", "მილანში", "ინტერში" და ჰა-ჰა "რომაში" დასაქმება. მაგრამ გადავხედოთ, რა ხდება ამ კლუბებში. **კარლო ანჩელოტის** "მილანში" დიდ პატივს სცემენ. მას შესანიშნავი ურთიერთობა აქვს **სილვიო ბერლუსკონისა** და **ადრიანო გალიანისთან**, რაც ლამის გადამწყვეტი ფაქტორია. კარლეტო "მილანის" დიდი ოჯახის წევრი გახლავთ.

რობერტო მანჩინიმ "ინტერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. **მასიმო მორატი** მას წლიურად 4.5 მილიონ გირვანქას უხდის. "იუვენტუსს" რაც შეეხება, "კალჩოპოლის" სკანდალისა და სერია B-ში ერთწლიანი მივლინების შემდეგ, "ქალბატონს" არ აქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ მოურინიო დაიქირაოს. "იუვე" დღეს **კლაუდიო რანიერითაც** კმაყოფილია.

სხვათა შორის, წლინახევრის წინათ, მოურინიომ და "ინტერმა" თანამშრომლობისთვის ნიადაგი უკვე მოსინჯეს. 2006 წლის აპრილში, "ნერაძურის" სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** ჟოზეს ლონდონში შეხვდა. მაშინ ისინი შეთანხმდნენ, რომ თუ მოურინიო ჩემპიონთა ლიგას მოიგებდა, ხოლო "ინტერი" სკუდეტოს გარეშე დარჩებოდა, 2006/07 წლების სეზონში "შავ-ლურჯების" სამწვრთნელო სკამზე სწორედ მოურინიო მოკალათდებოდა. მაშინ ეს პირობები ვერ შესრულდა და 44 წლის სპეციალისტს "ინტერთან" კონტაქტი აღარ ჰქონია. თუმცა ცნობილია, რომ მორატი მოურინიოზე დღესაც მაღალი აზრისაა და თუ "ინტერმა" ეს სეზონი ჩააგდო, არ არის გამორიცხული, პორტუგალიელი ისევ გაიხსენონ...

მაგრამ მაინც არ შეიძლება ესპანეთისა და კერძოდ, "ბარსელონის" გამორიცხვა. თავის დროზე, სწორედ "ბარსაში" მუშაობდა მოურინიო სერ **ბობი რობსონის** ასისტენტად. ესეც არ იყოს, გასული სეზონის შედეგებიდან გამომდინარე, **ფრანკ რიიკაარდის** პოზიციები არამყარია. ჰოლანდიელმა ვერც ჩემპიონის ტიტული მოიგო და ლიგაშიც ჩაფლავდა. წელს რა იქნება, ჯერ არავინ იცის, მაგრამ "ბარსა" რომ ვერც ახლა ბრწყინავს, ფაქტია.

ან რატომ არ უნდა იფიქროს ჟოზემ... ვთქვათ, "რეალზე"? **ბერნდ შუსტერი?** არ გენიშნათ მისი გუშინდელი განცხადება? გერმანელი არ გამორიცხავს, რომ სეზონის ბოლოს სამეფო კლუბი დატოვოს - აქაოდა, "რეალში" სხვისი იდეებით მიწევს აზროვნებაო. ეტყობა, **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** თავისას არ იშლიან. "რეალის" შთამბეჭდავი სტარტიც ჯერ არაფერს ნიშნავს. გასულ სეზონში **ფაბიო კაპელო** ჩემპიონი გახდა, მაგრამ გუნდის დატოვება მოუწია. ალბათ, მოურინიო გაითვალისწინებს როგორც საკუთარ, ისე კაპელოს მწარე გამოცდილებას და "რეალში" არ წავა.

უფრო სერიოზული და საფუძვლიანი მინიშნებები კეთდება "ტოტენჰემთან" დაკავშირებით. იქ **მარტინ იოლს** გარკვეული ვადა აქვს მიცემული სიტუაციის გამოსასწორებლად. იოლსა და "მამლების" ბოსებს შორის დაპირისპირება მხოლოდ ცუდი შედეგებით არაა გამოწვეული. ჰოლანდიელი სპეციალისტი წინააღმდეგია საკლუბო სტრუქტურისა, რომელიც სპორტული დირექტორის მხრიდან მწვრთნელის ზედამხედველობას ითვალისწინებს. სწორედ ამის გამო მოხდა უთანხმოება იოლსა და "ტოტენჰემის" სპორტულ დირექტორ **დამიენ კომოლის** შორის. არც მოურინიოს უყვარს, როცა არაკომპეტენტური ხალხი მის საქმეში ცხვირს ჰყოფს. მისივე სიტყვებით, იდეალური მოდელია, როცა პატრონი ზრუნავს ფულზე, მწვრთნელი კი ერთპიროვნულადაა პასუხისმგებელი გუნდზე, ტრანსფერებზე და ასე შემდეგ.

აღამიანი, რომელიც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს

ჟოზე მოურინიო საფეხბურთო სამყაროს ათასგვარი გამონათქვამით ართობდა. ერთდროულად, ამას სხვადასხვა ელფერი ჰქონდა - კარგიც, ცუდიც და უხეშიც. აი, მისი ცნობილი ფრაზები.

"გთხოვთ, გაუზრდელს ნუ მიწოდებთ. მე ევროპის ჩემპიონი და, ვფიქრობ, განსაკუთრებული პიროვნებაც ვარ".

ასე წარუდგინა **მოურინიომ** საკუთარი თავი ინგლისურ პრესას 2004 წლის ზაფხულში, "პორტუდან" წამოსვლის შემდეგ.

"მეორე ტაიმში უხეშობას უხეშობა მოსდევდა. უცენზურო სიტყვების კორიანტელი დატრიალდა, მსაჯის სასტვენის ხმა ხშირად ისმოდა. არბიტრი სულ სხვანაირად აკონტროლებდა მატჩის პირველ ტაიმს, მეორეში კი მრავალი საკამათო საჯარიმო დარტყმა შესრულდა. დარწმუნებული ვარ, პირველი ტაიმის შემდეგ მსაჯები გასახდელში მარტო არ ჩასულან".

მოურინიო ამტკიცებდა, რომ სერ **ალექს ფერგიუსონმა** ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა მსაჯ **ნილ ბერიზე,** "კარლინგის თასის" ნახევარფინალური მატჩის პირველი ტაიმის დროს, 2005 წლის იანვარში, როცა "ჩელსი" "მანჩესტერ იუნაიტედს" ეთამაშებოდა. ამ გამონათქვამისთვის საფეხბურთო ასოციაციამ მოურინიომ 5 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

"მე არ ვეთანხმები იმას, რომ ერთადერთი, რაც უნდა მახსოვდეს, ისაა, რომ ინგლისში ვიმყოფები. როცა ვიცი, რომ ცუდი არაფერი მითქვამს, მაინც ბოდიში უნდა მოვიხადო და პატივი ვცე თქვენს ქვეყანას. "ლივერპულის" გულშემატკივრები დიდად პატივსაცემი ხალხია და ჩემ მიერ გამოხატული სიჩუმის ჟესტი - "მოკეტე", მათ მიმართ კი არა, ინგლისური პრესის წარმომადგენელთათვის იყო განკუთვნილი".

მოურინიო იცავს "კარლინგის თასის" ფინალში (2005 წელი) "ლივერპულთან" მატჩის დროს ტუჩებზე ხელის დადების ჟესტს, რის გამოც ის "ჩელსის" სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს.

"როცა დავინახე, როგორ შედიოდა რიიკაარდი მსაჯთა გასახდელში, არ დავიჯერე. როცა დროგბა გააძევეს, არ გამკვირვებია. ვგრძნობ, რომ ლონდონში კოლინა იმსაჯებს, მსოფლიოში საუკეთესო რეფერი, ქცევითა და ხასიათით".

მოურინიო ერთ-ერთ პორტუგალიურ გაზეთთან ინტერვიუში ამტკიცებს, რომ "ბარსელონის" მწვრთნელი **ფრანკ რიიკაარდი** არბიტრ **ანდერს ფრისკს** გასახდელში ესტუმრა, 2005 წლის თებერვალში, "ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩის შესვენებისას. ამის გამო, ჟოზემ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და დამატებით, 9 ათასი გირვანქითაც დააჯარიმეს, მატჩის დროს აურზაურის შექმნისთვის.

"ენფილდის" ძლიერება ვიგრძენი, ეს საუცხოო იყო. ვფიქრობ, ამ გარემოებამ ჩემს მოთამაშეებზე კი არა, სხვა ხალხსა და მატჩის შედეგზე იმოქმედა. გვერდითმა მსაჯმა უნდა ახსნას, რატომ ჩათვალა გოლი, რადგან ამის გასაკეთებლად, 100 პროცენტით დარწმუნებული უნდა იყო, რომ ბურთმა ნამდვილად გადაკვეთა კარის ხაზი".

მოურინიო ეჭვქვეშ აყენებს "ლივერპულის" თავდამსხმელ **ლუის გარსიას** მიერ, 2004 წლის 3 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში გატანილ გოლს, რამაც "ჩელსი" ტურნირიდან გამოთიშა.

"საქმე სულაც არაა წითელ ბარათში, უბრალოდ, უკვე მეორედ ვთამაშობთ 55-60 წუთს ერთი კაცის გარეშე და მატჩი სულ სხვანაირად მიმდინარეობს. თამაშზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს".

მოურინიო აპროტესტებს 2006 წლის თებერვალში, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში, "ბარსელონასთან" მატჩის დროს **ასიერ დელ ორნოს** მოედნიდან გაძევებას, რაც მისი აზრით **ლეო მესის** მიერ იყო პროვოცირებული.

"მათ წინააღმდეგ ორ სეზონში ოთხი მატჩი ვითამაშეთ. როცა 11X11-ზე ვთამაშობდით, არასდროს წაგვიგია. ეს სინამდვილეა".

ასეთი აზრის იყო მოურინიო 2006 წელს, "კამპ ნოუზე" "ბარსელონასთან" ფრედ (1:1) დამთავრებული თამაშის შემდეგ, რამაც ესპანური გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.

"მეკარეს ბურთი ხელთ აქვს. მეათე ნომერი ბურთის წასართმევად იბრძვის და მუხლს ურტყამს მას სახეში".

მოურინიო ადანაშაულებს "რედინგის" ნახევარმცველ **სტივენ ჰანტს**, მეკარე **პეტერ ჩეხისთვის** მძიმე ტრავმის განზრახ მიყენებაში, "ჩელსისთან" მატჩის პირველივე წუთზე.

"შეუძლებელია, დაისაჯოს "მანჩესტერ იუნაიტედი", და შეუძლებელია, ამ ჯარიმებით "ჩელსიმ" იხეიროს. თუ ვინმე დამსჯის სიმართლის თქმისთვის, ვიტყვი, რომ ეს დემოკრატიის დასასრულია და ჩვენ ძველ დროს ვუბრუნდებით".

"ჩელსის" მენეჯერი განრისხებულია, რადგან შეიტყო, რომ მისი აპელაცია "ნიუკასლთან" პენალტის თაობაზე, უარყვეს. ერთი დღით ადრე კი "მანჩესტერ იუნაიტედმა" იხეირა "ოლდ ტრეფორდზე", როცა "მიდლსბროსთან" მატჩის დროს, არბიტრის მიერ წამატებულ დროში პენალტი გაიტანა.

"მოთამაშეს, რომელსაც სურს, იყოს მსოფლიოში საუკეთესო და შეიძლება, უკვე არის კიდეც, უნდა ეყოს ძალა, დაადასტუროს, რომ ფაქტების წინააღმდეგ არგუმენტები არ არსებობს. როცა ის ამბობს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ამ სეზონში არ იმსახურებს დაჯარიმებას, ტყუის. თუ ეს ასეა, მაშინ ის ვერ მიაღწევს იმ დონეს, რომელზეც სურს, რომ იყოს".

მოურინიო გაოცებულია **კრისტიანო რონალდოს** გამონათქვამით მის მიმართ, როცა საქმე ეხებოდა გუნდის დაჯარიმებას. რონალდომ მოურინიოზე თქვა: *"მას არ უყვარს საკუთარი მარცხის აღიარება!"*

"ეს ერბოკვერცხი არაა. მისი სიკარგე კვერცხის ხარისხზეა დამოკიდებული. სუპერმარკეტში პირველი, მეორე და მესამე კლასის კვერცხი იყიდება. ერთი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მეორე და აქედან უფრო კარგი ერბოკვერცხი გამოდის. ასე რომ, თუ პირველი კლასის კვერცხი "უეითროუზში" იყიდება და შენ იქ ვერ მიდიხარ, პრობლემები გექმნება".

ეს ალეგორია ეხებათ ტრავმირებულ **ფრენკ ლემპარდს, მიხაელ ბალაკს, რიკარდო კარვალიოსა** და **დიდიე დროგბას**. სწორედ მათ გარეშე ვერ მოახერხა "ჩელსიმ" "რუსენბორგის" დამარცხება...

მოამზადა **დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ITALIA. სერია A. IV ტურის წინ

არ მოგვენატრათ რომა-იუვე?

ლიდერები

უდინეზე-რეჯინა
მილანი-პარმა

ხაჯლ

აგალანტა-ლაციო
კალიარი-პალერმო
კატანია-ფიორენტინა
ემპოლი-ნაპოლი
ლივორნო-ინტერი
რომა-იუვენტუსი
ტორინო-სიენა
სამპდორია-ჯენოა

იტალიური სეზონის პირველი დიდი მატჩი უკვე ამ ტურში იმართება. ხვალ, რომის "ოლიმპიკო" მონატრებულ "რომა"-"იუვენტუსს" იხილავს. პირველადაა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში "ჯალოროსი" თამაშს ერთპიროვნული ლიდერის რანგში ხვდება. 3 მატჩიდან 3 მოგება და არც ერთი გაშვებული გოლი. "ქალბატონს" წინა ტურამდე ჰქონდა ასპროცენტიანი შედეგი, მაგრამ უდანაკარგო სვლა "უდინეზემ" ჩაუშალა, დაამარცხა რა მრისხანე მეტოქე მისსავე მოედანზე, 1:0. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მატჩს "იუვე" შედარებით მაღალი მოტივაციით ხვდება. მაგრამ ამაღლებული მოტივაცია მარტო უდინელებთან მარცხით არ არის განპირობებული. ზოგადად, ტურინულმა გრანდმა უნდა დაამტკიცოს, რომ უკვე ჰყავს კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელსაც სკუდეტოსთვის ბრძოლა ძალუძს.

შუა კვირაში "რომამ" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ **ლუჩანო სპალეტის** გუნდი "იუვენტუსთან" ჯახს გადაღლილი ხვდება. მართალია, მწვრთნელმა საბრძოლო შემადგენლობა ათამაშა, მაგრამ კიევის "დინამო" ვერ გამოდგა იმ ოპონენტად, ვინც "რომას" ბევრ ოფლს დააღვრევინებდა. ასე რომ, ეს მომენტი ხვალინდელ მატჩზე ძალზედ უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ იმოქმედებს.

უნდა გავიხსენოთ "რომასა" და "იუვენტუსის" ბოლო დაპირისპირებებიც. ამათგან, უთუოდ გამოსაყოფია "ოლიმპიკოზე" 2005 წლის ნოემბერში გამართული მატჩი, რომელშიც **ფაბიო კაპელოს** "ქალბატონმა" დედაქალაქური კლუბი 4:1 დაამარცხა. მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი იყო 18 თვით ადრე, მაშინ ჯერ კიდევ **კაპელოს** "რომას" მიერ **მარჩელო ლიპის** "იუვენტუსის" დამარცხებაც, 4:0.

რაც შეეხება წინასამატჩო სამზადისსა და საკადრო სიტუაციას. **ჟუანს, სიმონე პეროტას, დავიდ პისაროსა** და **კრისტიან პანუჩის** ტრავმები აწუხებდათ. პისარო კარგა ხანია არ თამაშობდა, დანარჩენმა სამმა კი კიევის "დინამოსთან" მატჩის შემდეგ ვერ ივარჯიშა. თუმცა სპალეტის იმედი აქვს, რომ ხვალინდელი მატჩი ამ ტრიოს გარეშე არ ჩაივლის. გამოჯანმრთელების შემდეგ, ძირითად შემადგენლობას მყარად დაუბრუნდა **ამანტინო მანსინი,** შესაბამისად, **ლუდოვიკ ჟიული,** რომელიც მასზე გაცემულ ავანსებს, ჯერჯერობით, ბოლომდე ვერ ამართლებს, თადარიგში გადაინაცვლებს. ასევე რეზერვში დარჩება **მირკო ვუჩინიჩიც,** რაც იმას ნიშნავს, რომ სპალეტი უკვე ნაცად, ერთფორვარდიან თავდასხმას უბრუნდება.

გაცილებით მეტი პრობლემა აქვს **კლაუდიო რანიერის,** რომელიც ტრავმირებულ **მაურო კამორანეზისა** და დისკვალიფიცირებულ **ჯონათან ზებინას** ვერ დაიხმარს. ამას გარდა, ტრავმები აწუხებთ **მარკო მარკიონის, ჟანალან ბუმსონგსა** და **ზდენეკ გრიგერასაც.** რაც შეეხება **ანტონიო ნოჩერინოს,** რომელსაც გასულ კვირას მანქანა დაეჯახა და საავადმყოფოში მოხვდა, მან გამოჯანმრთელება სასწაულით მოასწრო და ხვალისთვის, შეიძლება, 18-კაციან განაცხადშიც მოხვდეს. ცვლილებები არ იქნება წინა ხაზზე, სადაც **დავიდ ტრეზეგეს** პარტნიორობას **ალესანდრო დელ პიერო** და **პაველ ნედვედი** გაუწევენ.

საკვარაუდო შემადგენლობები

რომა: ა. დონი, პანუჩი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი.

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ანდრადე, კრიშიტო, კიელინი, სალიპამიჯიჩი, ალმირონი, კ. ძანეტი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.

"მილანი" ტურის მატჩს შაბათს გამართავს. "როსონერი" "პარმას" უმასპინძლებს და ეცდება, "ბენფიკასთან" შეხვედრაში აღებული რიტმი არ დაკარგოს. თუმცა ლიგა და სერია A განსხვავებული ტურნირებია და ვინძლო, **კარლო ანჩელოტის** გუნდს დღეს უფრო მეტადაც გაუჭირდეს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ როტაციის პრინციპიდან გამომდინარე, კარლეტო ძირითად შემადგენლობაში კორექტივებს შეიტანს. მაგალითად, შესაძლებელია დაისვენოს **კახა კალაძემ** და მის ნაცვლად სასტარტოში **დანიელე ბონერა** ვიხილოთ. იგივე შეიძლება ითქვას **ფილიპო ინძაგიზეც,** რომელსაც **ალბერტო ჯილარდინო** შეიცვლის. **პაოლო მალდინი** და **რონალდო** ჯერაც ტრავმირებულები არიან. რაც შეეხება "პარმას", **დომენიკო დი კარლოს** დაცვასა და თავდასხმაში აქვს სერიოზული პრობლემები. უკანა ხაზში არ იქნება **ჯუზეპე კარდონე,** წინ კი **დომენიკო მორფეო** და **იგორ ბუდანი.**

შაბათსვე, "უდინეზე"-"რეჯინას" მიიღებს და ყველა ღონეს იხმარს, რათა "ფრიულის" "ნაპოლისგან" განცდილი 0:5 დაავიწყოს. ჯერჯერობით, უდინელებმა ოთხივე ქულა გასვლაზე ("ინტერთან" 1:1, "იუვესთან" 1:0) მოიპოვეს. უფრო დიდი აქვს მოტივაცია "რეჯინას", რომელსაც ჯერ თამაში არ მოუგია. მასპინძლებს ნახევარდაცვაში **კრის ობოდო** და **ჯამპიერო პინცი** არ ეყოლებათ. "რეჯინას" დისკვალიფიცირებული მცველი **კრისტიან ვალდესი** დააკლდება.

"ინტერი" კვირას "ლივორნოს" სტუმრობს. "ფენერბაჰჩესთან" წაგების შემდეგ, "ნერაძური" უბრალოდ ვალდებულია, "დანაშაული" სერია A-ს ერთ-ერთ აუტსაიდერთან გამარჯვებით გამოისყიდოს. კვლავ არ იქნებიან **მარკო მატერაცი, კრისტიანი კივუ** და **პატრიკ ვიეირა.** "ლივორნოსაც" აქვს დანაკლისი. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ფორვარდი **ფაუსტო როსინი,** ასევე დაშავებულია ნახევარმცველი **ანტონიო ფილიპინი,** ხოლო კიდევ ერთი შუახაზელი **ჟოზე ვიდიგალი** დისკვალიფიკაციას იხდის.

საინტერესო თამაშებია "კატანია"-"ფიორენტინა" და "ატალანტა"-"ლაციო". სიცილიელები ფლორენციელებს საბრძოლო შემადგენლობით დახვდებიან. "ფიორენტინას" არ ეყოლება დანიელი გარემარბი **მარტინ იორგენსენი.** ბერგამოს მატჩს კი ორივე გუნდი სერიოზული სირთულეებით ხვდება. **ლუიჯი დელ ნერის** განკარგულებაში ვერ იქნებიან დისკვალიფიცირებული მცველი **მორის კاროციერი** და ტრავმირებული პორტუგალიელი საყრდენი **კოშტინია.** უფრო მეტი აქვს საფიქრალი **დელიო როსის.** "ოლიმპიაკოსთან" მატჩში დაშავდნენ **მასიმო მუტარელი** და **სტეფანო მაური,** მცველი **სებასტიანო სივილია** კი უკვე სამი კვირაა მკურნალობს.

"ნაპოლიმ" სერია A-ში სერიოზული ინტრიგა შეიტანა. პირველ ტურში "კალიარისთან" შინ წაგებული 0:2-ის შემდეგ, **ედოარდო რეიას** გუნდმა ჯერ "უდინეზე" დაანგრია (5:0) სტუმრად, მერე კი შინ იოლად მოუგო "სამპდორიას", 2:0. ახლა, ნეაპოლელები გასვლაზე ეთამაშებიან "ემპოლის", რომელსაც ხუთშაბათს უეფას თასზე ისტორიული დებიუტი ჰქონდა, ჩემპიონატში კი ჯერ მოგების გარეშეა.

ტრადიციულად საინტერესო იქნება კუნძულელთა დერბი "კალიარისა" და "პალერმოს" მონაწილეობით. ორივე გუნდს 4-4 ქულა აქვს და ცხრილშიც მეზობლად არიან. თუმც "პალერმოსგან" განსხვავებით, სარდინიელთა ასეთი სტარტი მოულოდნელია.

"ტორინოს" სამიდან სამი ფრე აქვს და ყველანაირად ეცდება, "სიენასთან" საშინაო მატჩში პირველი გამარჯვება იზეიმოს. მაგრამ ეს ადვილი რომ არ იქნება, ამთავითვე ცხადია. "ტოროს" ტრავმირებული ჰყავს **ნიკოლა ლაზეტიჩი, პაოლო ძანეტი** და **ნიკოლა ვენტოლა.** ერთი დანაკლისი აქვს "სიენას", რომელსაც ტრავმირებული ფორვარდი **მარიო ფრიკი** არ ეყოლება.

დაბოლოს, გენუის დერბი "სამპდორიისა" და "ჯენოას" შესრულებით. ბოლო ორი დერბი 1994/95 წლების სეზონში შედგა. მასპინძლის სტატუსით, "სამპდორიამ" 3:2 მოიგო, მერე კი "ჯენოამ" რევანში აიღო - 2:1. ვნახოთ, რა მოხდება კვირას. ერთი რამ კი დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მატჩს დერბისთვის შესაფერისი დაძაბულობა არ მოაკლდება. "სამპს" არ ეყოლება მცველი **კრისტიან მაჯო,** ასევე არ იქნება **ანტონიო კასანო,** რომელსაც ახალი გუნდის შემადგენლობაში ჯერ ერთი წუთიც არ უთამაშია. მცველი აკლია "ჯენოასაც". ტრავმის გამო, გუნდს **ალესანდრო ლუკარელი** დააკლდება.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რომა	3	3	0	0	7-0	9
2. ინტერი	3	2	1	0	5-1	7
3. ნაპოლი	3	2	0	1	7-2	6
4. იუვენტუსი	3	2	0	1	8-4	6
5. მილანი	3	1	2	0	5-2	5
6. ფიორენტინა	3	1	2	0	6-4	5
7. ატალანტა	3	1	2	0	5-3	5
8. კალიარი	3	1	1	1	5-4	4
9. პალერმო	3	1	1	1	5-5	4
10. სამპდორია	3	1	1	1	2-3	4
11. უდინეზე	3	1	1	1	2-6	4
12. ტორინო	3	0	3	0	5-5	3
13. ლაციო	3	0	3	0	2-2	3
14. პარმა	3	0	2	1	3-5	2
15. რეჯინა	3	0	2	1	3-5	2
16. კატანია	3	0	2	1	2-4	2
17. ჯენოა	3	0	2	1	1-4	2
18. სიენა	3	0	1	2	2-6	1
19. ემპოლი	3	0	1	2	1-5	1
20. ლივორნო	3	0	1	2	4-10	1

კარლო ანჩელოტი

ინტერვიუ კარლო ანჩელოტისთან

ნამდვილი მილანი ჯერ არავის უნახავს

ზოგი თვლის, რომ სიმშვიდე მხოლოდ წარმატებებს მოაქვს, კარლეტოს კი ჰგონია, რომ მხოლოდ მშვიდ ატმოსფეროში შეიძლება მაქსიმალურ შედეგზე ფიქრი...

კარლო ანჩელოტი "გაძეტა დელო სპორტს" ესაუბრება. ის ერთმანეთს ადარებს "მილანის" ახალწვეულ პატოსა და "როსონერის" ან უკვე სიმბოლოდ ქცეულ კაკას. ამას გარდა, საუბრობს ადამიანური ურთიერთობის როლზე საკლუბო ცხოვრებაში და იხსენებს ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ ტრიუმფს, რომელსაც კლუბის იტორიაში ყველაზე გულწრფელ გამარჯვებად აღიარებს.

- თუკი აგვისტოს დასაწყისშივე გეცოდინებოდათ რონალდოს ტრავმის სირთულე, მოითხოვდით თუ არა ერთი ფორვარდის ყიდვას?

- არავითარ შემთხვევაში. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რონის პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ დროებითია. ჩვენ გვყავს ინძაგი და ჯილარდინო. მათი ყოფნა საკმარისია, რათა მშვიდად ვიყო. იანვარში პატოც შემოგვიერთდება. ასე რომ, პრობლემას ვერ ვხედავ.

- თუ შეგიძლიათ, შეადარეთ კაკასა და პატოს პირველი დღეები იტალიაში...

- თუკი მათ ხასიათებით ვიმსჯელებთ, აღმოვაჩენთ, რომ პატო უფრო მორიდებულია. ვარჯიშებზე ის ჯადოსნური ტექნიკით გვაოცებს, ისევე, როგორც ოდესღაც კაკა. პატო უფრო კონტაქტურია. ასე რომ, უფრო ადვილად შეუძლია ადაპტაციის გავლა ახალ გარემოში. ვარჯიშებზე ის მუდამ მოწინააღმდეგის კარზეა დაგეშილი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მილანელი ვარ. ეს კი ბევრს ნიშნავს, ამიტომ...

- მალდინი გუნდს გააძლიერებს?

- ვფიქრობ, რომ შეუძლია. როგორც წესი, მას თამაშის წინ არ სჭირდება დარიგებების მიცემა. ის ბრწყინვალედ ერკვევა სათამაშო სიტუაციებში და თავად წყვეტს, შეტევის ხაზში ათი მეტრით წინ წაინიოს, თუ დაცვას დაეხმაროს. არჩევანში ის ყოველთვის გუნდისთვის საუკეთესო გამოსავალს პოულობს. თამაშისას ის საკუთარი ინსტინქტით მოქმედებს. მე კი ეს ძალიან მაწყობს.

- თქვენი აზრით, "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში ის გამოკვეთილი ფავორიტია?

- თუ ოქროს ბურთს კაკას არ გადასცემენ, გაზეთის რედაქციის წინ ჯაჭვით მივიბამ თავს (იცინის).

- ვის დააყენებდით მის გვერდით?

- კრისტიანო რონალდოსა და პირლოს.

- იბრაჰიმოვიჩი?

- ის ჩემს რეიტინგში მეოთხეა. იბრაბრწყინვალეა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე მილანელი ვარ. ეს კი ბევრს ნიშნავს, ამიტომ...

- მალდინი გუნდს გააძლიერებს?

- დიახ, რა თქმა უნდა. ის შეუდარებელ ოსტატობასა და გამოცდილებას ფლობს. პაოლო ჩვენი გუნდისათვის ყველაფერია. ის თამაშობს იმიტომ, რომ იმსახურებს, მაგრამ თუ მატჩის ბოლომდე სკამზე დარჩება, არც ამის გამო ქმნის პრობლემას.

- საკლუბო მუნდიალზე თუ გიფიქრიათ, რომელსაც ტოკიო უმასპინძლებს?

- მხოლოდ ზოგადად. ამ დღეებში გადავწყვეტთ, თუ რა მარშრუტით ჩავალთ იაპონიაში. ეს თასი ჩვენი უპირველესი სამიზნე რომც ყოფილიყო, მასზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრე იქნებოდა.

- ამ ტურნირის მოგება "მილანის" წარმატებულ ციკლს დაასრულებს?

- არავითარ შემთხვევაში. ესაა გუნდი, რომელიც მუდმივად ვითარდება. გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებმაც სპორტული თვალსაზრისით კარიერის პიკს მიაღწიეს, მაგალითად პირლო და გატუზო. არიან ისეთებიც, ვისაც ზრდა კიდევ შეუძლიათ - იანკულოვსკი და ოდო. როცა ყველა მათგანი ოპტიმალურ ფორმას აკრეფს, ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იქნება. გარწმუნებთ, ნამდვილი "მილანი" ჯერ არავის უნახავს.

- რა არის თქვენი გლობალური მიზანი?

- მუდმივად ვითამაშოთ ისე, როგორც "მანჩესტერთან" გასული სეზონის საშინაო ნახევარფინალში.

- სერია A ერთადერთი ლიგაა, სადაც არცერთი უცხოელი მწვრთნელი არ მუშაობს.

- იტალიური სამწვრთნელო სკოლა ძალიან მაღალი დონისაა. იტალიელ მწვრთნელებს კი დიდი ავტორიტეტი აქვთ. უამრავ სათამაშო ასპექტს ჩვენ ყველაზე მაღალ დონეზე ვასწავლით. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი მწვრთნელები უცხოეთშიც დიდ წარმატებებს აღწევენ.

- თქვენს სამწვრთნელო კარიერაში არასოდეს დაუთხოვიხართ. დაგვეთანხმებით, თანამედროვე ფეხბურთში ეს გამონაკლისი შემთხვევაა...

- მართალია. მე ყოველთვის ისეთ კლუბებში ვმუშაობდი, სადაც მენდობოდნენ და მხარს მიჭერდნენ. ეს დიდი ბედნიერებაა.

- ნერეო როკომ "მილანი" 459 მატჩში გაიყვანა მინდორზე. თქვენს აქტივში უკვე 325 მატჩია. რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ფიქრობთ, რომ შეიძლება ლეგენდარული მწვრთნელის მიღწევა გააუმჯობესოთ?

- თუ ამდენს მოვახერხებ, ძალიან ამაყი ვიქნები. მაგრამ ჩემი მიზანი რეკორდების დამყარება არ არის. მინდა, კლუბს ბევრჯერ გავამარჯვებინო და მის ისტორიაში, რაც შეიძლება, ნათელი კვალი დავტოვო.

- რას მიაღწიეთ ამ ექვსი წლის განმავლობაში?

- თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ, რომ ჩემი დამსახურებების სია საკმაოდ დიდია, მაგრამ ყველაზე დიდ გამარჯვებას მინდვრის მიღმა მივაღწიე. იმდენი მოვახერხე, რომ კლუბში ყველა თანამშრომელს შორის განსაკუთრებული ადამიანური ურთიერთობებია დამყარებული. ზოგი თვლის, რომ სიმშვიდე მხოლოდ წარმატებებს მოაქვს. მე კი ვფიქრობ, რომ მხოლოდ მშვიდ ატოსფეროში შეიძლება მაქსიმალურ შედეგებზე ფიქრი.

- რას ფიქრობთ ახლახან დაწყებულ სეზონზე?

- კარგი წინათგრძნობა მაქვს. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჩვენ ახალი გმირობებისკენ გვიბიძგებს.

- "ინტერსა" და თქვენ შორის ჰანდიკაპი შემცირებულია?

- ჩემი აზრით, ის ნულამდეა დაყვანილი. ჩვენ და კიდევ "რომას" პრაქტიკულად თანაბარი შანსები გვაქვს სკუდეტოს მოსაპოვებლად. ვინ იცის, იქნებ ამ დავაში "ბებერი ქალბატონიც" ჩაერიოს?

- განვლილ მატჩებში სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ თავდამსხმელებს ცვლიდით. სხვა დროს ალბათ დანაჩენებსაც მიეცემათ შანსი...

- ჩემპიონთა ლიგის გახურებასთან ერთად სათამაშო დრო, რა თქმა უნდა, ყველას ექნება. ჩვენთან ხომ ძალიან დიდი კონკურენციაა.

- როგორ ფიქრობთ, ჩემპიონთა ლიგაში წლევანდელი ტრიუმფი თქვენი სამწვრთნელო საქმიანობის პიკი ხომ არ იყო?

- როგორ გითხრათ? ამ გამარჯვებით კარიერაში ერთი საკმაოდ რთული ბარიერი გადავლახე. გარდა ამისა, გამარჯვება შთამბეჭდავ სტილში მოვიპოვეთ და მან გულწრფელი ემოციები მოგვგვარა. შარშანდელი დეკემბრის ჩათვლით, ჩვენ გარშემო რაღაც ძალიან დიდი გაუგებრობა ხდებოდა. მხოლოდ ამის მერე დავლაგდით და სამუშაო ჩვეულ კალაპოტში მოვაქციეთ.

- ძალიან ძნელია ისეთი პრეზიდენტის გვერდით მუშაობა, როგორიც ბერლუსკონია?

- პირიქით. ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ. ის სრულ ინფორმაციას ითხოვს გუნდის შესახებ. ამასთან, მას ჯერ არასოდეს მიუთითებია, რა როგორ გავაკეთო. ის არასოდეს ცდილობს ჩემს მოქცევას საკუთარი გავლენის ქვეშ.

ქართული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტურის წინ

ჭიჭანი წარსულში ბრუნდება

კარლსრუე-ბაიერნი კანისთვის განსაკუთრებული მოვლენაა

ბუშინ
ბოხუმი-აინტრახტი

დღეს
შალკე-არმინია
ვერდერი-შტუტგარტი
ჰამბურგი-ნიურნბერგი
პერგა-ბორუსია (დ)
კოტბუსი-ვოლფსბურგი
პაუნა-დუისბურგი

სუბ
კაიზერი-ლევერკუზენი
კარლსრუე-ბაიერნი

მე-6 ტურის ცენტრალური შეხვედრა უდავოდ "ვერდერისა" და ჩემპიონ "შტუტგარტის" დუელია. ჩემპიონთა ლიგაში ორივე გუნდმა მარცხი განიცადა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბრემენელები საკმაოდ კარგ ხასიათზე არიან. **პერ მერტეზაკერის** თქმით, "რეალთან" თამაშმა "ვერდერს" საკუთარი ძალების რწმენა შემატა, რაც გუნდს ბუნდესლიგაშიც უნდა დაეტყოს. მწვრთნელი **თომას შაააფი** კი დარწმუნებულია, რომ მადრიდული მატჩი, სადაც ბრემენელებმა, მიუხედავად წამყვანი ფეხბურთელების არყოფნისა, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მისი გუნდისთვის გარდამტეხი გამოდგება. "ვერდერს" ლაზარეთიდან **პატრიკ ოვომოიელა** დაუბრუნდა. აი, "შტუტგარტში" კი, გლაზგოური მარცხის დავიწყება ძალიან უჭირთ. მართალია, **ჰილბერტი** ამბობს, "ვეზერშტადიონზე" აუცილებლად სამი ქულისთვის ვიბრძოლებთო, მაგრამ **თომას ჰიტცლშპერგერის** გარეშე, რომელიც ტრავმირებულია, **არმინ ფეეს** გუნდს ბრემენში წარმატების მიღწევა წესით უნდა გაუჭირდეს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ფეე **არტურ ბოკას** ნაცვლად, ამჯერად ისევ **ლუდოვიკ მანინს** ენდობა. ლაზარეთიდან დაბრუნდა და ითამაშებს **ბაშთურქიც**.

არანაკლებ დამაინტრიგებელია "ჰერტასა" და დორტმუნდის "ბორუსიის" ჯახიც, რადგან მდგომარეობა ორივე გუნდმა გაიუმჯობესა - ორივეს 9 ქულა აქვს. მძიმე სტარტის შემდეგ, "ჰერტაში", როგორც იქნა, მშვიდი ატმოსფეროა, რასაც ის ფაქტიც ვერ არღვევს, რომ კაპიტან **არნე ფრიდრიხის** თამაშია საეჭვო. იგივე ითქმის BVB-ზეც, რომელმაც სეზონი ორი მარცხით დაიწყო, რასაც ზედიზედ სამი მოგება მოაყოლა, თანაც ისე, რომ გოლი არ მიუღია. ფორმაში შედის და იმედების გამართლება დაიწყო **მლადენ პეტრიჩმა,** რომელიც თავდასხმაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ერთადერთი ცვლილება ის გახლავთ, რომ მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა. შესაბამისად, **მარკ ციგლერი** ისევ სკამზე გადაინაცვლებს.

"შალკეში" უკმაყოფილებაა. პირველ რიგში იმის გამო, რომ გელზენკირხენელებმა "ვალენსიასთან" უიღბლო მარცხი განიცადეს. ამას გარდა, პუბლიკამ **ჰალილ ალთინთოფს** უსტვინა და მეკარე **მანუელ ნოიერსაც** პირველად მოუხდა კრიტიკის მოსმენა, რადგან გაშვებული გოლი მისი ბრალი იყო. **მირკო სლომკას** თქმით, "შალკემ" "არმინიასთან" მოგებათა სერიას უნდა ჩაუყაროს საფუძველი. არადა, ბილეფელდური გუნდი ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი - "არმინია" ხომ მეორე ადგილზეა. "კიკერის" ცნობით, **ლევან კობიაშვილი** განაცხადში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველი ნახევარმცველი გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს. ასე რომ, "შალკეს" ისევ კობის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

ჰამბურგში ერთმანეთს უეფას თასის გუნდები ხვდებიან - HSV "ნიურნბერგს" მასპინძლობს და თუკი **ჰუუბ სტევენსის** გუნდმა კარგად დაისვენა, ფრანკებს ბუქარესტის "რაპიდთან" მატჩის საფინალო სასტვენიდან დღევანდელ შეხვედრამდე მხოლოდ 41 საათი აშორებთ. "ნიურნბერგის" თავკაცი **ჰანს მაიერი** წარუმატებელი სტარტის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ანვრვიულებულია და პირდაპირ ამბობს, დროებით ბუნდესლიგას ვანიჭებთ პრიორიტეტსო. "ჰამბურგს" **ატუბა** არ ეყოლება (დისკვალიფიკაცია). **სორინი, ბენჯამინი, დემელი** და **კომპანი** კი ტრავმირებულები არიან.

"კოტბუსისა" და "ვოლფსბურგის" სახით, ერთმანეთს მძიმე მდგომარეობაში მყოფი გუნდები ხვდებიან, მაგრამ იმ დროს, როცა "ენერგის" თავკაც **პეტრიკ ზანდერისთვის** ეს ერთგვარი ფინალია (რომ წააგოს, გაუშვებენ), "მგლების" დამრიგებელ **ფელიქს მაგათს** ასეთი საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება. "კოტბუსის" უმთავრესი ნაკლი ის გახლავთ, რომ ამ გუნდს გოლები ვერ გაიქვს (მხოლოდ 2 გოლი 5 თამაშში). "ვოლფსბურგს" ლაზარეთიდან **რადუ** და **მუნტეანუ** დაუბრუნდნენ. შეგახსენებთ, რომ "მგლებმა" ეს ფეხბურთელები სნორედ "კოტბუსიდან" იყიდეს.

ოლივერ კანმა პირველი საფეხბურთო ნაბიჯები კარლსრუეში გადადგა

ხუთ ტურში ხუთი წაგება კატასტროფის ტოლფასია. შესაბამისად, როსტოკის "ჰანზას" "დუისბურგთან" მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. თუ მეკლენბურგელები ისევ დამარცხდებიან, დიდი შანსია, რომ მათი მწვრთნელი **ფრანკ პაგელსდორფი** უმუშევარი დარჩეს.

ხვალ კი, კარლსრუეს "ვილდპარკშტადიონზე" ერთგვარი კლასიკაა - KSC-"ბაიერნი". ანუ, **ოლივერ კანი** წარსულში ბრუნდება და ხვდება გუნდს, სადაც ფეხბურთის თამაში დაიწყო. ბადენელებმა სიურპრიზებს მიგვაჩვიეს და ამიტომაცაა, კაპიტანი **ეგიმანი** რომ ამბობს, რეკორდმაისტერის დამარცხებაც შეგვიძლიაო. **ედე ბეკერის** გუნდის პრობლემა ისაა, რომ ფორვარდებს, **კაპლანისა** და **ფრაისს** ჯერ ერთი გოლიც კი არ გაუტანიათ. რაც მთავარია, ჯანმრთელადაა გუნდის ლიდერი **ტამას ჰაინალი**. ერთი ეგაა, რომ **ალექსანდრე იაშვილი** ისევ სათადარიგოთა სკამზე მოიაზრება. რაც შეეხება "ბაიერნს": **ჰიტცფელდმა** "ბელენესგშთან" **მირო კლოზე** იძულებით დაასვენა (დისკვალიფიკაცია ჰქონდა), რომელიც ხვალ აუცილებლად ითამაშებს. კვირის მეორე მატჩში კი "ჰანოვერი" "ლევერკუზენს" მიიღებს...

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბაიერნი	5	3	2	0	12-2	11
2. არმინია	5	3	1	1	11-8	10
3. აინტრახტი	5	3	1	1	7-5	10
4. დორტმუნდი	5	3	0	2	9-7	9
5. ჰერტა	5	3	0	2	7-6	9
6. კარლსრუე	5	3	0	2	6-6	9
7. ლევერკუზენი	5	2	2	1	6-2	8
8. შალკე	5	1	4	0	9-6	7
9. შტუტგარტი	5	2	1	2	7-6	7
10. ჰამბურგი	5	2	1	2	5-5	7
11. ბოხუმი	5	2	1	2	8-9	7
12. ჰანოვერი	5	2	1	2	7-9	7
13. ვერდერი	5	2	1	2	5-10	7
14. დუისბურგი	5	2	0	3	8-7	6
15. ნიურნბერგი	5	1	2	2	5-7	5
16. ვოლფსბურგი	5	1	1	3	7-9	4
17. კოტბუსი	5	0	2	3	2-9	2
18. ჰანზა	5	0	0	5	3-11	0

ვერდერი

რა სჭირს კარლოს ალბერტოს?

ბრემენის "ვერდერმა" **კარლოს ალბერტო** დიდი ზარ-ზეიმით შეიძინა, მაგრამ ბრაზილიელი ნახევარმცველი იმედებს ჯერჯერობით ვერ ამართლებს. "მუსიკოსთა" მწვრთნელი **თომას შაააფი** და გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** შეძრწუნებულები არიან, რადგან კარლოს ალბერტოზე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ, ეს უკანასკნელი კი თავის თავს არ ჰგავს. ამ დღეებში გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელს პირად ცხოვრებაში აქვს პრობლემები, მაგრამ შააფი და ალოფსი ერთხმად გაიძახიან, ეს მტკნარი სიცრუეაო. თვითონ ფეხბურთელი კი ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებს.

"ვერდერის" ექიმები იტყობინებიან, რომ ბრაზილიელის სისუსტე (როგორც ფიზიკური, ასევე მენტალურიც) უძილობის ბრალია, მაგრამ იმას კი არავინ ამბობს, თუ რატომ ათენებს ფეხბურთელი ღამეებს თეთრად. *"კარლოს ალბერტო მუდმივად გადაღლილია და ვარჯიშებზე ძალიან ცუდად გამოიყურება. შესაბამისად, მის თამაშს აზრი არა აქვს. სიცრუეა ის, თითქოს მას მეგობარი გოგონა დაშორდა ან შორდება. ისინი ერთად არიან. მოთმინება გვმართებს, დარწმუნებული ვარ, რომ კარლოს ალბერტო თავის პოტენციალს მალე გამოავლენს,"* - აცხადებს ალოფსი.



კარლოს ალბერტო



ფრანც ბეკენბაუერი და ტონი კროოსი

17 წლის ტონი კროოსი აბსოლუტურად ყველა გერმანელი (და არა მარტო გერმანელი) ექსპერტის აზრით, გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია, რომელსაც უდიდესი მომავალი აქვს. ეს ბიჭი "ბაიერნის" საკუთრებაა და ახლა რეკორდმაისტერის მეორე გუნდის ღირსებას იცავს. მან უკვე გააფორმა წინასწარი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, გახდება თუ არა 18 წლის, მიუნხენურ გიგანტს თავის ბედს 5 წლით დაუკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ კროოსს ლონდონის "ჩელსი" ეპატიჟებოდა, უაღრესად ნიჭიერმა ფლეიმეიქერმა ინგლისურ გრანდს უარი შეუთვალა და "ბაიერნში" დარჩენა გადაწყვიტა. იმისათვის, რომ უკეთ გაიგოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ბიჭი ბავარიული გიგანტისთვის, FCB-ს გენერალური მენეჯერის, ული ჰაინესის სიტყვებს მოვიშველიებთ: "ჩვენ მე-10 ნომერს სწორედ ტონის ვუნახავთ!" კროოსს "ბილდის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

- ჰერ კროოს, მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატის შემდეგ, შვებულება შეიმცირეთ და უარი თქვით დასვენებაზე, რათა "ბაიერნის" მეორე გუნდთან ერთად რეგიონალლიგაში გეთამაშათ. ფეხბურთელები ასე იშვიათად იქცევიან ხოლმე...

- საკმაოდ დასვენებული ვიყავი, ფეხბურთის თამაში კი იმდენად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რომ ძალიან დაღლილიც რომ ვყოფილიყავი, "ჰანზას" მეორე გუნდთან თამაშზე უარს მაინც არ ვიტყოდი. ვიცი, რომ ჩემი შესაძლებლობები ყველა შეხვედრაში უნდა დავამტკიცო.

- იმავე დღეს, "ბაიერნის" პირველი გუნდი "შალკეს" ეთამაშებოდა. განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ამ შეხვედრის განაცხადში ყოფილიყავით?

- ცხადია, მეც ამაზე ვოცნებობ - მინდა, რომ რეკორდმაისტერის ძირითად გუნდში მოვხვდე და ვიცი, რომ ეს მალე მოხდება. არსად არ მეჩქარება - ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ და ისიც დიდი მიღწევაა, რომ რეგიონალლიგის გუნდის ლიდერად მიმიჩნევენ. იმედი მაქვს, რომ ოტმარ ჰიტცფელდი პირველ გუნდში ამ სეზონშივე მათამაშებს, თუნდაც რამდენიმე წუთით.

- 17-წლამდელთა მუნდიალზე ფრანც ბეკენბაუერმა ოქროს ბურთი გადმოგცათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდით. 2003 წელს ეს ჯილდო სესკ ფაბრეგასმა მიიღო, რომელიც დღეს ლონდონის "არსენალის" ერთ-ერთი ლიდერია. 2005 წელს ოქროს ბურთი ბრაზილიელ ანდერსონს გადაეცა, რომელიც ცოტა ხნის წინათ "მანჩესტერ იუნაიტედმა" 25 მილიონ ევროდ შეიძინა. რა იქნება კროოსის შემთხვევაში?

- თქვენ მიერ ჩამოთვლილმა ფეხბურთელებმა უდიდესი პროგრესი განიცადეს, მაგრამ მხოლოდ ამის მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ მეც ფაბრეგასის დონის მოთამაშე გავხდები. ამისათვის შრომაა საჭირო, თორემ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი დაკარგულა. ფაბრეგასიც ჩემი ერთ-ერთი კუმირია, მისი თამაში ძალიან მხიბლავს.

- "ჩელსის" თქვენი გადაბირება უნდოდა და ლონდონელები მზად იყვნენ, "ბაიერნისთვის" დიდი ფული გადაეხადათ, მაგრამ თქვენ მიუნხენში დარჩენა ამჯობინეთ...

- შემოთავაზებები ბევრი იყო. "ჩელსის" გარდა კიდევ რამდენიმე ევროპული გრანდი მეპატიჟებოდა, მაგრამ დიდხანს არ მიფიქრია და ჩემი ბედი "ბაიერნს" დავუკავშირე, რადგან აქ უფრო ვხედავ პერსპექტივას.

- გადაწყვეტილება თვითონ მიიღეთ თუ ოჯახის წევრებმა იქონიეს გავლენა?

- ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო. არც ისე პატარა ვარ, სერიოზული გადაწყვეტილების მიღება თვითონაც შემიძლია.

- პერსპექტივაში რა იგულისხმეთ?

- თუკი პროგრესირებას გავაგრძელებ და წინ ისეთივე ტემპით წავალ, როგორც აქამდე მოვედი, სულ მალე "ბაიერნის" მაისურით ბუნდესლიგაში ვითამაშებ, ეს კი ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა. ესეც არ იყოს, გერმანელი ვარ და მირჩევნია გერმანული გრანდის ფეხბურთელი გავხდე, ვიდრე სხვა ქვეყნის კლუბს ვემსახურო.

- რეკორდმაისტერში მე-10 ნომერი თავისუფალია და ული ჰაინესმა ამას წინათ თქვა, ამ მეტად საპატიო ნომერს, კროოსს ვუნახავო...

- "ბაიერნში" 10 ნომრიანი მაისურით? ეს მართლაც გენიალური იქნებოდა. მხოლოდ ამისთვის ღირდა ამ გუნდთან კონტრაქტის გაფორმება. ეს ჩემთვის ზემოთ ხსენებულ ოქროს ბურთზე გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება.

- ვინ არიან თქვენი კუმირები?

- გამთამაშებელი ვარ და ცხადია, ყოველთვის ამ პოზიციის ფეხბურთელებს ვაკვირდები. ჩემთვის მისაბაძი მაგალითი "ვერდერის" ყოფილი ფლეიმეიქერი ჟოან მიკუა, რომლის ნებისმიერ მოძრაობას ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, ვარჯიშზე გამემეორებინა. განსაკუთრებით მიკუს პასები მხიბლავდა - პასი ჩემთვის გოლზე მნიშვნელოვანია.

- საფეხბურთო აგენტებმა უკვე დაიწყეს თქვენზე ნადირობა და თუ ასე გააგრძელებთ, მალე უდიდესი რიგი დაგიდგებათ...

- აგენტებსა და მრჩევლებს შეუძლიათ, ფული დაზოგონ - ნუ დამირეკავენ. აგენტი არაფერში მჭირდება. თუ კითხვები დამებადება, მამაჩემზე უკეთეს მრჩეველს ვერსად ვნახავ. როგორც სპორტული, ასევე ცხოვრებისეული თვალსაზრისით, მამა ჩემი საუკეთესო მეგობარია და რჩევებსაც მხოლოდ მისგან მივიღებ.

- მეგობარი გოგონა გყავთ?

- არა და მყარი ურთიერთობა ჩემთვის არცაა აუცილებელი - ფეხბურთი უპირველეს ყოვლისა!

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ბაიერნის ტალანტ ტონი კროოსთან

გოგონები მოიცდიან, ფეხბურთი უპირველეს ყოვლისა!

ჰიონესი ათნომრიან მაისურს 17 წლის ტალანტს უნახავს...

ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტურის წინ

შესუსტებული ჩელსი ფერზე მოსული ეშმაკების მეინუში



ჩელსის ახალი თავკაცი აბრაამ გრანტი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არსენალი	5	4	1	0	10-4	13
2. მანჩესტერ ს.	6	4	0	2	5-2	12
3. ლივერპული	5	3	2	0	11-2	11
4. მანჩესტერ იუნ	6	3	2	1	4-2	11
5. ჩელსი	6	3	2	1	7-6	11
6. ვესტ ჰემი	5	3	1	1	8-3	10
7. ევერტონი	6	3	1	2	8-6	10
8. ბლეკბერნი	5	2	3	0	5-3	9
9. ნიუკასლი	4	2	2	0	6-3	8
10. ფულჰემი	6	2	2	2	7-5	8
11. ასტონ ვილა	5	2	1	2	5-4	7
12. ბირმინგემი	6	2	1	3	7-9	7
13. მიდლსბრო	6	2	1	3	7-9	7
14. სანდერლენდი	6	2	1	3	5-9	7
15. პორტსმუთი	6	1	3	2	7-8	6
16. ფულჰემი	6	1	2	3	9-11	5
17. ტოტენჰემი	6	1	1	4	9-11	4
18. რედინგი	6	1	1	4	3-10	4
19. ბოლტონი	6	1	0	5	7-11	3
20. დერბი	5	0	1	4	3-15	1

დღეს

არსენალი-დერბი
ლივერპული-ბირმინგემი
მიდლსბრო-სანდერლენდი
რედინგი-ვიგანი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი

ხვალ

ნიუკასლი-ვესტ ჰემი
ასტონ ვილა-ევერტონი
ბლეკბერნი-პორტსმუთი
ბოლტონი-ტოტენჰემი
მანჩესტერ იუნ.-ჩელსი

უმწვრთნელო და ტრავმებით შესუსტებული "ჩელსი" მანჩესტერში მიემგზავრება. "არისტოკრატების" დროებით დამრიგებელ **აბრაამ გრანტს** პირველსავე შეხვედრაში უმძიმესი გამოცდა ელის. ამ სეზონში ლონდონური გრანდი საკუთარ თავს არა ჰგავდა. ის ვერც შიშის ზარს სცემდა მეტოქეს და ვერც გოლები გაჰქონდა. ახლა "ჩელსის" ქარიზმატული მწვრთნელიც გამოაკლდა. მიმომხილველები უფრო დიდი კრიზისის დადგომას ვარაუდობენ. სტუმრებს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი **დიდიე დროგბაც** ვერ დაეხმარება. დაშავებულები არიან **ფრენკ ლემპარდი, მიხაელ ბალაკი** და **რიკარდო კარვალიო**. "ჩელსის" სამი თამაშია, არ მოუგია (პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში), ექვს შეხვედრაში მხოლოდ შვიდი გოლი გაიტანა და მეხუთე ადგილი უჭირავს. სატურნირო ცხრილს თუ თვალს შევავლებთ, დავწმუნდებით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედიც" არ არის უკეთეს დღეში. მას ექვს თამაშში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი გოლი აქვს გატანილი. მაგრამ "ეშმაკებმა" კრიზისი დაძლიეს და ჩვეულ დონეზე ათამაშდნენ. "ჩელსის" კი პრობლემები ახლა დაუგროვდა. "იუნაიტედს" **კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი** დაუბრუნდნენ.

ამ წუთისათვის ინგლისის საუკეთესო გუნდი "არსენალია". არა მხოლოდ იმიტომ, რომ გუნდმა პრემიერლიგის ხუთ შეხვედრაში 13 ქულა დააგროვა. მან ამ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჩათვლით, რვა თამაში ჩაატარა და შვიდი მოიგო. "მეთოფეებმა" ამბიციურ "სევილიას" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. დღეს კი მაჩანჩალა "დერბის" მიიღებენ. მასპინძლებს **ტომაშ როსიცკი** ვერ დაეხმარება. ჩეხი ნახევარმცველი ორი კვირა დაისვენებს. მან ჩემპიონთა ლიგის პირველსავე ტურში ტრავმა მიიღო. როსიცკიმ მუხლის მყესები დაიზიანა. ოთხშაბათის შეხვედრაში ის მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე შეცვალეს. ვენგერმა ტომაშის ტრავმის გამო იმედგაცრუება ვერ დამალა, უფრო მშვიდად ვარ, როცა ის ძირითადში მეგულებაო. დაშავებულები არიან ცენტრალური მცველი **ფილიპ სენდეროსი** და ნახევარმცველი **ალექსანდრ გლები**. კვლავ ვერ ითამაშებენ მცველი და კაპიტანი **ვილიამ გალასი**, კიდევ ერთი უკანახაზელი **ემანუელ ებუე** და მეკარე **იენს ლემანი**. მაგრამ "არსენალი" საკადრო პრობლემებს არად დაგიდევთ და ქულებს გამალებით იხვეჭს. ასე იყო აქამდე და საეჭვოა, მასპინძლებს "დერბისთან" პრობლემები შეექმნათ. სტუმრები იმავე შემადგენლობას გამოიყვანენ, რომელმაც ორშაბათს სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა. შეგახსენებთ, გუნდმა "ნიუკასლს" მინიმალური ანგარიშით მოუგო...

"ლივერპული" "ბირმინგემ სიტის" მასპინძლობს. მერსისაიდელები გამოკვეთილი ფავორიტები არიან, მიუხედავად იმისა, ორი წამყვანი ფეხბურთელი დაუშავდათ. **დანიელ აგერი** და **ჩაბი ალონსო** ექვს-ექვს კვირას დაისვენებენ. მათ იდენტური ტრავმები აქვთ. ორივე ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. აგერმა და ალონსომ ტერფის ძვალი გაიტეხეს. ამის მიუხედავად, აგერმა "პორტსმუთთან" წინა ტურში ითამაშა. ნამატჩევს მას ფეხი გაუსივდა, ამიტომ პორტუგალიაში ("პორტუსთან" სამშაბათის მატჩისას) სკამზე გაამწესეს. ჩაბი ალონსომ "პორტსმუთთან" დაისვენა და კვირას და ორშაბათს გუნდთან ერთად ივარჯიშა, მაგრამ გაუსაძლისი ტკივილის გამო "პორტუსთან" მატჩის განაცხადში ვერ შეიყვანეს. ისინი "ბირმინგემთან", "ევერტონთან", "ტოტენჰემთან" და "არსენალთან", აგრეთვე "მარსელსა" და "ბეშიქთაშთან" თამაშებს გამოტოვებენ. რაკი ამ ორ მოთამაშეზე ამდენი ვისაუბრეთ, იმასაც გეტყვით, რომ "ლივერპულს" **იონ არნე რიისე** და **ფაბიო აურელიო** გამოუჯანმრთელდა. "ბირმინგემს" კი **დემიენ ჯონსონი** ვერ დაეხმარება.

"მანჩესტერ სიტის" **სტივ ირლანდი** უბრუნდება, დისკვალიფიკაცია მოიხადა კაპიტანმა **რიჩარდ დანმა**. დაცვის ცენტრში ის **მიკა რიჩარდსთან** ერთად ითამაშებს. აუტსაიდერი "ბოლტონი" "ტოტენჰემს" ეთამაშება. ორივე გუნდის დამრიგებლის სკამი შერყეულია. ამიტომ შეიძლება ისევ მოხდეს, რომ ნამატჩევს **სემი ლი** ან **მარტინ იოლი** უსამსახუროდ დარჩეს.

დიდიე დროგბა

ჩელსი. მოსალოდნელი ცვლილებები

დროგბა შეიძლება ნავიდეს

მოურინიოს შემდეგ სტემფორდ ბრიჯზე შეიძლება რამდენიმე ლიდერმა დატოვოს...

დიდიე დროგბამ, შეიძლება, **ჟოზე მოურინიოს** მიბაძოს. კოტდივუარელი თავდამსხმელი მწვრთნელის წასვლას ისე განიცდის, რომ მზადაა, დაუყოვნებლივ ახალი სამსახური მოძებნოს. დიდიეს მეგობარმა "სანს" აუწყა, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის კლუბს ტრანსფერზე დაყენებას მოსთხოვს, საკითხავია, ამას როდის გააკეთებსო. დროგბა დაშავებულია. მისი დაბრუნების თარიღი უცნობია. ფორვარდი არ მალავს, რომ ძველებული მონდომებით ვეღარ ითამაშებს. გასულ სეზონში დიდიე "ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან ყველა ტურნირში 33 გოლი შეაგდო. ფეხბურთელი დაახლოებით 25 მილიონი გირვანქა ღირს. უცნობია, რომელი კლუბი გადაიხდის მის სანაცვლოდ ამხელა თანხას. დროგბა "არისტოკრატების" ერთადერთი ვარსკვლავი არ არის, რომელმაც ბოლოდროინდელი მოვლენები უარყოფითად შეაფასა. იმედგაცრუებულია **მიკაელ ესიენი**. მოურინიოს ყველაზე გავლენიან მოკავშირეს, **ფრენკ ლემპარდს** კი კონტრაქტში 21 თვე აქვს დარჩენილი. მიმომხილველთა ვარაუდით, ლემპარდის დარჩენის შანსი 50 პროცენტს არ აღემატება. ტრანსფერზე დაყენება შეიძლება მოითხოვონ **რიკარდო კარვალიომ** და **პაულუ ფერეირამ**. ლონდონურ გრანდში დიდი ცვლილებებისათვის ემზადებიან.

ბაიერნი

რუმენიგე: ფულს აღარ დავზოგავთ!

ვიცე-პრეზიდენტი ფანებს მომავალშიც ხმაურიან ტრანსფერებს ჰპირდება...

"ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მიუნხენური კლუბის გულშემატკივრებს დაპირებას აძლევს, ფულს აღარ დავზოგავთ და გაისადაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელებს შევიძენთო. *"ლუკა ტონის, ფრანკ რიბერისა და მიროსლავ კლოზეს მაგალითებმა გვიჩვენა, რომ სწორ გზას დავადექით, როცა ინვესტირება გადავწყვიტეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან "ბაიერნი" აქცენტს არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე გააკეთებს,"* - განუცხადა კალემ "შპორტ-ბილდს".

მაგრამ რუმენიგე იმასაც ამბობს, რომ მომავალ ზაფხულს ახალ ფეხბურთელებში 70 მილიონი ნამდვილად არ დაიხარჯება. როგორც იცით, რეკორდმაისტერმა გასულ ზაფხულს სწორედ ამდენი გაიღო, რითაც პირადი რეკორდი დაამყარა. ამიტომაცაა, ამ "ბაიერნს" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულს რომ უწოდებენ. *"ჩვენი მიზანია, გუნდი ნაბიჯ-ნაბიჯ გავაძლიეროთ. ანუ, როცა დავინახავთ, რომ ამა თუ იმ პოზიციაზე დეფიციტია, ვიყიდით ერთ, ოღონდ ნამდვილ ვარსკვლავს,"* - ამბობს რუმენიგე. წარსულში, "ბაიერნი" ყოველი სეზონის წინ, საშუალოდ 22 მილიონ ევროს ხარჯავდა ხოლმე. კალეს თქმით, რეკორდმაისტერი ამიერიდანაც დაახლოებით ამდენს გაიღებს, ოღონდ მხოლოდ ერთ ან ორ ფეხბურთელში. შედარებისთვის, მიუნხენურმა კლუბმა ამ სეზონის წინ 25 მილიონი მხოლოდ **რიბერიში** დახარჯა.

"კონცეფცია სახეზეა," - აცხადებს **ოტმარ ჰიტცფელდი**, - *"ზამთრამდე მოვიცდით და ვნახავთ, რა და როგორ იქნება. მხოლოდ შობის შემდეგ გამოჩნდება, სად გვიჭირს და სად არა."* ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ამ სეზონის შემდეგ კონკურენტი არ ეყოლება, მეკარე **მიხაელ რენზინგია**. რუმენიგე ამბობს, რენზინგს კონკურენტს არ ვუყიდით, ეს ამთავითვე ცხადიაო. ანუ, უკვე ცნობილია, რომ **ოლივერ კანის** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, რეკორდმაისტერის კარს აუცილებლად რენზინგი დაიცავს.


ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი კალე რუმენიგე

დიდი პრივატიზაცია

პრემიერლიგა ინგლისელი ბოსების გარეშე რჩება

ოცდან თვრამეტი კლუბი მალე უცხოელი ინვესტორების ხელში გადავა...

ანალიტიკოსთა ვარაუდით, მომდევნო ხუთ წელიწადში პრემიერლიგის 20 კლუბიდან 18-ს უცხოელი მეპატრონე ეყოლება. ამ ინფორმაციას "დეილი ტელეგრაფი" ავრცელებს. ინგლისის უმაღლეს დივიზიონში უცხოელი ბოსი უკვე ცხრა კლუბს ჰყავს, დანარჩენები მოლაპარაკებებს მართავენ ან საამისოდ ემზადებიან. ჯერჯერობით მხოლოდ ორი კლუბის მფლობელს არ გამოუთქვამს არავითარი ინტერესი, საკუთარი აქციების სანაცვლოდ მილიონებით გაისქელოს ჯიბე. ეს ორი მოჰიკანი "ვიგანისა" და "მიდლსბროს" მფლობელები, **დეივ ველანი** და **სტივ გიბსონი** არიან. ამ სეზონიდან ძალაში შევიდა პრემიერლიგის ახალი სატელევიზიო კონტრაქტი. ის კლუბებს 2.7 მილიარდ გირვანქას მოუტანს. რა გასაკვირია, რომ ამ კლუბების სათავეში ყოფნა მაცდუნებელია. ძველ მფლობელებს, თუკი ისინი ცდუნებას გაუძლებენ, სოლიდური შემოსავლები ელით, მაგრამ პლანეტის სუპერმდიდარი ადამიანები მათ იმდენს სთავაზობენ, რომ ერთბაშად მდიდრდებიან. ბიზნესი, რომელსაც ინგლისური ფეხბურთი ჰქვია, ისეთ მასტშაბებს აღწევს, რომ **რომან აბრამოვიჩის** მიერ "ჩელსიში" დაბანდებული 500 მილიონი გირვანქა, შეიძლება, ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს. **გლეიზერების** 800 მილიონი გირვანქაც თანდათან აქტუალობას კარგავს. სპეკულაციების თანახმად, ჩინური კონსორციუმი "მანჩესტერ იუნაიტედის" სანაცვლოდ უკვე 1 მილიარდ გირვანქას იხდის.

გაზაევი ქოლომოტივში მიდის

მოსკოვის "ლოკომოტივმა" მომავალი სეზონისათვის ავტორიტეტული მწვრთნელი დაიბეკა. რუსული სააგენტოების ცნობით, **რკინიგზელებმა ვალერი გაზაევთან** წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს. ეს სპეციალისტი მოსკოვის ცსკას დამრიგებელია. მისი შეგირდები ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ, თუმცა რუსეთის ჩემპიონატში საქმე ცუდად მისდით. ცსკამ დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ გაზაევთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებდა. ვალერი გეორგევიჩი "ლოკომოტივში" **ანატოლი ბიშოვეცს** შეცვლის.

ცსკა ჰიდინკმა დაამარცხა?

მოსკოვის ცსკამ ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში "ეინდჰოვენთან" 1:2 წააგო. როგორც ირკვევა, ჰოლანდიელმა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა რუსეთის ნაკრების თავკაცი **გუუს ჰიდინკმა**. ამ უკანასკნელმა "ეინდჰოვენის" დამრიგებელ **რონალდ კუმანს** სულ წვრილად მოახსენა არმიელი ფეხბურთელების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. მოგეხსენებათ, ჰიდინკი პსვ-ს ყოფილი დამრიგებელია. ის კუმანს საკუთარ შეგირდად თვლის. ჰოლანდიაში ყოფნისას მისტერ გუუსი ხშირად სტუმრობს ეინდჰოვენელთა ბაზას და რონალდთანაც ინტენსიურ კონსულტაციებს მართავს. მოსკოვური კლუბის წარმომადგენლებს ამ ინფორმაციაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მესამე ყმაწვილი ლისაბონიდან მეინუში

გასულ ოთხშაბათს "მანჩესტერ იუნაიტედი" ლისაბონის "სპორტინგს" ესტუმრა. ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში "ეშმაკებმა" 1:0 გაიმარჯვეს. გადამწყვეტი გოლი **კრისტიანო რონალდომ** შეაგდო. რონალდო "სპორტინგის" ყოფილი ფეხბურთელია. მან გულშემატკივრებს გოლის გამო ბოდიშიც კი მოუხადა. "მეინუმ" კრისტიანო 2003 წლის ზაფხულში შეიძინა. ამ კლუბების ურთიერთობასაც მაშინ ჩაეყარა საფუძველი. "იუნაიტედმა" "სპორტინგის" ახალგაზრდა ფეხბურთელებზე პირველი არჩევანის უფლება მიიღო. თუკი ლისაბონელები ვინმეს ტრანსფერზე დააყენებენ, ჯერ "მანჩესტერს" აუწყებენ ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ ყიდიან სხვაგან. გასულ ზაფხულს "იუნაიტედმა" კიდევ ერთი სპორტინგელი, **ნანი** შეიძინა. ახლა კი მესამე ყმაწვილის წაყვანას გეგმავს. "ეშმაკების" ყურადღება **რაბიუ იბრაჰიმმა** მიიპყრო. 17 წლის ნიგერიელი ლეგიონერი შემტევი ნახევარმცველია. მან "ჩელსი" და "ლივერპულიც" აკვირდებიან.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. IV ტურის წინ

ბარსას პუიოლი უბრუნდება, რეალს პეპე

დღეს

რეკრეატივო-ესპანიოლი
ბარსელონა-სევილია

ხვალ

ვილიარეალი-მურსია
ლევანტე-ბილბაო
ალვერია-ვალიოლიდი
ხეტაფე-დეპორტივო
სარაგოსა-ოსასუნა
გეტისი-ვალენსია
ატლეტიკო-რასინგი
ვალიადოლიდი-რეალი

ზედიზედ სამი გამარჯვების მოპოვების შემდეგ მადრიდის "რეალი" მეოთხე შეხვედრის მოგებისთვის ემზადება. **ბერნდ შუსტერის** ბიჭებს "ვერდერის" დამარცხებამ განწყობა კიდევ უფრო გაუუმჯობესა. სამეფო კლუბს ამჯერად პრიმერა დივიზიონის დებიუტანტ "ვალიადოლიდთან" "ხოსე სორილიაზე" მოუწევს შერკინება. მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ შუსტერს გარკვეული პრობლემები შეექმნა. როგორც ჩანს, "ვერდერთან" დაშავებული **კრისტოფ მეტცელდერი** გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს და კასტილიისა და ლეონის დედაქალაქში თამაშს ვერ შეძლებს. სპეციალისტები გერმანელ მცველს შესაშურ შეფასებას აძლევდნენ. ისინი ამბობენ, რომ მეტცელდერი ახალ გუნდს მშვენივრად შეეწყო და დაცვა საგრძნობლად გააძლიერა. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, მისი არყოფნა სერიოზული პრობლემაა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ შეუცვლელი ადამიანები, ფაქტობრივად, არ არსებობენ. ჭერ ბერნდისთვის საბედნიეროდ, **პეპეს** რეაბილიტაციის საქმე დაგეგმილზე უკეთ ნარიმართა. "რეალის" ახალწვეულმა ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. სავარაუდოა, რომ ის ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება და მეტცელდერს შეცვლის.

გაბრიელ ჰაინცე კარგ ფორმაშია... შუსტერმა არ დამალა, რომ არგენტინელს ძირითადი შემადგენლობისთვის ამზადებს. შეგახსენებთ, ჰაინცემ "ალმერიასთან" მატჩში ტრავმა მიიღო და ერთი კვირით ლაზარეთში ამოყო თავი. ვალიადოლიდში გამგზავრებამდე სამეფო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივრები დამაიმედებელი ინფორმაციით დაამშვიდა. გერმანელის თქმით, გუნდი ფანტასტიკურადაა მომზადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქელი ვარსკვლავები "ხოსე სორილიაზე" მხოლოდ და მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებენ.

კარლეს პუიოლმა მიკრო ტრავმა მოიშუშა. ექიმებმა "ბარსელონის" კაპიტანს სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლება მისცეს. **ფრანკ რიიკაარდმა** ამით ძალიან გაიხარა და შეგირდს მომქანცველი ვარჯიშით ტყავი გააძრო. კატალონიელებს "სევილიასთან" ურთულესი დაპირისპირების გამართვა მოუწევთ. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალი ტრავმები და დისკვალიფიკაციები რიიკაარდს ხელს არ უშლის. ჰოლანდიელ სპეციალისტს დიდი იმედი აქვს, რომ ბოლო ვარჯიშები გართულების გარეშე ჩაივლის და არც ერთი მოთამაშე არ დაშავდება.

"კამპ ნოუზე" საბრძოლველად ანდალუსიელებიც არანაკლები შემართებით ემზადებიან. ჩემპიონთა ლიგაში, "არსენალთან" განცდილმა ფიასკომ "სევილიის" ფეხბურთელებს განწყობა ძალიან კი გაუფუჭა, მაგრამ **ხუანდე რამოსმა** ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეგირდებს ლონდონური ტკივილი განელებოდათ და ახალი თავგადასავლისთვის მაქსიმალურად მომზადებულიყვნენ. რიიკაარდის მსგავსად, ტრავმები და დისკვალიფიკაციები სენიორ რამოსსაც არ შეუშლის ხელს.

"ვალენსია" მორიგი ტურის შეხვედრას "მანუელ რუის დე ლოპერაზე" გამართავს. სევილიელებთან პაექრობის წინ **კიკე სანჩეს ფლორესს სანტიაგო კანისარესი** დაუშავდა. როგორც ჩანს, "ღამურების" ახალწვეულ **ტიმო ჰილდებრანდს** შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მიეცემა. ვალენსიელი ექიმების თქმით, კანისარესი გამოჯანმრთელებას ალბათ ვერ მოასწრებს. "ბეტისთან" თამაშს ყველაზე დიდი ემოციური დატვირთვა **ხოაკინისთვის** ექნება. გამოცდილმა ესპანელმა ნახევარმცველმა განაცხადა, თუ გოლს გავიტან, ყოფილი გუნდის გულშემატკივრებს არ გავაღიზიანებ და სიხარულს მოკრძალებულად გამოვხატავო.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	3	3	0	0	10-2	9
2. სევილია	2	2	0	0	8-2	6
3. ვილიარეალი	3	2	0	1	4-5	6
4. ვალენსია	3	2	0	1	4-5	6
5. ბარსელონა	3	1	2	0	3-1	5
6. მურსია	3	1	2	0	3-2	5
7. რასინგი	3	1	2	0	2-1	5
8. ვალიერკა	3	1	1	1	4-2	4
9. ვალიადოლიდი	3	1	1	1	4-4	4
10. ესპანიოლი	3	1	1	1	3-3	4
11. დეპორტივო	3	1	1	1	3-5	4
12. ალმერია	3	1	0	2	5-5	3
13. ოსასუნა	2	0	2	0	0-0	2
14. გეტისი	3	0	2	1	3-4	2
15. სარაგოსა	3	0	2	1	3-4	2
16. ატლეტიკო	3	0	2	1	3-4	2
17. ბილბაო	3	0	2	1	2-4	2
18. რეკრეატივო	3	0	2	1	3-6	2
19. ხეტაფე	3	0	1	2	2-6	1
20. ლევანტე	3	0	1	2	0-4	1

ექსპერტის მოსაზრება

ზარმაცი რონალდინიო, თუ მშიშარა რიიკაარდი?

სამი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, ისეთი წამის დადგომას, როცა **რონალდინიო** კბილებს აღარ გამოაჩენდა. გაუჩო ყოველთვის იღიმოდა და თამაშით განუზომელ სიამოვნებას იღებდა. ცხადია, მისი შემხედვარე გულშემატკივრებიც ძალიან კმაყოფილები და ნასიამოვნები იყვნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრმ ბევრი რამ შეცვალა. რონალდინიომ ჯერ თამაშის დამახასიათებელი მომაჯადოებელი სტილი დაკარგა, შემდეგ კი საფირმო ღიმილი.

მიმდინარე სეზონის დაწყების წინ, "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ ბრაზილიელს ყველაზე ხანგრძლივი შვებულება მისცა. კატალონიელები იმედოვნებდნენ, რომ გადაღლილი ვარსკვლავი კარგად დაისვენებდა და გუნდს ამაღლებული განწყობილებით დაუბრუნდებოდა. მოლოდინი არ გამართლდა. რონალდინიომ ზუსტად ისე დაიწყო, როგორც წინა სეზონი დაასრულა. ფეხბურთელმა დრიბლინგი დაკარგა. სისწრაფეც სადღაც გაქრა. მთელ დროს ინერტულად ატარებს და ფლანგიდან უსარგებლო შეტევების ნამოწყებას ცდილობს. ამ ყველაფერს გულშემატკივრები შესანიშნავად ხედავენ. რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელიც...

რიიკაარდს პრობლემები აღარ სურს და რონალდინიო ბოლო სამ შეხვედრაში შეცვალა. გაუჩო ამით აღშფოთებული დარჩა. განრისხება არც დაუმალავს. "ლიონთან" მატჩში მას მკვლელის გამომეტყველება ჰქონდა. ბრაზილიელი ერთი-ორჯერ წინა სეზონებშიც შეუცვლიათ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელს ცუდ განწყობას ქომაგების ოვაციები უქარვებდა. ამჯერად "ბარსას" მეათე ნომერს ინჩასებმა სტვენა დაატეხეს თავს.

გუშინ კატალონიელებმა მსუბუქი ვარჯიში ჩაატარეს. რონალდინიო თანაგუნდელებს გვერდიდან არ სცილდებოდა. ყურადღებით მუშაობდა და მწვრთნელის მითითებებს ზედმიწევნით ასრულებდა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ გაუჩო ფიზიკურად ძალიან ცუდადაა მომზადებული. როგორც ჩანს, რიიკაარდმა უჩვეულოდ რთული საკონტროლო მატჩი მიზნობრივად ჩაატარა. მწვრთნელმა შეგირდებს დაავალა, რომ ერთმანეთი არ დაენდოთ და მთელი ძალით ეთამაშათ. მეათე ნომერი ორთაბრძოლებში შესვლას აგვიანებდა. არც დრიბლინგი გამოსდიოდა და გოლის გატანაც ვერ შეძლო.

"ბარსელონასთან" დაახლოებული პირები ამბობენ, რომ მთავარ მწვრთნელს რონალდინიოს ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება სურს, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს. ფრანკს ეშინია, ვაითუ სათადარიგოთა სკამზე დავსვა და ის თამაში ნავაგოო. ხალხი იფიქრებს, რომ ყველაფერი რონალდინიოს უგულებელყოფის ბრალიაო. შექმნილი სიტუაცია მაფიქრებინებს, რომ "ბარსელონა" სეზონის განმავლობაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდება. ერთი შეხედვით, კვანძის გახსნა ორი ადამიანის პრეროგატივაა. ან რონალდინიომ მეტი უნდა ივარჯიშოს, ან რიიკაარდმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღოს. ზოგჯერ მარტივი სიტუაცია უკიდურესად რთულდება ხოლმე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბრაზილიელი თავს ზედმეტად არ შეიწუხებს. არც ჰოლანდიელი ჩქარობს შეგირდის სათადარიგო შემადგენლობაში გადაყვანას...

ემილიო ვალფუენტე
დიარიო ასი

მარსელოს მადრიდში დიდი გეგმები აქვს

ინტერვიუ მარსელოსთან

რობერტო კარლოსს დაგავიწყებთ

მარსელო მადრიდის "რეალში" 2007 წლის იანვარში გადაბარგდა. ასაკიდან გამომდინარე მას სამეფო კლუბში დამკვიდრება საკმაოდ გაუჭირდა. ფაბიო კაპელო მარსელოს რობერტო კარლოსს ამჯობინებდა. რა თქმა უნდა, სწორი არჩევანია, თუმცა მოგეხსენებათ, კარლოსმა "სანტიაგო ბერნაბეუ" დატოვა და "ფენერბაჰჩეში" გადაბარგდა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ბრაზილიელს ძირითადი შემადგენლობის კარი გაეხსნა. თავდაპირველად ბერნდ შუსტერმა როისტონ დრენტეს მიანიჭა უპირატესობა და დაცვის ფლანგი ჩააბარა, მაგრამ გასულ სამშაბათს, გერმანელმა სპეციალისტმა მარსელოზე შეაჩერა არჩევანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ვერდერთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ოკეანისგაღმელმა შესანიშნავად იასპარეზა. "დიარიო ასის" კორესპონდენტმა მარსელოსთან ინტერვიუს მომზადება გადაწყვიტა. ფეხბურთელმა ის ულამაზეს მადრიდულ ბაღში, "პარკე დე რეტიროში" დაიბარა, სადაც შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

- მარსელო, "ვერდერთან" შეუდარებელი იყავით. არ შემეშინდება იმის თქმა, რომ გერმანელების წინააღმდეგ საუკეთესო თამაში აჩვენეთ მას შემდეგ, რაც სამეფო კლუბში გადმობარგდით.

- აბსოლუტურად გეთანხმებით. დაცვაში საიმედოდ ვთამაშობდი და შეტევებშიც კარგად ვერთვებოდი. არ დაგიმალავთ, რომ ჩემი ასპარეზობით მეტისმეტად კმაყოფილი დავრჩი.

- მიმდინარე სეზონის დაწყების წინ "რეალის" ხელმძღვანელობას თქვენი განათხოვრება სურდა, მაგრამ წასვლა იუარეთ. რატომ?

- იმიტომ, რომ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული გახლავართ და მჯერა, რომ სამეფო კლუბში არსებულ უსასტიკეს კონკურენციას გავუმკლავდები. ვიცი, რომ კლასი არ მაკლია. დავფიქრდი და მივხვდი, თუ არ წავიდოდი, შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი აუცილებლად მომეცემოდა. როგორც აღნიშნეთ, "ვერდერთან" კარგად ვითამაშე, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. მჯერა, მომავალშიც დავამტკიცებ, რომ ძლიერი ფეხბურთელი ვარ.

- წამითაც არ გიფიქრიათ, რომ სამეფო კლუბიდან წასვლა მოგიწევდათ?

- ჯერჯერობით არა. ცხადია, სამუდამო არაფერია. ადრე თუ გვიან, აქედან წასვლა აუცილებლად მომიწევს, მაგრამ იქამდე ძალიან დიდი დროა. გეფიცებით, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სამეფო კლუბში დიდი კარიერა გავიკეთო.

- "ვერდერთან" მატჩში რობერტო კარლოსის სტილში იასპარეზეთ. ეს თქვენთვის დამახასიათებელი სტილია?

- დიახ. შევეცადე, მშვიდად მეთამაშა. რაც არ უნდა იყოს, დიდი გამოცდილება არ გამაჩნია. ამიტომ, აუცილებელი იყო, რომ სიფრთხილე გამომეჩინა. დროთა განმავლობაში საკმაოდ დაძაბულ ატმოსფეროს შევეგუე და თავდაჯერებაც მომემატა. ბუნებრივია, კიდევ რამდენიმე ორთაბრძოლას თუ ჩავატარებ, კიდევ უფრო თავდაჯერებული გავხდები.

- როგორ გგონიათ, შუსტერი მომავალშიც მოგცემთ შანსს?

- ალბათ.

- რატომ ფიქრობთ ასე?

- "ვერდერთან" მატჩის დასრულების შემდეგ ჩამეხუტა და კარგი თამაში მომილოცა. შუსტერი ჩემ მიმართ კეთილგანწყობილია. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ მომავალშიც მათამაშებს...

- არ გაგვიმხელთ, თამაშის შემდეგ კონკრეტულად რა გითხრათ?

- უბრალოდ მომილოცა და მითხრა, შესანიშნავად ითამაშეო. გამოგიტყდებით, ძალიან სასიამოვნო იყო ამ სიტყვების მოსმენა...

- თქვენ რა უპასუხეთ?

- მადლობა გადავუხადე. მეტი რა უნდა მეთქვა? მან იცის, რომ შრომა არ მეზარება.

- შეძლებთ, "რეალისთვის" ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა გახდეთ, როგორიც რობერტო კარლოსი იყო?

- რატომაც არა? თუ მწვრთნელი მოედანზე გასვლის საშუალებას ხშირად მომცემს, მადრიდელ გულშემატკივრებს რობერტო კარლოსს დავავიწყებ.

- საინტერესოა, თურქეთში წასვლამდე რობერო კარლოსს თქვენთვის რაიმე ხომ არ უსწავლებია ან აუხსნია?

- ძალიან ბევრი რამ ამიხსნა. მეუბნებოდა, თუ აქ ფეხის მოკიდება გსურს, არადამიანურად უნდა იშრომო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალის დაუხამხამებლად გაგაგდებენო. ასევე მასწავლიდა, შორეული მანძილიდან ბურთს როგორ უნდა დავარტყა. სხვათა შორის, საჯარიმოების დახვეწაზეც მავარჯიშებდა.

- სამშაბათამდე "რეალის" მწვრთნელები დიდად არ გენდობოდნენ. ეს გარემოება სერიოზულ პრობლემებს ხომ არ გიქმნიდათ?

- ძალიან მოწყენილი და სევდიანი ვიყავი. იშვიათად ვიღიმოდი. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ახალგაზრდა ბიჭის კვალობაზე ძალიან ამბიციური ვარ, თუმცა ნებისმიერი ფეხბურთელი დამეთანხმება, საშინელებაა, როცა თამაშის წყურვილი გკლავს და მოედანზე გასვლის საშუალება არ გეძლევა. საკმაოდ რთული სიტუაციის მიუხედავად, მუშაობის ხურვილი წამითაც არ დამიკარგავს. პირიქით, მივხვდი, რომ "რეალში" თავის დასამკვიდრებლად გაცილებით მეტი შრომა მჭირდება. თუ ვარჯიშებს ესწრებით, დამეთანხმებით, რომ მინდორზე ყველაზე ადრე შევდივარ და ყველაზე გვიან გამოვდივარ.

- თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

- ისინი ჩემზე ძალიან კეთილად საუბრობენ. ამისათვის მეტისმეტად მადლიერი ვარ. ბიჭების დახმარების იმედი მაქვს. მათი თანადგომის გარეშე საქმის გაკეთება გამიჭირდება.

- კაპელოსა და შუსტერის "რეალი" რითი განსხვავდება ერთმანეთისგან?

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ორივე მათგანი უდიდესი მწვრთნელია.

- ჩემი აზრით, შუსტერი ფეხბურთელებს გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს...

- მართალი ბრძანებით. წინასასეზონო მზადების დაწყების წინ, შუსტერმა გვითხრა: გერმანელი ვარ და როგორც ყველა ჩემი თანამემამულე, გოლის გატანას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებო. იქვე პირობა მოგვცა, რომ მაქსიმალურ თავისუფლებას მოგვანიჭებდა. ბუნებრივია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სენიორ ბერნდი ტაქტიკაზე უარს ამბობს. უბრალოდ, მას სურს, რომ მთავარი მოქმედი პირები ფეხბურთელები იყვნენ.

- მხოლოდ კარგ ამბებზე რომ არ ვისაუბროთ, მოდით, პრობლემებსაც შევეხოთ. მიმომხილველთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ დაცვაში თამაში კარგად არ გეხერხებათ.

- ზოგ ადამიანს, პირი იმისთვის აქვს, რაც მოესურვება ყველაფერი ილაპარაკოს. არ ვამტკიცებ, რომ ამ ეტაპზე მსოფლიოს ყველაზე ძლიერი მცველი ვარ, თუმცა მზად ვარ, ხარვეზების აღმოსაფხვრელად ბევრი ვიმუშაო.

- "ვერდერთან" მატჩში ნერვიულობდით, თუ თამაშისგან სიამოვნებას იღებდით?

- ჩემპიონთა ლიგაში პირველად ვიასპარეზე. ამით უდიდესი ოცნება ავისრულე. მღელვარებამ რამდენიმე წამში გამიარა. ასე რომ, მთელი თამაშის განმავლობაში უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი. სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი. მართლაც უბედნიერესი ადამიანი გახლდით.

- კარში იშვიათად რატომ ურტყამთ?

- თუ კარგი შესაძლებლობა მაქვს, ყოველთვის ვურტყამ. "ვერდერთან" მატჩში მხოლოდ ორჯერ მოვახერხე მეკარე შემეწუხებინა. ვფიქრობ, ყველაფერი კონკრეტული შეხვედრის მსვლელობაზეა დამოკიდებული.

- რაულზე რას მეტყვით?

- დაუჯერებლად ძლიერი და უდიდესი ქარიზმის მქონე მოთამაშეა. როცა რაულს უყურებ, იმედი გეძლევა და ფიქრობ, რომ ვერავინ მოგერევა.

ილია ნიკოლაიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა

მაია გუბიევამ კინაღამ ლიცენზია მოარჯყა

ვიდრე ქართული სპორტის ქომაგთა ყურადღება საჭიდაო სახეობებისკენ იყო მიპყრობილი და იმაზე ვბჭობდით, რომელ სახეობაში რამდენ მედალსა თუ ლიცენზიას მოვიპოვებდით, საქართველომ კინაღამ პეკინის კიდევ ერთი ერთი საგზური მიიღო. თანაც, იქიდან, საიდანაც ნამდვილად არავინ ელოდა - სასტენდო სროლაში. რამდენიმე დღის წინ კვიპროსში მესტენდურთა მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, სადაც **მაია გუბიევას** სულ რაღაც ორი ქულა დააკლდა ლიცენზიამდე. მან სასანგრე სტენდზე საკვალიფიკაციო ეტაპი 64 ქულითა და მე-15 ადგილით დაამთავრა, მაგრამ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა მეექვსეზე გასულ ლიტველ დაინა ჰუძინევიჩუტეს, რომელსაც ერგო კიდეც ლიცენზია. მართალია, აქ საგზურს მხოლოდ ჩემპიონი იღებდა, მაგრამ ხუთეულში მოხვედრილ სპორტსმენებს ლიცენზიები უკვე მოპოვებული ჰქონდათ. საწყენია, როცა მიზანს ასე მცირედით დააცილებ, თუმცა გუბიევა შესაბამისი ბაზების არქონის გამო, პრაქტიკულად, ვერ ვარჯიშობს. სამწუხაროა, რომ მას ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი კიდევ არ მიეცემა - ეს ბოლო სალიცენზიო ტურნირი იყო.

კვიპროსში ჩვენმა კაცთა ნაკრებმაც ისროლა, მაგრამ წარუმატებლად - 138 მონაწილეს შორის **გივი შენგელია** 115 ქულით 67-ზე გავიდა, **დავით ქვათაძე** 108-ით 113-ეა, **პავლე ლაკია** კი 102 ქულით 128 იყო.

ამით ჩვენი მესტენდურებისთვის სეზონიც დასრულდა. ბუნებრივია, საერთაშორისო კალენდარში კვლავაც ბევრი შეჯიბრებაა შეტანილი, მაგრამ რაკი ისინი ლიცენზიებს არ იძლევიან, არც ჩვენებს გაუშვებს იქ ვინმე.

უცხოური შეჯიბრებები ტყვიის მსროლელებმაც დაამთავრეს, თუმცა მათთვის სეზონი ჯერ ისევ გრძელდება. ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** მსოფლიოს სუპერთასის საგზური ვერ მოიპოვა. ამიტომ შემოდგომაზე არც საზღვარგარეთ მოუწევს გამოსვლა. თუმცა არაა გამორიცხული, საერთაშორისო ფედერაციამ იგი პერსონალურად მაინც მიინვიოს, მაგრამ ჯერ ამაზე ჩამი-ჩუმი არ ისმის. სამაგიეროდ, ჩვენები უკვე შეუდგნენ მომავალი სეზონისთვის მზადებას და თბილისში ვარჯიშობენ. ოქტომბრის მიწურულს ნინო სალუქვაძის ტირში ქვეყნის თასის გათამაშება ჩატარდება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელშიც უცხოელების მონვევასაც აპირებენ. ვნახოთ, ჩამოვლენ თუ არა სტუმრები, მაგრამ ისინი უკონკურსოდ იასპარეზებენ. ეს ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია მომავალი სეზონისთვის, რომელშიც უმთავრესი მარტში, შვეიცარიაში გასამართი ევროპის პირველობაა. ჩვენები ამ ტურნირზე მეორე ლიცენზიის მოპოვებასაც გეგმავდნენ (ერთი უკვე აქვს სალუქვაძეს), თუმცა არაა გამორიცხული, ამ შეჯიბრებას სალიცენზიო სტატუსი ჩამოერთვას. როგორც შევიტყვეთ, საერთაშორისო ფედერაციაში რაღაც-რაღაცების გადასინჯვას აპირებენ და, შესაძლოა, ლიცენზიების განაწილების წესიც შეიცვალოს. თუმცა ეს საკითხი ჯერ დაზუსტებული არაა და რაღაც შანსი კვლავაც გვრჩება.

ირაკლი თავაძე

ძიუდო — მსოფლიო თასი

სეზონი არ დასრულებულა

მსოფლიო ჩემპიონატი ეს-ესაა დამთავრდა, მაგრამ ძიუდოისტები სეზონს შეუსვენებლად აგრძელებენ - წლის ბოლომდე სამი სალიცენზიო ტურნირია დარჩენილი. პირველი მათგანი, ბირმინგემის მსოფლიო თასი, ამ უქმეებზე ჩატარდება, სადაც საქართველოს ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით გამოვა. ეს გასაგებიცაა - მსოფლიო პირველობის შემდეგ ყველა ლიდერი ისვენებს. ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ **ვახტანგ ხოსიტაშვილი** და **ბეთქილ შუკვანი** (ორივე - 60), **მინდია ხომიზური** (66), **საბა გავაშელიშვილი** და **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **ლევან რაზმაძე** და **გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, 73 და 90 კილოში მონაწილე არ გვეყოლება, თუმცა ამ წონებში ლიცენზია არც გვჭირდება. შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ საგზურები მხოლოდ 66-ში და 81-ში არ გვაქვს, თუმცა 66-ში **ზაზა კედელაშვილმა** უკვე დააგროვა ქულათა სოლიდური მარაგი და ულიცენზიოდ არ დარჩება. 81-ში ჩვენი პოზიციები შედარებით სუსტია, მაგრამ რეიტინგში ერთბაშად რამდენიმე ქართველია. მათ შორის, გავაშელიშვილიც და შინჯიკაშვილიც.

ბირმინგემის შემდეგ კიდევ ორი სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება - 29-30 სექტემბერს როტერდამის მსოფლიოს სუპერთასი და 13-14 ოქტომბერს ბაქოს მსოფლიო თასი, თუმცა, ჩვენები რამდენიმე სხვა ტურნირშიც გამოვლენ.

ირაკლი თავაძე

ხცენოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი

ფოთელებს სიჩაუქეს უქებენ

სამტრედიაში, სოფ. ილორის იპოდრომზე, პარასკევს, დილიდანვე იკრიბებოდა მაყურებელი. ცხენოსნოპის ეროვნულ სახეობებში შეჯიბრებების დაწყებამდე, ხალხი მერნებს აკვირდებოდა, განსაკუთრებით ბავშვები ხალისობდნენ. უფროსები ცხენების წარმომავლობით იყვნენ დაინტერესებულები. ასეთია ოდინდელი ტრადიცია.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი, საზეიმოდ გახსნის შემდეგ 2 კილომეტრზე სადა დოღით დაიწყო. გამოცდილი ცხენინჯები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას და ხაზს უსვამდნენ, რომ ფოთელების მერნებს, ალბათ, კონკურენციას, ძნელად თუ გაუწევდნენ მეტოქეები. მხედრებმაც იყოჩაღეს და ეს მეტად დაძაბული პაექრობა მართლაც ფოთელების უპირატესობით დასრულდა. პირველიც ზღვისპირელი ცხენ-მხედარი იყო და ფინიშთან და მეორეც. საქართველოს ჩემპიონის ტიტულს 16 წლის **გიორგი ჩხარტიშვილი** დაეუფლა, მეორე იყო მისი თანაგუნდელი **სერგო კარანაია**, მესამე კი ფინიშთან მიიჭრა ოზურგეთელი **ელგუჯა თოდრია**.

ცხენბურთში და ისინდში ჩემპიონატის მონაწილე ოთხივე გუნდიდან ერთმანეთთან ფოთი და სამტრედია, აბაშა და ოზურგეთი დაწყვილდნენ. ფოთელებმა თავიანთი სიჩაუქე ცხენბურთშიც უპირატესად გამოავლინეს და 14:7 სამტრედიის გუნდს სძლიეს. აბაშელებმა ოზურგეთელებს აჯობეს - 17:3. მასპინძლებმა ფოთელებთან რევანშს ისინდში მიაღწიეს - 10:5. აბაშელებმა კი ოზურგეთელებს აქაც აჯობეს - 6:4.

თორნიკე ბაჩეჩილაძე
სამტრედიიდან

ძალოსნობა — მსოფლიო ჩემპიონატი



დღეს გიორგი ასანიძის გამოსვლას ველით

C ჯგუფში მეხუთე ადგილი დაგვებედა

ზვიად შათირიშვილი
ჩიან მაიდან

გუშინ 4-დღიანი უქმობის შემდეგ ტაილანდურ ფიცარნაგზე ქართველი ძალოსანი გამოვიდა - 85 კილოში **რაულ ცირეკიძემ** იასპარეზა. ამ წონაში **გიორგი ასანიძეც** გამოდის, მაგრამ მას დღეს ვიხილავთ საქმეში - ოლიმპიური ჩემპიონი B ჯგუფში იასპარეზებს.

ცირეკიძე ათეულისთვის რომ ვერ იბრძოლებდა, თავიდანვე ვიცოდით, მაგრამ ოცეულში შესვლის იმედი კი გვქონდა - ეს კი საკმაოდ სოლიდურ ქულებს იძლეოდა საერთო ჩათვლაში და ქართულ საქმეს დიდად წაადგებოდა. როგორც იცით, აქამდე მხოლოდ **ზვიად სამუკაშვილმა** მოასწრო ასპარეზობა და C ჯგუფში მეხუთე ადგილზე გავიდა: ჩასათვლელ ზონას ერთითი გასცდა, მაგრამ შემდეგში B და A ჯგუფში 4 კაცს ხელი მოეცარა. საბოლოოდ ზვიადი 22-ე ადგილზე გავიდა.

ახლაც ასეთივე გამართლების იმედად უნდა დავრჩეთ, რადგანაც ცირეკიძემაც მეხუთე ადგილი დაიკავა C ჯგუფში. არადა, შეეძლო ცოტა უკეთესი შედეგიც ეჩვენებინა. ატაცში 150 კილოგრამით დაიწყო და საკმაოდ იოლად დაძლია წონა. მასზე მეტი ოთხმა შეუკვეთა - 152 და ოთხივემ გამოიყენა. რაულს მეორე მისვლა 154 კილოზე ჰქონდა და ისიც მშვენივრად დაიმორჩილა. ეს შედეგი 4 კილოგრამით აღემატებოდა ერთი თვის წინ სარეერეში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენებ შედეგს. ბოლო ცდაზე ცირეკიძემ 158 კილოგრამზე მიიტანა იერიში და იმედი მქონდა, რომ შეძლებდა აწევას, მაგრამ ძალიან მძლავრად აიტაცა იატაკიდან და იარაღი უკან გადაუვარდა. ატაცში ქართველმა მეექვსე ადგილი დაიკავა.

რაული აკვირაში აპირებდა დანაკლისის აღმოფხვრას და თითქმის ყველაზე მეტი საწყისი წონა ჰქონდა შეკვეთილი - 182. როცა ცირეკიძე პირველ ცდაზე გამოვიდა, უკვე გამოკვეთილი იყვნენ მისი კონკურენტები და თუკი მაქსიმალურ შედეგს აჩვენებდა, მეორე-მესამე ადგილზე გასვლა შეეძლო. საჩხერეში რაულმა 188 კილო დაძლია და ეს წონა იძლეოდა ასეთი ადგილის დაკავების შესაძლებლობას.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ქართველთა შტაბმა, რომელსაც **ვანო გრიქურავი** ხელმძღვანელობს წონა ერთი კილოთი გაზარდა და რაულმა 183-ით დაიწყო და ისე მსუბუქად დაძლია, რომ ვიფიქრეთ, 190-საც შეეჭიდებოდა წარმატებით. ტაქტიკური თვალსაზრისით, წონის 2-3 კილოთი გაზრდა არ იყო მართებული, ამიტომ მეორე ცდაზე 189 შეუკვეთეს. ასეთი გადაწყვეტილება თითქოს მართებული ჩანდა, საპირისპირო შედეგი მივიღეთ. 6 კილომ ისე დაამძიმა იარაღი, რომ ცირეკიძემ მკერდზეც კი ვერ აიგდო. ვინ იფიქრებდა, მაგრამ სამწუხაროდ ასე კი მოხდა. აშკარა იყო, რომ მესამე მისვლას სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა.

რაულმა ამჯერად მკერდზე კი აიგდო, მაგრამ თავს ზემოთ ვერ შეიმაგრა შტანგა და 183 კილოზე დარჩა, ორჭიდში კი 337 კილოგრამი გამოუვიდა, რაც ეყო კიდეც მეხუთე ადგილისთვის. სხვათა შორის, ცირეკიძე ყველაზე მსუბუქი იყო C ჯგუფში და ამის წყალობით აჯობა სლოვაკ **ონდრეი კუტლიკს**. ჯგუფში კი პირველი კოლუმბიელი **ერნან კარლოს ანდიკა** გახდა 352 კილოგრამით.

დღეს, როგორც გითხარით, ამავე წონაში **გიორგი ასანიძე** ცდის ბედს.

გუშინ კი 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში გათამაშდა ოქროს მედლები და უნდა ითქვას, რომ ასეთი საინტერესო პაექრობა ჯერ არ ყოფილა ამ ტურნირზე. ატაცში პირველი ადგილი ჩინელმა **ლი ჰონგლიმ** დაიკავა 166 კილოთი; მეორეზე სომეხი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **გევორგ დავთიანი** იყო (164), მესამეზე რუსი **ოლეგ პერეპეჩენოვი** (163). ბულგარელი **ივან სტოიცოვი** 158 კილოგრამით მხოლოდ მეექვსე გახლდათ. აკვრაში სტოიცოვი ძალიან ძლიერია, მაგრამ სხვაობაც ძალიან დიდი იყო. ძირითად ფავორიტად სომეხი დარჩა, რადგანაც ჩინელმა სუსტად იასპარეზა და ჩამორჩა, ხოლო ორმა სამხრეთკორეელმა 200 და 201 კილო კი დაძლიეს, მაგრამ ატაცში იმდენად დაბალი შედეგი ჰქონდათ, რომ ოქროს ორჭიდში ვერაფრით შესწვდებოდნენ.

200 კილო ძალიან კარგი შედეგია და მას თითო-ოროლა ათლეტი თუ ძლევს და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. დავთიანმა ევროპა 166 და 197 კილოთი მოიგო. ამჯერად ატაცში 164 ჰქონდა და თუკი 197 ან ცოტა მეტს აკრავდა, თითქმის დაუწეველი ხდებოდა. ასეც მოხდა - გევორგმა 198 აზიდა და ლამის იქვე გადაიხადეს ბანკეტი სომხეთის ნაკრების მწვრთნელებმა! არადა სტოიცოვი ჯერ კიდევ გამოსასვლელი იყო ფიცარნაგზე. გამარჯვებისთვის ბულგარელს 205 ესაჭიროებოდა და შეუკვეთა კიდეც. ერთი წუთის შემდეგ სომხების ზეიმს წერტილი დაესვა და საბანკეტო განწყობილებამ ბულგარელთა ბანაკში გადაინაცვლა.

ჩემპიონატს ტაილანდის მონარქიც სტუმრობს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ ნოზაძე — ავტორის ფოტო

დამსახურებული საჩუქარი

პირველი გვერდიდან

- როგორც ხალიჩის გარედან ჩანდა, თავიდან მწვრთნელების სიტყვებიც კი არც კი გესმოდათ და ყველანი ძალიან გვანერვიულეთ..

- კი, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ საქმე ხომ შევასრულე – ფინალი მოვიგე და ოქროს მედალი ჩემია. ეს არის მთავარი და როცა საჭირო იყო ლიტველ მინდაუგას ეზერსკისს ილეთიც გავუკეთე ბოლო წამებზე.

- სხვა ბრძოლებიდან ყველაზე გამორჩეული ვისთან გქონდათ?

- ყველაზე მეტად შვედ ჯიმი ლიდბერგთან გამიჭირდა. სამჯერ მას დაუჯდა მონეტა, ეს კი უდიდესი უპირატესობაა. მოკლედ, შვედთან ძალიან გავწვალდი. ბოლო წამებზე შევძელი გამარჯვება მასთანაც. დაძაბულობით ეს იყო ყველაზე რთული ორთაბრძოლა, უბრალოდ ფინალს მაინც სხვა ხიბლი აქვს.

- ბიჭების გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

- ანტიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, ჩემი თქმა არ გინდათ, ბრწყინვალედ იჭიდავა, ორი ოქრო და ბრინჯაო ამის დასაბუთებაა. დავით ბედინაძემ ბრწყინვალედ იჭიდავა, საუკეთესო იყო. ძალიან ბევრი იშრომა ბადრი ხასაიამ. ბევრი ბრძოლა მოუწია მას და მუდამ ძლიერად გამოიყურებოდა. გული დაგვწყდა მანუჩარ კვირკველიას მარცხის გამო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მანუჩარი იოლად მოიპოვებს ოლიმპიურ ლიცენზიას და პეკინში ოქროს მედლის კანდიდატი იქნება.

- შვიდიდან ოთხ წონაში ლიცენზიები მოსაპოვებლები გაქვთ..

- დარწმუნებული ვარ, რომ ყველა წონაში გვექნება ლიცენზია და ოლიმპიადაზე ყველანი ერთად ვიქნებით. სხვაინარად არც შეიძლება.

- თავად რას დაჰპირდებით ქართველ გულშემატკივარს საოლიმპიადოდ?

- მაპატიეთ, მაგრამ ვერაფერს დაგპირდებით. ჯერ იქამდე მივაღწიოთ, პეკინამდე თითქმის წელიწადი დარჩა. თავს რომ არ დავზოგავ, ისედაც იცით...

მსოფლიო ჩემპიონი დაგვემშვიდობა და ისევ დარბაზში გავიდა, ქართველის საგულშემატკივროდ და შესაგულიანებლად. და კვლავ ბოლომდე დაიხარჯა...

ჭრიუმფით დაწყებული ფიასკოთი დასრულდა

კარგად, არა ბრწყინვალედ, დაწყებული მსოფლიო ჩემპიონატი ბოლოსკენ საშინლად ჩავაფლავეთ. სხვანაირადაც შეიძლებოდა თქმა – ანტიკური სტილით მოჭიდავეთა აღმა ხნული, "თავისუფლებმა" დაბლა ფარცხეს. ამის კულმინაცია კი მამაკაცთა ტურნირის უკანასკნელ დღეს დადგა, როცა ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა **გიორგი გოგშელიძემ** (96 კგ.) მეორე წრეში ყირგიზ **ალექსეი კრუპნიაკოვთან** წააგო. კრუპნიაკოვი რა მოჭიდავეცაა, მეოთხედფინალში გამოჩნდა, როცა ირანელმა ფალავანმა ბავშვივით აბურთავა. გოგშელიძის ფიასკოს შემდეგ, რა გასაკვირია, რომ **დავით მოძმანაშვილმაც** (120 კგ.) ვერაფერი გააწყო ბაქოში.



გიორგი გოგშელიძე წაგების შემდეგ

მოდით, შევაჯამოთ (თუმცა კი შესაჯამებელიც ბევრი არაფერია) – ბრინჯაოს მედალი და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია **ოთარ თუშიშვილს** (66 კგ.) და მერვე ადგილი და ლიცენზია **გელა საღირაშვილს** (74 კგ.) სულ ეს არის საქართველოს ნაკრების მონაგარი. დანარჩენთაგან თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება, ისევ დებიუტანტი **მალხაზ ქურდიანია**, რომელმაც მესამე წრეში იჭიდავა.

გოგშელიძე და **ჰაჯიმურატ გაცალოვი** ბადის სხვადასხვა მხარეს მოხვდნენ და ყველას მიაჩნდა, რომ მათი ხელისშემშლელი მხოლოდ ირანელი **საეიდ აბრაჰიმი** თუ იქნებოდა. თუმცა გაცალოვს ვინ ჩივის (რუსი ხალიჩაზე ერთი მეორის მიწყობით უსწორდებოდა კონკურენტებს), ბოლოს ქართველებს ყირგიზი გაგვიხდა საგულშემატკივრო, ქართული დელეგაციის იმედი ვერც გოგშელიძის დამმარცხებელმა გაამართლა, აბრაჰიმიმ ის ხალიჩაზე გაანადგურა.

გიორგიმ დილით ჩვეულად დაიწყო, საკვალიფიკაციო წრეში ეგვიპტელ **სალეჰ ემარასა** ცალი ხელით გაუსწორდა – 3:0, 3:0. პირველ წრეში ქართველმა ჭიდაობის გაკვეთილი ჩაუტარა შვეიცარიელ **გრეგორი მარტინეტის**, გვერწმუნეთ, ანგარიში 4:0, 3:0 კიდევ კარგად ვერ ასახავს გოგშელიძის უპირატესობას. და რა მოხდა მერე... ვინ იცის? მოჭიდავეს საუბარი საერთოდ არ სურს (მისი მდგომარეობა გასაგებია). მსაჯობა? მსაჯობასაც ვერ დავაბრალებთ, საეჭვო ეპიზოდის გამეორებისას კარგად გამოჩნდა, რომ გოგშელიძის წამოწყებული ილეთი სწორედ კრუპნიაკოვმა დაასრულა და ქულაც ეკუთვნოდა. ასეც რომ არ იყოს, ქართველს პირველი პერიოდის 0:4 წაგება არ ეკადრებოდა. საბოლოოდ 0:4, 1:1 და გიორგი უმედლოდ და ულიცენზიოდ დარჩა. სხვათა შორის, კრუპნიაკოვს **ლუკა კურტანიძისთვისაც** აქვს მოგებული, მოკლედ, ყირგიზმა ქართველთ ფალავნებს გასაღები მოარგო..

მძიმე წონა ჩვენი ტკივილია, როგორც ანტიკურ, ასევე თავისუფალ ჭიდაობაში. **დავით მოძმანაშვილმა**, მართალია, იოლად მოიგო საკვალიფიკაციო მატჩი უნგრელ **ოტო ობეისთან** – 1:0, 6:0, მაგრამ შემდეგ პირველ წრეში ვერაფერი დაუპირისპირა ირანელ **ვალადი მასუმის** – 0:2, 0:1. ირანელმა გასაქანი არ მისცა ჩვენებურს და სრული ოთხი წუთის განმავლობაში უშანსოდ დატოვა. თავის მხრივ ვერც მასუმიმ იყოჩაღა და ასე დასრულდა ქართველთათვის მსოფლიო ჩემპიონატი...

სანუგეშოდ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ოლიმპიური ლიცენზიებისთვის ბრძოლა გაისადაც გაგრძელდება. სულ ბოლოს კი რუსეთის ნაკრების ტრიუმფის შესახებ - მათ შვიდიდან 6 წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს.

ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს, **დავით გობეჯიშვილს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ფიასკოს მიზეზებზე შევეკითხეთ:

- ძალიან ცუდად გამოვიდა ჩვენი ნაკრები. სამწუხაროა, ჩემპიონატის პირველი ნახევარი ჩვენთვის ასე წარმატებულად დასრულდა, მეორე კი - ვერა. მწვრთნელებს ვერ დავაბრალებთ, რომ გუნდი სათანადოდ ვერ მოამზადეს - შეკრება და მზადება ნაკრებმა კარგად გაიარა. მაგრამ ბიჭებმა ბაქოში რომ ვერ იყოჩაღეს, ეს ფაქტია. მიუხედავად ამისა, მომავლის იმედი არ დაგვიკარგავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე
ბაქოდან

96 კგ

1. ჰაჯიმურატ გაცალოვი, რუსეთი
2. საეიდ აბრაჰიმი, ირანი
3. ყურგან ყურგანოვი, უზბეკეთი
3. დანიელ კორმიერი, აშშ
10. გიორგი გოგშელიძე, საქართ.

120 კგ

1. გილიალ მახოვი, რუსეთი
2. ალექსის როდრიგესი, კუბა
3. ვადიმ ტასოევი, უკრაინა
3. არტურ თაიმაზოვი, უზბეკეთი
14. დავით მოძმანაშვილი, საქ.

ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

მიზანი შვიდი ლიცენზიაა

საქართველოს ანტიკოს მოჭიდავეთა ნაკრები სამშობლოში თავაწეული ბრუნდება, მსოფლიოს ორი ჩემპიონით და ბრინჯაოს მედალოსანით. მართალია, სრული ტრიუმფი ვერ გამოვიდა, გუნდურ მესამე ადგილზე გავედით, რადგან დავით ბედინაძეს, რამაზ ნოზაძეს და ბადრი ხასაიას სხვებმა მხარი ვერ აუბეს და ჩასათვლელი ქულები ვერ მოიპოვეს, მაგრამ ეს ანტიკოსთა საუკეთესო გამოსვლაა საქართველოს სპორტის ისტორიაში. ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილია ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, რომლის გუნდს მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე თითო ვერცხლი და ბრინჯაო შეხვდა.

-ეს შედეგი, ორი ოქრო და ბრინჯაო, მართლაც ბრწყინვალეა. ორი ოქრო ანტიკოსთა შორის ბაქოში მარტო საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს შედეგი პირველია ოლიმპიურ სახეობებში. რაც აქ ბაქოში ვერ გადავწყვიტეთ, იმას ევროპის მომავალ ჩემპიონატზე და სალიცენზიო ტურნირებში მივაღწევთ.

- მოდით, ცალ-ცალკე შეაფასეთ თქვენი გუნდის წევრების ასპარეზობა. ჩემპიონებით დავიწყოთ, დავით ბედინაძე..

- რა ვთქვა, დავით ბედინაძე მსოფლიო ჩემპიონატზე უბრალოდ ბრწყინვალე იყო. მოკლედ მან ხუთიანზე იჭიდავა.

- რამაზ ნოზაძე..

- რამაზზეც იმავეს თქმა მსურს. მან ფინალში ძალზე გვანერვიულა, ერთიორი ბრძოლაც მცირე უპირატესობით მოიგო, მაგრამ ამის მიზეზიც აქვს - ტრავმები აწუხებდა.

- ბრინჯაოს პრიზიორ ბადრი ხასაიას გამოსვლას როგორ შეაფასებდით?

- მანაც ძალიან კარგად იჭიდავა, მიჯრით დაამარცხა მსოფლიოს ორი ჩემპიონი თურქი ნაზმი ავლუჯა და შვედი არა აბრაჰამიანი და ბრინჯაოს მედალიც დამსახურებულად მოიპოვა.

- მანუჩარ კვირკველიას ჭიდაობა თქვენთვის ალბათ მთავარი იმედგაცრუებაა..

- რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად გული მანუჩარის გამოსვლამ დამწყვიტა. მართალია, მის წინააღმდეგ გერმანელ კონსტანტინ შნაიდერთან შეხვედრაში მესამე პერიოდში მსაჯებიც ჩაერთვნენ, მაგრამ მაინც თავისი ბრალია – აქამდე საქმე არ უნდა მიეყვანა, თითქმის მოგებულ ორთაბრძოლაში. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა მანუჩარის დიდი იმედი გვაქვს მომავალში.

- როგორც ვიცით, ლაშა ლომაძის მარცხის მიზეზი ტრავმაა..

- დიახ. ლაშა ჩინელ მსოფლიო ჩემპიონ ლი იანიანს ხვდებოდა და პირველი პერიოდის შემდეგ უგებდა, როცა მეორეში ნეკნი გაიტეხა. მან კიდევ იბრძოლა, მაგრამ დამარცხდა.

- დებიუტანტი ხოზრევანიძე მალე-ვე დაემშვიდობა პირველობას..

- მასეა, მან კარგი შედეგი ვერ აჩვენა, თუმცა დებიუტანტი იყო და ბევრსაც ვერ მოვთხოვთ.

- მძიმე წონა..

- ამ წონაში მოასპარეზე რევაზ ჭელიძეს წილისყრამ უმუხთლა, ეგრევე ძალიან ძლიერ რუსს შეხვდა - პატრიკეევს, რომელიც სომხეთის სახელით ასპარეზობს. სხვათა შორის, პატრიკეევმა ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ჭელიძის მხარეს ბადეში სულ ძლიერები აღმოჩნდნენ, იქით კი – სუსტები. დარწმუნებული ვარ, მეორე მხრიდან ჭელიძე სალიცენზიო ზონაში შევიდოდა.

- რას გეგმავთ, რის ან ვის შეცვლას აპირებთ ნაკრებში?

- თებერვლის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. ვნახოთ იქნებ იქ გამოჩნდენ ნიჭიერი მოჭიდავეები. ცვლიებებიც ამის შესაბამისად იქნება.

- ოთხი ლიცენზიაც მოსაპოვებელია..

- ჩვენი უახლოესი მიზანიც ეს არის, ამისთვის ყველაფერს გავიღებთ, პეკინში შვიდივე წონაში უნდა ვიჭიდაოთ.

ბეგი დარჩია — ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტი

გაფრინდაშვილი ტეხასში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი გაფრინდაშვილი** ამერიკაში გაფრინდა, სადაც ტეხასის შტატის "მიდლენდის" კოლეჯში ითამაშებს. გიორგი ახალ გუნდს ერთი კვირის წინ შეუერთდა. ახალ თანაკლუბელებთან ერთად უკვე აქტიურად ვარჯიშობს და პარალელურად სწავლასაც შეუდგა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გიორგი გასულ სეზონში ლატვიის უმაღლესი ლიგის "ასკ-ჯუნიორზში" თამაშობდა, მანამდე სლოვენიური "ოლიმპიის" დუბლშემადგენლობასთან ერთად ვარჯიშობდა. დავძენთ იმასაც, რომ გაფრინდაშვილი წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების სასტარტო გამთამაშებელი იყო და ამერიკელი სკაუტებისგან დადებითი შეფასებაც მიიღო. აი, რა წერია ინტერნეტგამოცემა "დრაფტ-ექსპრესში":

"1988 წელს დაბადებულმა გიორგი გაფრინდაშვილმა მაღალი სისწრაფე და საინტერესო მონაცემები გამოამჟღავნა. ამასთან, მას მოედნის კარგი ხედვა აქვს და პასებით თანაგუნდელებს შესანიშნავად ამარაგებს".

ახლა გაფრინდაშვილის ახალ კლუბზე. "მიდლენდის" კოლეჯი აშშ-ის იუნიორთა კოლეჯების საუკეთესო გუნდია. ეს ნათქვამი გადაჭარბებულად რომ არ მოგეჩვენოთ, მოგახსენებთ, რომ "მიდლენდმა" გასულ სეზონში ტეხასის შტატის ჩემპიონატშიც იმარჯვა და იუნიორთა კოლეჯების ლიგაზეც. გიორგი ახალ კლუბს ქვეყნის ჭაბუკთა პირველობა 1982 წელსაც მოუგია. ბოლოს დავძენთ, რომ 2002-03 წლებში მიდლენდში **ანატოლი ბოისა** თამაშობდა.

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი გაფრინდაშვილი

მაპორიჩის კომპლიმენტი მარკოიშვილს



მანუჩარ მარკოიშვილი

საქართველოს ნაკრებიდან გათავისუფლების შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილი** უკრაინის "კიევს" შეუერთდა და ორი მატჩის ჩატარებაც მოასწრო. კიეველებს სლოვენიელი **ტომო მაჰორიჩი** წვრთნის, ამიტომ ახალი სეზონისთვის მზადება სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში დაიწყეს. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წელი მანუმ სწორედ ლიუბლიანურ "ოლიმპიაში" გაატარა და "კიევში" ამ ზაფხულს გადავიდა.

უკრაინის ჩემპიონმა ჯერ სლოვენიური "კუპერი" დაამარცხა (108:79), შემდეგ პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი "ტუროვი" (88:72). სამწუხაროდ, ამ შეხვედრების ოქმები ვერც ერთ საიტზე ვერ მოვიძიეთ და ვერ გეტყვით რამდენ-რამდენი ქულა ჩააგდო მარკოიშვილმა. სამაგიეროდ სლოვენიურ ტურნეს მოკლედ აჯამებს მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი, რომელიც კომპლიმენტს ქართულ ახალწვეულსაც უძღვნის.

"ლიუბლიანაში ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოთი კმაყოფილი ვარ. მთავარი მიზანი გუნდის ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება იყო, რასაც სლოვენიაში მივაღწიეთ. მოხარული ვარ, რომ ტრავმის შემდეგ ფორმაში შედის არტურ დროზდოვი. ასევე, საკუთარი შრომისმოყვარეობის წყალობით საჭირო რიტმში მალევე შევა მანუჩარ მარკოიშვილი. გუნდის სისტემაში კარგად ჯდება ამერიკელი ჯოშ დევისიც. ახლა ესპანეთში მივფრინავთ და დღეიდან პირნეებზე განვაგრძობთ მუშაობას. ვეცდებით კარგად გავარკვიოთ რომელ კალათბურთელს რა ფუნქცია ექნება მომავალ სეზონში. ოქტომბრის დასაწყისისთვის "კიევი" სათანადოდ უნდა იყოს შეთამაშებული".

როგორც მიხვდით, მარკოიშვილის თანაკლუბელები ამჟამად ესპანეთში ვარჯიშობენ და უახლოეს დღეებში 5 საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ. ხოლო "კიევის" პირველი ოფიციალური შეხვედრა 6 ოქტომბერს გაიმართება - უკრაინის ჩემპიონატის გახსნით თამაშში ლვოვის "პოლიტეხნიკას" ეწვევა. ზუსტად ერთი თვის შემდეგ კიეველები ულების თასის გათამაშებაში ჩაერთვებიან, 6 ნოემბერს, სტუმრად მარკოიშვილის ყოფილ გუნდ "ბენეტონს" (იტალია) დაუპირისპირდებიან.

ჭრიჟი

თბილისის საერთაშორისო ტურნირი

თითქმის გადაწყვეტილია!

2008 წლის მაისი. საქართველოს თასი

როგორც ამასწინათ გაცნობეთ, საქართველოს კრივის ფედერაცია წლის ბოლოსთვის თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაფუძნებას აპირებდა. თითქმის ოცი წელიწადია, რაც საქართველოს სერიოზული საკრივო ტურნირი არ ღირსებია და სასიხარულოა, რომ ეს უსიამოვნო ტრადიცია სრულდება. გუშინ, საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს, ვლადიმერ ახალკაცს ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ.



ვლადიმერ ახალკაცი

- როგორც უკვე გითხარით, ტურნირის გამართვა გვსურდა წლის ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ. თუმცა ახლახან გვქონდა კონსულტაცია ევროპის კრივის ფედერაციის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც გვირჩიეს, რომ ტურნირის ჩატარებისთვის ოპტიმალური ვადა იქნებოდა 2008 წლის მაისი. იმ დროისათვის, პეკინის საგზურები უკვე გათამაშებული იქნება და უფრო მეტ ქვეყანას დააინტერესებს თბილისის ტურნირზე ჩამოსვლა ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად.

საბოლოოდ, გადავწყვიტეთ, რომ შეჯიბრებას ჩავატარებთ 17-22 მაისს და იგი შევა ევროპის კრივის ფედერაციის კალენდარში "საქართველოს თასის" სახელით, მერე კი საერთაშორისო ფედერაციის კალენდარშიც შევიტანთ. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული - თუ როგორ გავართმევთ მასპინძლობას თავს. პრინციპში, ტურნირის ჩასატარებლად თითქმის ყველაფერი გვაქვს, რაც ამასწინათაც გითხარით. მალე, აზერბაიჯანიდან კიდევ სამ ელექტროსასწორს ჩამოვიტანთ და ტურნირის გასამასპინძლებლად, ფულის მეტი აღარაფერი დაგვჭირდება. ფინანსურ უზრუნველყოფას კი ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი გვპირდება.

- დაახლოებით რამდენი ქვეყანა ჩამოვა თბილისის ტურნირზე?

- ჩვენი ვარაუდით, 10-12 ქვეყანა და რაც მთავარია, ყველა უძლიერესი შემადგენლობით. მათ შორის მსოფლიო კრივის ლიდერები - რუსეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა. მომავალში კი დაგეგმილი გვაქვს მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა. მეტსაც გეტყვით - შესაძლოა, ცოტა ხმამაღალი განცხადება გამომივიდეს, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ, რომ თბილისის ტურნირი ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო გახდეს.

- ახლახან, ორი ახალი, ოლიმპიური რინგი მიიღეთ სპორტის დეპარტამენტისაგან. სად გაანაწილებთ მათ?

- თვის ბოლოს, ქუთაისში იხსნება კრივის დარბაზი. ამას გარდა, წლეულს, ქუთაისურ კრივს 60 წელიწადი უსრულდება, თანაც ამ ქალაქს მუდამ ჰქონდა და აქვს დიდი საკრივო ტრადიციები. შესაბამისად, ერთ რინგს ქუთაისს ვჩუქნით. რაც შეეხება მეორე რინგს, იგი ფედერაციის კუთვნილებაში დარჩება და მხოლოდ მნიშვნელოვანი შეჯიბრებების დროს გამოვიყენებთ ხოლმე.

- საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრება როგორ მიმდინარეობს?

- გუნდი სრული სერიოზულობით ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ამჟამად, ნაკრები ბორჯომშია შეკრებაზე, საიდანაც 27 სექტემბერს დაბრუნდება, სამი დღე დაისვენებს და ბაქოში გაემგზავრება აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთობლივ შეკრებაზე. მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისიც იქვე დამთავრდება.

კობა ხატისაშვილი



ნიკა ცქიტიშვილი

ნიკა და ლარისა

იტალიაში ჩატარებული 6 საკონტროლო მატჩის შემდეგ **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამომ" ადრიატიკის ზღვა გადალახა და მზადება საბერძნეთში განაგრძო. ელადაზე გამართულ პირველ შეხვედრაში ტერამოელები "ლარისას" დაუპირისპირდნენ და 13 ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 56:69. გამარჯვებულის ბედი მეორე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც "ლარისამ" 10 ქულის სხვაობით (21:11) მოიგო და დიდი შესვენების წინ ტაბლოზე 37:23 დააფიქსირა.

იტალიაში ნაჩვენები ეფექტური მატჩების შემდეგ ნიკა ცქიტიშვილმა შეტევაში თავი ვერ გამოიჩინა და 4 ქულას დასჯერდა. ვფიქრობთ, მკითხველს არანაკლებ დააინტერესებს "ტერამოს" ამასწინანდელი მეტოქის "ბეშიქთაშის" მწვრთნელის **ერგინ ატამანის** მოსაზრება ნიკას ახალ კლუბზე.

"ტერამომ" "ტერკასის" თასი დამსახურებულად მოიგო. ვფიქრობ, ეს კლუბი მომავალ სეზონში იტალიაში მაღალ შედეგებს მიაღწევს. მიმაჩნია, რომ ტანმაღალი ნიკა ცქიტიშვილის შეძენა ტერამოელთა წარმატებული საბაზრო ნაბიჯი იყო. მისი შესაძლებლობების კალათბურთელი იტალიაში ბევრი არ მოიძებნება".

შეგახსენებთ, რომ ნიკამ ოთხი დღის წინ თურქულ "ბეშიქთაშს" 17 ქულა ჩაუგდო.

ბოისა-ელისი, ორი ესპანური ამბავი

ტაირონ ელისი

ესპანეთში შეკრებაზე მყოფმა **ვლადიმერ ბოისას** "სპარტაკ-პრიმორიემ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა და ყველასათვის მოულოდნელად 70:50 იმარჯვა. მატჩის დაწყებამდე, ალბათ, არც პრიმორიელებს ეგონათ, რომ ესპანეთის ნამყვან გუნდ "უნიკახას" ასე იოლად დაამარცხებდნენ. მეტსაც გეტყვით, ბოლო ათწუთეულში სტუმრები სულაც 70:40-ს იგებდნენ და მალაგელებს 10:0 სპურტის მოწყობის უფლება ბოლო წამებზე მისცეს.

რუსების რიგებში **რომან ლევტერი** და **სტანისლავ მაკშენცევი** გამოირჩნენ - 14-14 ქულა მიითვალეს. ვლადიმერ ბოისამ კი მატჩი უქულოდ დაასრულა.

სამაგიეროდ სნაიპერობა არავის დაუთმო ჩვენი ნაკრების გამთამაშებელმა **ტაირონ ელისმა**. მან "ვალიადოლიდს" 17 ქულა ჩაუგდო და 7 ქულით გადაასწრო მეორე სნაიპერ გაილს (10). "კახა"-"ვალიადოლიდის" თანაბარ ბრძოლაში გამარჯვებას ბოლო წუთებზე ელისის თანაკლუბელებმა მიაღწიეს - 75:70.

ვაჟა სიმონიშვილი

თბილისი

გია ნადარეიშვილი. 22.09.1921. აბაშა - 02.10.1991, თბილისი. საჭადრაკო კომპოზიტორი. საერთაშორისო დიდოსტატი (1980), საერთაშორისო არბიტრი (1960). საქართველოს (1947-91) და სსრკ (1989-91) ჭადრაკის ფედერაციების კომპოზიციის კომისიის თავმჯდომარე. ფიდეს საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის ვიცეპრეზიდენტი (1990-91). სსრკ ჩემპიონი (1973-74). საჭადრაკო კომპოზიციაში რამდენიმე წიგნის ავტორი.

მამუკა კურდღელაშვილი. დაიბადა 22.09.1971, საგარეჯო. სამბო (62 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1997, 99) და სამგზის მეორე პრიზიორი (1994, 86, 2001), ევროპის ჩემპიონი (1997), ორგზის მეორე (1994, 2004) და მესამე (1999) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1999), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1991). ღირსების მედლის კავალერი.

სუმო

ორივე ბრძოლა უნდა მოიგოს

კოკაინ ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ დადებითი ბალანსის გასანაღდებლად და დაქვეითების თავიდან ასაცილებლად ორივე დარჩენილი ბრძოლის მოგება სჭირდება. ქართველმა გუშინ იორიკირით დაამარცხა მე-7 მაეგაშირა **ტოკიცუუმი** და 6 მოგება გაუხდა 13 ბრძოლაში. დღეს **ლევან ცაგურიას** მეტოქეა მერვე მაეგაშირა **ტოსანოუმი,** რომელსაც გარანტირებული უარყოფითი ბალანსი აქვს - 5/8.

ბაშოს უკვე ერთპიროვნულად ლიდერობს იოკოძუნა **ჰაკუჰო** - 11/2. ყოფილი ლიდერი, მე-14 მაეგაშირა **გოიედო** ოძეკი **ჩიოტაიკაისთან** დამარცხდა და 10 მოგება დარჩა. დღეს ჰაკუჰო და გოიედო ერთმანეთს ხვდებიან. 10 მოგება აქვთ **ამას** (კომუსუბი) და **კიოკუნეტჰოსაც** (მ 12).

თეორიული შანსი დაგვრჩა

დამიენ ტრაის შეტევა

21 სექტემბერი, სან დენი, D
საფრანგეთი-ირლანდია 25:3

საფ: (15-9) პუატრენო (რუჟრი 72), კლერი, მარტი (ჟოზიონი 74), ტრაი სბ 76, ემონსი, მიშალაკი, ელისალდი (ბოსი 74); (1-8) მილუ (პუ 74), იბანესი (შარეევსკი 57), დევილიე, შაბალი (ნალე 46), თიონი, ბეტსენი (ნიონგა 62), დუზოტუარი, ბონერი - 2ლ (კლერი), 5ს (ელისალდი)

ირლ: (15-9) დემპსი, ჰორგანი, ოდრისკოლი, დარსი, თრიმბლი, ოგარა, რედანი; (1-8) ჰორანი, ფლენერი (შეიენი 50-55, 78), ჰეიესი (ს.ბესტი 74), ოკალაჰანი (ოკელი 72), ოკონელი სბ 64, ისტერბი (ნ.ბესტი 73), დ. ვოლისი, ლიმი - ა (ოგარა)

პირველი გვერდიდან

ფანტასმაგორიული ვარიანტი არც ისე რთული გამოსათვლელია - ამისათვის ცხადია, აუცილებელია ორივე დარჩენილი მატჩის მოგება - ნამიბიასთან პრემიით (ოთხი ლელოთი) და ფრანგებთან უპრემიოდ, ოღონდ შვიდზე მეტი ქულით (ქულები: 4-0); ან - პრემიით და ნებისმიერი ანგარიშით (5-0, 5-1); თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ არითმეტიკას თუ მივყევით, ნამიბიასთან ოთხი ლელოს გატანაც არაა აუცილებელი, ოღონდ არგენტინამ უნდა დაამარცხოს ირლანდია.

ჰო. ახლა კი დავუბრუნდეთ დედამიწას. ირლანდიას ძვირად უჯდება საქართველოსთან დაკარგული პრემიალური ქულაო (ანუ ოთხი ლელო რომ ვერ გაგვიტანა), პირველ გვერდზე რომ დავწერეთ, ეს ზღაპარია. როდის უნდა გაეტანათ ოთხი ლელო? ირლანდიას ერთადერთი შანსი ჰქონდა ჩვენთან პრემიის აღებისა - ბოლო წუთზე რომ წაეგო და მაშინ ღირსეულად (8 ქულაზე ნაკლებით) წაგებისთვის მიიღებდა ბონუსს (შეგვეძლო ცინიკურად ჩაგვეღიმა, მაგრამ რაღა დროსია).

აი, საფრანგეთთან სხვა საქმე იყო. აქ კელტებსთვის ჰაერივით სჭირდებოდათ... ცხადია, მოგება (მაშინ საფრანგეთი ჯგუფში იყო ჩარჩენილი!) და თუ ვერა, მაშინ მაქსიმუმ 7ქულით წაგება. მაშინაც საკმაოდ მყიფე, მაგრამ მაინც რეალური შანსი რჩებოდათ არგენტინასთან ბოლო თამაშის წინ.

მგონი, გასაგებად ავხსენი ყველაფერი და ახლა კი თამაშზე გადავიდეთ. კატასტროფის წინაშე მდგარი ფრანგები უკიდურესად მობილიზებულები გამოვიდნენ მოედანზე. რა შერჩა ირლანდიას მთელი თამაშიდან?

არც არაფერი: **რონან ოგარას** არეკნი შესვენებამდე (3:9) და კარში დარტყმის კიდევ ერთი შანსი, შორიდან აცილებული ჯარიმა პირველ ტაიმში (ანგარიში 0:3) იყო. შესვენების წინ **შეინ ჰორგანმა** აბრაგანი ვერ დაიჭირა, ლელოსთან ახლოს კიდეზე გადავიდა და ფრანგებმა ცხრაქულიანი სხვაობა აღადგინეს - 12:3 შესვენებაზე.

მსოფლიოში საუკეთესო დერეფნის პატრონმა გუნდმა 5 საკუთარი აგდება წააგო და ბოლოს ასეთ სასაცილო სიტუაციაში ჩაიყენა თავი: **რორი ბესტი** საკუთარ ლელოსთან აწვდიდა ბურთს დერეფანში, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, იქვე მდგომმა პირველივე ფრანგმა კი ხელი დაავლო და ლელოში გადადო. სრულიად აშკარა ლელო იყო, რადგან ბურთმა 5 მეტრი გაიარა და თამაშში იყო, მაგრამ მსაჯი დაიბნა, თუ ვერ დაინახა, თუ ვერ წარმოიდგინა ასეთი სისულელე რომ მოხდა და ხელახლა ააგდებინა.

სხვათა შორის მატჩის სტატისტიკა თითქმის თანაბარი იყო - ბურთი, ტერიტორია, 22, მაგრამ ირლანდიამ უმოწყალოდ ბევრი შეცდომა დაუშვა!

მეორე ტაიმის დასაწყისში **ელისალდმა** მეხუთე საჯარიმო გაიტანა (15:3) ხოლო 59-ე წუთზე **მიშალაკმა** შედევრი შექმნა: 10 ნომერმა ბურთი რაკიდან მიიღო და ფეხით გადაკიდა, მაგრამ არა წინ გაშვერილი ფეხის მიმართულებით, გრძელ ფრთაზე, არამედ გარეტერფით მოჭრა მოკლეზე და ზედ ლელოს წინ ჩააგდო - **ვენსან კლერმა** უბრალოდ აიღო და დაამიწა!

მეორე ლელო უკვე **ელისალდის** აბრაგანს მოჰყვა - **კლერმა** ჯერ ჰაერში აჯობა ირლანდიელებს, მერე ჯაჯგურშიც და თავის მეხუთე ლელო გაიტანა ამ ტურნირზე - 25:3. 69-ე წუთი იყო და კაცი კიდევ ორ ლელოზე იფიქრებდა, მაგრამ ფრანგებსაც ყველაფერი კარგად ჰქონიათ გამოთვლილი და პრემიისთვის თავი აღარ მოუკლავთ. არაფერში აღარ სჭირდებათ.

თუმცა, ისევ არსებობს თეორიული ვარიანტი. ფრანგებს შეიძლება ქართველებმა შეუშალონ ხელი და მეოთხედფინალის მილმა დატოვონ!

გრეგანი რეკორდს ამყარებს

ზელანდიელთა ვარჯიში. ჰეიმენი, მაკქოუ, ოლივერი

შაბათ-კვირის ხუთი მატჩი. A ჯგუფში სამხრეთ აფრიკას ყველაფერი გარკვეული აქვს და თითქმის ყველა ლიდერს ასვენებს ტონგას წინააღმდეგ. 30 სექტემბერს, ამერიკელთა წინააღმდეგ ბოლო ჯგუფურ მატჩში თამაში შეეძლება **სხალკ ბურხერსაც**, ვისაც ოთხმატჩიანი სასჯელი ორამდე შეუმცირეს.

თავის მხრივ, არც ტონგელები მოიკლავენ მაინცდამაინც თავს, რადგან ჯგუფში ერთობ პიკანტური ვითარება შეიქმნა. ჯერ ის გაირკვა, რომ ინგლისი პირველობას ვერ შეეცილებოდა "ქურციკებს" და პირიქით, მეორე ადგილი ექნებოდა დასაცავი სამოასგან. მაგრამ სამოა ტონგასთან დამარცხდა, თუმცა დღეს ბრძოლას გაუმართავს ინგლისს. ნებისმიერ შემთხვევაში, მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობა აქ 28 სექტემბრამდე, ინგლის-ტონგას მატჩამდე ვერ გაირკვევა.

ინგლისელთა მწვრთნელმა **ბრაიან ეშტონმა** კი კიდევ ერთხელ გადაალაგადმოალაგა შემადგენლობა. რაც მთავარია, გუნდს უბრუნდება **ჯონი ვილკინსონი**, რომელსაც 45 ქულა აკლია, მსოფლიო თასების რეკორდი რომ ჩამოართვას შოტლანდიელ **გევინ ჰესტინგსს**, რომელსაც ამ ტურნირზე 227 ქულა აქვს მოხვეჭილი. სამაგიეროდ, ინგლისს დააკლდება მეორე ვარსკვლავი, "ქურციკებთან" ტრავმირებული **ჯეისონ რობინსონი**.

დღესვე არგენტინამ უსიკვდილოდ უნდა გაუტანოს 4 ლელო ნამიბიას. 10 ნომერი **ფელიპე კონტეპომი** ამბობს, რომ ეს იოლი საქმე არ იქნება - საქართველოს წინააღმდეგ უკვე დავრწმუნდით ამაში და ძალიან გაგვიხარდა, როცა ირლანდიამ იგივე ვერ მოახერხაო.

ნამიბიელთა მწვრთნელმა **ჰაკის ჰუსელმანმა** კი 9 მოთამაშე გამოცვალა საფრანგეთთან 10:87 წაგების შემდეგ და ლიდერთა უმრავლესობას ქართველებთან 26 სექტემბრის მატჩისთვის ასვენებს. ჯერ გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა ჩვენ წინააღმდეგ ძირითადი 10 ნომერი **ემილ ვესელსი**, რომელიც წინა მატჩში დაშავდა. გამოჯანმრთელების შანსები ნახევარი ნახევარზეა.

კვირას ფიჯიც არ შეაკლავს თავს ავსტრალიას, რადგან 29 სექტემბერს უელსს უნდა შეებრძოლოს ჯგუფში მეორე ადგილისთვის. ავსტრალიის ძირითად 10 ნომერს **სტივენ ლარქემს** ზედიზედ მეორედ შეცვლის ახალგაზრდა **ბერიკ ბარნსი**. დაშავებულია კაპიტანი **სტირლინგ მორტლოკიც**, რის გამოც **ჯორჯ გრეგანს** მსოფლიო რეკორდის გამეორების შანსი გაუჩნდა - ავსტრალიის 9 ნომერი ორმოცდამეცხრამეტედ იქნება გუნდის კაპიტანი, რითაც ინგლისელ **ვილ ქარლინგს** გაუტოლდება. გრეგანს აქვს თეორიული შანსიც, ინგლისელ **ჯეისონ ლენარდს** დაეწიოს მსოფლიო თასზე ნათამაშები მატჩებით - ლენარდს 22 მატჩი აქვს, გრეგანს - 17.

მსოფლიო თასის მესამე რეკორდი კი **ჯონა ლომუს** ეკუთვნის - 15 ლელო! მისი უახლოესი მდევრები არიან ავსტრალიელი **ქრის ლეითემი** და ზელანდიელი **დაგ ჰაულიტი** - 10-10. ამ შაბათ-კვირას ერთიც თამაშობს და მეორეც.

ზელანდიის წინააღმდეგ შოტლანდიას მეორე გუნდი გაჰყავს, რადგან 29 სექტემბერს იტალიასთან უნდა იბრძოლოს ჯგუფში მეორე ადგილისთვის, ხოლო რომელია "ოლ ბლექსის" ძირითადი თხუთმეტეული, მგონი თვით **გრემ ჰენრიმაც** არ იცის. მწვრთნელმა, რომელსაც 30 სრულფასოვანი მოთამაშე ჰყავს, კიდევ ერთხელ არივ-დარია შემადგენლობა და შოტლანდიასთან მატჩის წინ აი ასე ორიგინალურად ავარჯიშებდა თავის შეგირდებს (ფოტოზე). რაც შეეხება გუშინ გამოქვეყნებულ ფოტო-გამოცანას, თავს ვერ დავდებთ, მაგრამ შერკინების დაზგაში, **დავით ხინჩაგიშვილის** გვერდით, შესაძლოა იდგა... "ანტილოპა", იგივე **ბესიკ ხამაშურიძე**. ყოველ შემთხვევაში, სხვას მეტს ვერავის მივამსგავსებთ.

22 სექტემბერი, 16:00, A
სამხ. აფრიკა-ტონგა

ლანსი, ფელიქს ბოლაერი

აფრ: 15. რუან პინარი 14. ეშვინ ვილემსე 13. ვინანდ ოლიფიე 12. ვეინ იუელისი 11. ჯეიპი პიტერსენი 10. ენდრე პრეტორიუსი 9. რიკი იანუარი; 1. ხურტრო სტენკამპი 2. გარი ბოთა 3. ცეხა ფანდერლინდე 4. ბაკის ბოთა 5. ალბერტ ფანდენბერხი 6. ფიკუს ფანპირდენი 7. დანი როსუ 8. ბობ სკინსტადი (კაპ) / 16. ჯონ სმითი 17. ბრენდონ ბოთა 18. ვიქტორ მეტფილდი 19. ჟუან სმითი ; 20. ბრაიან ჰაბანა 21. ფრანსუა შტაინი 22. პერსი მონტგომერი

ტონ: 15. ვუნგაკოტო ლილო 14. ტევიტა ტუიფუა 13. სუკანაივალუ ჰუფანგა 12. ეპელი ტაიონე 11. ჯოზეფ ვაკა 10. პიერ ჰოლა 9. სიონე ტუიპოლოტუ; 1. სოანე ტონგაუიჰა 2. ალეკი ლუტუი 3. კისი პულუ 4 პაინო ჰეჰეა 5. ემოსი კაუჰენგა 6. ვილიამი ვაკი 7. ნილი ლატუ (კაპ) 8. ფინაუ მაკა / 16. ეფრაიმ ტაუფაკა 17. ტაუფაო ფილისე 18. ინოკე აფეაკი 19. ლოტუ ფილიპინე; 20. სოანე ჰაევა 21. ისილელი ტუაპოუ 22. აიზეა ჰაკილი

მსაჯი: ვეინ ბარნსი (ინგ)

22 სექტემბერი, 18:00, A
ინგლისი-სამოა TV

ნანტი, სტად დე ლა ბეჯუარი

ინგ: 15. ჯოშ ლუსი 14. მარკ კუეტო 13. მეთიუ ტეიტი 12. ოლი ბარკლი 11. პოლ საკი 10. ჯონი ვილკინსონი 9. ენდი გომერსოლი; 1. ენდრიუ შერიდანი 2. ჯორჯ ჩატერი 3. მეტ სტივენსი 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი (კაპ) 7. ჯო ვორსლი 8. ნიკ ისტერი / 16. მარგ რიგანი 17. პერი ფრეშვოტერი 18. სტივ ბორზვიკი 19. ლუსს მუდი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ენდი ფარელი 22. დენი ჰიპკისი

სამ: 15. ლოკი კრიჩტონი 14. დევიდ ლემი 13. სეიალა მაპუსუა 12. ბრაიან ლიმა 11. ალესანა ტუილაგი 10. ელიოტა ფუიმაონო-საპოლუ 9. ჯუნიორ პალუ; 1. კას ლეალამანუა 2. მაპონრი შვალგერი 3. სენსუს ჯონსტონი 4. ჯო ტეუორი 5. კეინ თომპსონი 6. დანიელ ლეო 7. სემო სიტიტი (კაპ) 8. ჰენრი ტუილაგი / 16. ტანიელუ ფუგა 17. ფოსი პალაამო 18. ჯასტინ პერდი 19. ალფი ვაელუაგა; 20. სტივენ სოოიალო 21. ჯერი მეაფოუ 22. ლოლო ლუი

მსაჯი: ალან ლუისი (ირლ)

A ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ს.აფრიკა	2	2	0	0	95-7	1	9
ტონგა	2	2	0	0	44-30	-	8
სამოა	2	0	0	2	22-78	1	1
ინგლისი	2	1	0	1	28-46	-	4
აშშ	2	0	0	2	25-53	-	0

22 სექტემბერი, 23:00, D
არგენტინა-ნამიბია

მარსელი, ველოდროვი

არგ: 15. იგნასიო კორლეტო 14. ერნან სენილიოსა 13. გონსალო ტიესი 12. მანუელ კონტეპომი 11. ორასიო აგულა 10. ფელიპე კონტეპომი 9. აგუსტინ პიშო (კაპ); 1. როდრიგო რონსერო 2. ალბერტო ვერნეტ-ბასუალდო 3. ომარ ჰასანი 4.იგნასიო ფერნანდეს-ლობე 5. პატრისიო ალბასეტე 6. ლუკას ოსტილია 7. ხუან მარტინ ფერნანდეს-ლობე 8. ხუან მანუელ ლეგისამონი / 16. მარიო ლედესმა 17. მარტინ სკელსო 18. რიმას ალვარესი 19. გონსალო ლონგო; 20. ნიკოლას ფერნანდეს-მირანდა 21. ფედერიკო ტოდესკინი 22. ფედერიკო სერა-მირასი

ნამ: 15. ჰაინი ბოკი 14. დიონ მეუტონი 13. დუპრეზ ხრობტერი 12. ჯორჯ ჰაუელი (კაპ) 11. მელრიკ აფრიკა 10. ტერტიუს ლოსპერი 9. იუჯინ იანჩისი; 1. იონი რედელინგჰოისი 2. იოჰანეს მაიერი 3. მარიუს ფისერი 4. ვაკა კაზომბიაზე 5. ნიკო ესტერჰოიზე 6. მაიკლ მაკკენზი 7. ჟაკ ბურხერი 8. თინუს დუპლესი / 16. ჰუგო ჰორნი 17. კეეს ლენსინი 18. ჰერმან ლინდფელტი 19. ჰაინო სენეკალი; 20. იური ფანტონდერი 21. მორნე შრიოდერი 22. პიტ ფანზილი

მსაჯი: სტიუარტ დიკინსონი (ავს)

23 სექტემბერი, 16:30, B
ავსტრალია-ფიჯი

მონპელიე, სტად დე ლა მოსონი

ავს: 15. ქრის ლეითემი 14. დრიუ მიჩელი 13. ადამ ეშლი-კუპერი 12. მეტ გიტო 11. ლოტე ტუკირი 10. ბერიკ ბარნსი 9. ჯორჯ გრეგანი (კაპ); 1. მეტ დანინგი 2. სტივენ მური 3. გაი შეპერდსონი 4. მარკ ჩიზჰოლმი 5. დანიელ ვიკერმანი 6. როკი ელსომი 7. ფილ ვოო 8. ვაიკლიფ პალუ / 16. ადამ ფრეიერი 17. გრეგ ჰოლმსი 18. ჰიუ მაკმენიმენი 19. სტივენ ჰოილზი; 20. სემ კორდინგლი 21. სკოტ სტანიფორსი 22. ჯულიან ჰაქსლი

ფიჯ: 15. ნორმან ლიგაირი 14. ვილიმონი დელასაუ 13. მალელი კუნავორე 12. სერემაია ბაი (კაპ) 11.ისოა ნეიეუა 10. ვაისეა ლუვენიალი 9. ჯონე დაუნივუკუ; 1. ალეფოსო იალაიალატაბუა 2. ვერენიკი საუტურაგა 3. ჰენრი ქიოდრავუ 4. ისოა დომოლაილაი 5. იფერეიმი რაუაკა 6. ნეტანი ტალეი 7. აკა რატუვა 8. ჯონე ქოვუ / 16. ბილი გადოლო 17. ჯონე რაილომო 18. ვამე ლევარავუ 19. სისა კოიამაიბოლე; 20. მოსესე რაულუნი 21. გაბრიელე ლოვობალავუ 22. სერუ რაბენი

მსაჯი: ნაიჯელ ოუენსი (უელ)

B ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ავსტრალია	2	2	0	0	123-23	2	10
უელსი	3	2	0	1	134-67	2	10
ფიჯი	2	2	0	0	64-47	2	10
იაპონია	3	0	0	3	52-198	1	1
კანადა	2	0	0	2	33-71	-	0

23 სექტემბერი, 19:00, C
შოტლანდია-ზელანდია TV

ედინბურგი, მარიფილდი

შოტ: 15. ჰუგო საუსველი 14. ნიკი ვოკერი 13. მარკუს დიროლო 12. ენდრიუ ჰენდერსონი 11. საიმონ ვებსტერი 10. ქრის პატერსონი 9. ქრის კაზიტერი; 1. ალასდერ დიკინსონი 2. სკოტ ლოუსონი 3. კრეიგ სმითი 4. სკო მაკლიოდი 5. სკოტ მარი (კაპ) 6. კელი ბრაუნი 7. ჯონ ბარკლაი 8. დევიდ კალემი / 16. ფერგიუს თომპსონი 17. გეევინ ქერი 18. ჯიმ ჰემილტონი 19. ალისტერ ჰოგი 20. რორი ლოუსონი 21. დან პარქსი 22. რობ დიუი

ზელ: 15. ლიონ მაკდონალდი 14. დაგ ჰაულიტი 13. კონრად სმითი 12. ლუკ მაკალისტერი 11. სიტივენი სივივატუ 10. დანიელ კარტერი 9. ბაირონ კელეჰერი; 1. ტონი ვუდკოკი 2. ანტონ ოლივერი 3. კარლ ჰეიმენი 4. რიბენ სორნი 5. ალი ვილიამსი 6. ქირს მასოი 7. რიჩი მაკქოუ (კაპ) 8. როდნი სოოიალო / 16. ენდრიუ ჰორი 17. ნეემია ტიალატა 18. ქრის ჯეკი 19. სიონე ლაუაკი; 20. ბრენდონ ლეონარდი 21. ნიკ ევანსი 22. ისაია ტოვავა

მსაჯი: მარიუს იონკერი (ს.აფრ)

C ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	პ	ქ
ზელანდია	2	2	0	0	184-27	2	10
შოტლანდია	2	2	0	0	98-10	2	10
იტალია	3	2	0	1	69-99	-	8
რუმინეთი	2	0	0	2	18-66	1	1
პორტუგალია	3	0	0	3	28-195	-	0

ბომბარდირები	თ	ქ	ლ	გ	ს	ა
პერსი მონტგომერი (ს.აფრ)	2	47	2	8	7	-
ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ)	3	42	1	11	5	-
ნიკ ევანსი (ზელ)	2	33	1	14	-	-
სტირლინგ მორტლოკი (ავს)	2	32	1	9	3	-
ფეინ ვილიამსი (უელსი)	3	25	5	-	-	-
ნიკი ლითლი (ფიჯი)	2	24	-	6	4	-
პიერ ჰოლა (ტონგა)	2	24	-	3	6	-
სტივენ ჯონზი (უელსი)	3	24	-	9	2	-
ქრის პატერსონი (შოტლ)	2	23	1	9	-	-
ფელიპე კონტეპომი (არგ)	2	23	1	9	-	-
გეევინ ვილიამსი (სამოა)	2	22	1	1	5	-
შოტარო ონიში (იაპონია)	2	22	-	2	6	-
გეევინ ვილიამსი (სამოა)	2	22	1	1	5	-
დავიდ ბორტოლუსი (იტა)	3	21	-	3	5	-
ჯეიმზ ჰუკი (უელსი)	3	21	1	2	4	-

მელელოვეები

5 - ფეინ ვილიამსი (უელ), ვენსან კლერი (საფ)

4 - ბრაიან ბაბანა (ს.აფრ), რორი ლემონი (შოტ), ქრის ლეითემი (ავს)

3 - ჯეიკი პიტერსენი (ს.აფრ), დაგ ჰაულიტი, ჯერი კოლინზი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), როკი ელსომი (ავს)

2 - მარტინ ვილიამსი, ალუნ-ვინ ჯონზი (უელ), კელე ლეა

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲘᲞᲔᲜᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ



სკოტი პიპენი

ლეგენდარულმა **სკოტი პიპენმა** ფინეთის ლიგაში თამაში გადაწყვიტა. "ჩიკაგო ბულზის" ყოფილმა ვარსკვლავმა ხანმოკლე კონტრაქტი გააფორმა ფინურ კლუბ "ტორპან პოიატთან" ("ტოპო"). ხელშეკრულების მიხედვით, NBA-ის ექვსგზის ჩემპიონი ამ გუნდის შემადგენლობაში, დეკემბერში ან იანვარში ორ მატჩს ჩაატარებს. თამაშების თარიღები მალე გახდება ცნობილი.

"მხოლოდ წვრილმანი საკითხები დაგვრჩა მოსაგვარებელი, მათ შორისაა მატჩების ჩატარების თარიღი. გვინდა, რომ პიპენი ძლიერ მეტოქეებთან თამაშებისას დაგვეხმაროს. ნებისმიერ შემთხვევაში, სკოტი გახდება საუკეთესო კალათბურთელი იმათგან, ვისაც კი ოდესმე ევროპაში უთამაშია", - განაცხადა "ტოპოს" გენერალურმა მენეჯერმა **ალექსეი ვალავუორიმ**.

ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა იმ თანხის დასახელებაზე, რასაც 41 წლის პინენი ამ ორი მატჩისთვის მიიღებს. ვალავუორიმ მხოლოდ ის თქვა, რომ ეს ექვსნიშნა რიცხვი არ იქნება.

აღსანიშნავია, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა "ტოპო" თავის რიგებში NBA-ის ყოფილ ვარსკვლავებს ინვევს. 2005 წელს, ამ გუნდის შემადგენლობაში ერთი მატჩი ჩაატარა "ჩიკაგო ბულზში" პიპენის თანაგუნდელმა **დენის როდმანმა**.

შეგახსენებთ, რომ პიპენი 1996 წელს NBA-ის ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის შეიყვანეს. **მაიკლ ჯორდანთან** ერთად, ის "ბულზის" ოქროს ეპოქის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.

ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲗᲛᲐ ᲘᲐᲡᲘᲙᲘᲐᲕᲘᲩᲣᲡᲘ ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ


შარუნას იასიკიავიჩუსი

ლიტვის ნაკრების ლიდერს **შარუნას იასიკიავიჩუსს** ახალი გუნდის ძებნა მოუწევს. ლიტველი გამთამაშებლის აწ უკვე ყოფილმა კლუბმა, "გოლდენ სტეიტ უორიორზმა" შარასის კონტრაქტი გამოისყიდა, რითაც კალათბურთელი გუნდის წინაშე ყოველგვარი ვალდებულებებისგან გაათავისუფლა.

შეგახსენებთ, რომ იასიკიავიჩუსი გრანდიოზული გაცვლის შედეგად **სტივენ ჯექსონთან** და **ელ ჰარინგტონთან** ერთად, შარშანდელი სეზონის მსვლელობისას გადავიდა "გოლდენ სტეიტში". მანამდე, ლიტველი "ინდიანა პეისერსის" რიგებში თამაშობდა.

"კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ორივე მხარისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებაა. იასიკიავიჩუსს უფრო შესამჩნევი როლი უნდა ჰქონდეს სხვაგან, ვიდრე ჩვენთან აქვს. სხვა გუნდში მას თავის გამოჩენის უფრო მეტი შანსი ექნება", - განაცხადა "უორიორზის" ვიცე-პრეზიდენტმა **კრის მულინმა**.

იასიკიავიჩუსი "მეომრებს" იანვარში შეუერთდა და ამ გუნდის რიგებში 23 მატჩის გამართვა მოასწრო. საშუალოდ შეხვედრაში, შარუნასი 4.4 ქულასა და 2.4 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. რაც შეეხება ფლეი ოფს, იქ მთელი ორი რაუნდის განმავლობაში, ლიტველს ჯამში მხოლოდ 7 წუთი სათამაშო დრო მისცეს.

NBA-ში გატარებული ორი წლის განმავლობაში, იასიკიავიჩუსის სტატისტიკური მონაგარი 4.3 ქულასა და 2.4 შედეგიან პასს შეადგენს.

ᲓᲘᲕᲐᲪᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲔᲑᲔᲜ

სკოტ პოლარდი და ვლადე დივაცი

დღეს, ბელგრადში დიდი საკალათბურთო ზეიმი მოეწყობა. აქტიური სპორტიდან გააცილებენ ლეგენდარულ სერბ კალათბურთელს **ვლადე დივაცს**.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას NBA-ის მოქმედი და ყოფილი ვარსკვლავები გამოეხმაურნენ. ბელგრადში ჩავიდნენ **კრის უებერი, ტონი კუკოჩი, სკოტ პოლარდი** და დივაცის სხვა ყოფილი თანაგუნდელები. სერბეთის დედაქალაქში გამგზავრება გადაწყვიტა NBA-ის მოქმედი ჩემპიონის, "სან ანტონიო სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**.

"როცა ვლადემ ბელგრადში მიმიწვია, არც დავფიქრებულვარ და მაშინვე თანხმობა განვაცხადე. ეს ადამიანი იმდენად მიყვარს, რომ მზად ვარ მისთვის ყველაფერი გავაკეთო. 22 სექტემბერს დაგეგმილი საქველმოქმედო კონცერტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამით ადამიანებს დახმარებას გავუწევთ და ჩვენც კარგ დროს გავატარებთ", - განაცხადა პოლარდმა.

ემოციებს ვერ მალავდა "საკრამენტო კინგზში" დივაცის კიდევ ერთი ყოფილი პარტნიორი კრის უებერი: *"აქ ჩემი მეგობრის, ვლადეს სანახავად ჩამოვედი. ის უფროსი ძმასავით მიყვარს. დივაცი ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ერთხელ სერბეთში მიმიწვევდა და კარგ დროს გამატარებინებდა. ჩამოვედი, რათა საქველმოქმედო აქციაში მივილო მონაწილეობა. შაბათს მოუთმენლად ველი".*

ᲙᲠᲘᲙᲔᲢᲘ

ᲐᲜᲨᲚᲐᲒᲘ ᲦᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ მოყვარულთათვის უკვე ცნობილია, რომ იანვარში, რეგულარული ჩემპიონატის რანგში "ბაფალო სეიბრზი" და "პიტსბურგ პინგვინზი" ღია ცის ქვეშ ჩაატარებენ მორიგი ტურის მატჩს.

როგორც კი ამ ორიგინალურ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია გამოცხადდა, გულშემატკივრებმა 30 წუთის განმავლობაში 42 ათასი ბილეთი შეიძინეს. კიდევ 32 ათასი ბილეთი სეზონური აბონემენტების მფლობელების კუთვნილება გახდება.

ასე რომ, მიუხედავად არაპროგნოზირებადი ამინდისა, 1 იანვარი ბაფალოს სტადიონზე ანშლაგია მოსალოდნელი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲘᲛᲞᲡᲝᲜᲛᲐ ᲪᲘᲮᲔ ᲓᲐᲑᲝᲕᲐ

ლას ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროზე შეიარაღებულ თავდასხმაში ეჭვმიტანილი **ო ჯეი სიმპსონი** გუშინ ციხიდან თავდებით გაუშვეს.

ამერიკის ეროვნული საფეხბურთო ლიგის ყოფილმა ვარსკვლავმა, გირაოს სახით 125 ათასი დოლარი გადაიხადა. მისი საქმის გამოძიება გაგრძელდება და თუ სიმპსონი დამნაშავედ ცნეს, მას 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მოელის.

ლინდსი დავენპორტი

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲔᲜᲞᲝᲠᲢᲘ ᲬᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა**, დიდ ჩოგბურთში ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებისთანავე ტურნირის მოგება არ იკმარა და ახლა ზედიზედ მეორე ტურნირში გასამარჯვებლად იბრძვის. ამჯერად ის პეკინში, ჩინეთის ღია პირველობაზე ასპარეზობს, სადაც უკვე გაიარა მეოთხედფინალი.

მეოთხედფინალში მან საკმაოდ იოლად დაამარცხა მეოთხე ნომრად განთესილი რუსი **ელენა დემენტიევა**, ფინალის საგზურისთვის კი მეორე ნომრად განთესილ სერბ **ელენა იანკოვიჩთან** მოუწევს თამაში, რომელიც ახლახან, ბალის (მალაიზია) ტურნირის ფინალში დაამარცხა.

ამერიკელმა დემენტიევასთან შეხვედრა უხეიროდ დაიწყო - რუსმა თავიდანვე მიაღწია ბრეიკს და 3:1 დაწინაურდა. მაგრამ უამრავი შეცდომა დაუშვა და მოპოვებული უპირატესობა მალევე გაანიავა. დავენპორტმა ჯერ საპასუხო ბრეიკის აღება შეძლო, შემდეგ კი, ტაიბრეიკზე იოლად მიაღწია მიზანს.

რუსმა შეცდომებს მეორე სეტში კიდევ უფრო მოუხშირა, რაც მეტწილად დავენპორტის კარგი თამაშით იყო განპირობებული. შედეგად, ამერიკელმა მხოლოდ ერთი გეიმი დათმო და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

"ბედნიერი ვარ, რომ მოგება შევძელი. ელენა მოწოდებულ ბურთს შესანიშნავად აბრუნებს, მაგრამ მოწოდებაში მოიკოჭლებს. ამიტომ, სულაც არ ავნერვიულებულვარ, როცა მან პირველ სეტში ჩემი მოწოდება აიღო დ დაწინაურდა. ვიცოდი, რომ შანსი აუცილებლად მექნებოდა", - განაცხადა დავენპორტმა.

რუსი კი გაოცებული დარჩა იმით, რომ ამხელა პაუზის შემდეგ, მისი მეტოქე დაბრუნებისთვის ასე კარგად მოემზადა. *"საოცრებაა. ამდენი ხანი გაცდინა, ის კი ისე თამაშობს, თითქოს ერთი სეზონი არც გაუცდენია. ჩემთვის ეს ძალიან რთული შეხვედრა იყო. ლინდსი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, როცა საქმე მოწოდებული ბურთის მიღებას ეხება. მე კი მოწოდება საერთოდ არ გამომდიოდა. ასე კი ნებისმიერ მეტოქესთან თამაში ძალიან ძნელია, აღარაფერს ვამბობ ლინდსისთან თამაშზე",* - განაცხადა დემენტიევამ.

მართალია, დაიჩვალა, რომ ზედიზედ ორი ტურნირის თამაშმა ცოტა დაღალა, მაგრამ დავენპორტი მაინც საბრძოლო განწყობაზეა და ამბობს, რომ ამ ტურნირის მოგებასაც აპირებს. უფრო მეტიც, ვეცდები, სეზონის ბოლომდე ერთი თამაშიც არ წავაგოო.

რაც შეეხება იანკოვიჩს, მას საკმაოდ გაუჭირდა იაპონელი **აკიკო მორიგამის** დამარცხება. ნაწილობრივ, ეს იმის ბრალი იყო, რომ მეორე სეტის დროს, სერბმა თავი შეუძლოდ იგრძნო.

"მეორე სეტში თავი ცუდად ვიგრძენი, მაგრამ მაინც შევძელი საქმის ბოლომდე მიყვანა. ზოგჯერ მაშინაც შეიძლება მოგება, როცა კარგად ვერ ხარ. ბედნიერი ვარ, რომ ნახევარფინალში გავედი. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვის წინააღმდეგ მიწევს თამაში. თუ კორტზე გამოვდივარ, ესე იგი, მოგებას ვაპირებ", - განაცხადა იანკოვიჩმა.

მორიგი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, დავენპორტმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ სპორტს დაუბრუნდებიან ის ჩოგბურთელები, რომლებმაც სპორტი დაოჯახების გამო მიატოვეს.

"ბევრი ქალი სპორტსმენი თვლის, რომ მშობიარობის შემდეგ სპორტში დაბრუნებას აზრი არ აქვს. ჩემი მაგალითით მე საპირისპიროს ვამტკიცებ. ძალიან მინდა, რომ სხვებისთვის მისაბაძი მაგალითი გავხდე. კონკრეტულად კი, კიმ კლაისტერსის დაბრუნებას ვისურვებდი. ის ჯერ მეტისმეტად პატარაა იმისათვის, რომ სპორტიდან წავიდეს. მგონი, ის დაბრუნებაზე არ ფიქრობს, მაგრამ ვიმედოვნებ, ჩემი მაგალითი მას ოდესმე საპირისპირო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება", - ამბობს დავენპორტი და დასძენს, რომ თავიდან ძალიან გაუჭირდა ვარჯიშების განახლება, მაგრამ შვილმა მას დამატებითი ენერგია მისცა, რომელმაც ბევრი ბარიერი გადაალახვინა.

ამერიკელის თამაშით გაოცებულია კიდევ ერთი დაბრუნებული ვარსკვლავი, ასევე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისიც**. *"ლინდსის თამაშს ვუყურე და განცვიფრებული დავრჩი. მისი დაბრუნება იმედს მეც მისახავს. მართალია, მსგავსი რამ სპორტში არასოდეს მომხდარა, მაგრამ ახლა პრეცედენტი სახეზეა და ვიმედოვნებ, ამ გზას სხვებიც დაადგებიან",* - ამბობს ჰინგისი.

კარგი თამაშის მიუხედავად, დავენპორტი ამბობს, რომ ჯერაც არაა ოპტიმალურ ფორმაში. პირველ რიგში, თავის მთავარ ამოცანად წონის დაკლებას მიიჩნევს, რის შემდეგაც იმედოვნებს, რომ სისწრაფე და რეაქციაც დაუბრუნდება. უიმბლდონის, ავსტრალიისა და აშშ-ის ღიას ყოფილი ჩემპიონი პეკინის შემდეგ შინ დაბრუნდება და სეზონის ბოლომდე, მინიმუმ კიდევ ერთ ტურნირზე იასპარეზებს.

დაბოლოს, გუშინ ჩინეთის ღია პირველობას გამოეთიშა მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი, ფრანგი **ამელი მორესმო**, ვინც ვერაფერი დაუპირისპირა ჩინელი მეტოქის, **შუაი პენის** მონდომებას.

მერაბ ლორთქიფანიძე

WTA

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲐ

�პᲔᲙᲘᲜᲘ (ᲩᲘᲜᲔᲗᲘ).
II ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. ᲰᲐᲠᲓᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 600 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)-აკიკო მორიგამი (იაპ) 6-3, 7-5

შუაი პენი (ჩინ)-ამელი მორესმო (საფ, 3) 4:6, 6:4, 6:2

ლინდსი დავენპორტი (აშშ)-ელენა დემენტიევა (რუს, 4) 7-6 (7-1), 6-1

აგნუშ სავაი (უნგ, 6)-ემილია სალერნი (არგ) 6-2, 6-4

ტურ დე ფრანსი

ლენდისს ჭიჭული ჩამოართვეს

აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს საარბიტრაჟო კომისიამ განიხილა ტურ დე ფრანსის შარშანდელი ჩემპიონის, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** საქმე და დაადგინა, რომ იგი დამნაშავეა აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში. შესაბამისად, ძალაში დარჩა აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ლენდისს ფრანგული ტურის ჩემპიონის წოდება უნდა ჩამოერთვას და ის ორწლიანი დისკვალიფიკაციით უნდ დაისაჯოს.



ფლოიდ ლენდისი

ამ ცნობას, ერთ-ერთი პირველი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** გამოეხმაურა: *"ის დამნაშავედ სცნეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დოპინგთან ბრძოლის სისტემა გამართულად მუშაობს და მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ ჩავარდება. საერთო წესების წინაშე ყველა თანაბრად აგებს პასუხს"*.

რა თქმა უნდა, საპირისპიროს ამტკიცებს ლენდისი: *"ჩემი საქმის განხილვის დროს, ბევრი პროცესუალური მოთხოვნა დაირღვა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სისტემა შესაცვლელია. მე უდანაშაულო ვარ და ამ პროცესზე დავამტკიცე კიდეც ეს. თუმცა სულ სხვა გადაწყვეტილება მოვისმინე"*.

მაკქუეიდი მოვლენებს წინ უსწრებს და აცხადებს, რომ მოქმედი წესებით, ფრანგული ველომარათონის ჩემპიონად, მეორე ადგილზე გასული ესპანელი **ოსკარ პერეირო სიო** გამოცხადდება. შეგახსენებთ, რომ ბოლო ესპანელი, ვინც პერეირომდე ტურის ჩემპიონი გახდა, ლეგენდარული **მიგელ ინდურაინია**, ვინც ბოლოს ყვითელი მაისურით 1995 წლის ტურის შემდეგ შეიმოსა.

სხვათა შორის, ლენდისს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს. ამისათვის მან აშშ-ის სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლოს უნდა მიმართოს. ის ალბათ ამ უფლებას გამოიყენებს, რადგან თავადაც და მისი ადვოკატებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ჯერ კიდევ პარიზის ლაბორატორიაში, შემდეგ კი საქმის განხილვისას, უამრავი საპროცესო დარღვევა დაფიქსირდა. ლაბორატორიის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები კი ფალსიფიცირებულია.

სამუელ სანჩესი

ესპანელი **სამუელ სანჩესის** გამარჯვებით დასრულდა გუშინდელი, მე-19 ეტაპი, რომლის შემდეგაც, რუსმა **დენის მენშოვმა** კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა და პრაქტიკულად გაინაღდა კიდეც ვუელტის ჩემპიონობა.

გუშინ ველომრბოლებს ყველაზე მოკლე ეტაპი ჰქონდათ გასავლელი. სამაგიეროდ, ფინეში აღმართზე იყო და ამიტომ, ლიდერთა განლაგებაში ცვლილებაც იყო მოსალოდნელი. ცვლილება მოხდა, მაგრამ ის ოქროსფერი მაისურის მფლობელს არ შეხებია. მეორე და მესამე ადგილები ერთმანეთში გაცვალეს ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა** (ვინც წლევანდელი ტური მესამე ადგილზე დაასრულა) და ესპანელმა **კარლოს სასტრემ**. მენშოვის ჰანდიკაპი კი ორიდან სამ წუთამდე გაიზარდა. ეს კი ბოლოსწინა ეტაპის, დროზე ინდივიდუალური რბოლის წინ მეტისმეტად ბევრია, მით უმეტეს, რბოლის დისტანცია მხოლოდ 20 კილომეტრია.

ᲕᲣᲔᲚᲢᲐ

მენშოვმა ლიდერობა შეინარჩუნა

მე-19 ეტაპი. ავილადან ალტო დე აბანტოსამდე (133 კმ)

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3:37.01 (36.77 კმ/სთ); 2. დანიელ მორენო (ესპანეთი, რელაქსი) იგივე დროში; 3. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.03; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.03; 5. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.14; 6. სილვესტერ შმიდი (პოლონეთი, ლამპრე-ფონდიტალი) 0.29; 7. სტეფან გუბერი (საფრანგეთი, AG2r პრევოიანსი) 0.41; 8. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 0.49; 9. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 0.51; 10. დავიდ ლოპესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.59...

კლასიფიკაცია 19 ეტაპის შემდეგ

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 77.59.17; 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 3.49; 4. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3.58; 5. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 5.23; 6. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 5.47; 7. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 7.55; 8. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 7.58; 9. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 8.27; 10. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 10.08...

22 სექტემბერი. შაბათი

I არხი

17:55 რაგბი. მსოფლიო თასი. ინგლისი-სამოა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი (LIVE).
13:30 უკრაინის ნაკრები.
14:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
14:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 პლაჟის ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი (LIVE).
16:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:45 საფეხბურთო კლუბი.
17:30 ეფრო 2008. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-რუსეთი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლიეერპული-ბირმინგემი (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ ს (LIVE).
22:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-დერბი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მარსელი-ბეშიქთაში.
08.55 სპორტნეფორმი. ახალი ამბები.
09:10 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
09:36 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დალასი-ჩიკაგო.
11:29 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეალი-ვერდერი.
13:22 სპორტის სამყარო.
13:51 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სპორტინგი-მანჩესტერი.
16:12 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:38 სპორტკლუბი.
16:48 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
17:15 წყლის სამყარო.
17:45 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:00 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ვორსკლა-კარპატი (LIVE).
20:03 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ვორსკლა-კარპატი. მატჩის შემდეგ.
20:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:18 სპორტკლუბი.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (LIVE).
00:26 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
00:55 სპორტის ისტორია.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო-კრუზეირო (LIVE).
03:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დალასი-ჩიკაგო.
04:08 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სპორტინგი-მანჩესტერი.

EUROSPORT

08:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
10:45 მულტისპორტი.
11:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
12:15 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
15:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ინგლისი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XX ეტაპი (LIVE).
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ფინალი. I დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. ტაილანდი (LIVE).
22:45 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 85 კგ. ტაილანდი (LIVE).
00:00 ცხენოსნობა. კონკური. არეცო. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:00 ბრძოლა ნესების გარეშე.
02:45 ცხენოსნობა.
03:45 ახალი ამბები.
05:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მუაეტსპორტი.
12:30 ეეროგოლი-ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. I მატჩები.
14:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
14:45 ახალი ამბები.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
16:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
18:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ინგლისი (LIVE).
19:30 ხელბურთი. რუმინეთის სუპერთასი. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
21:30 ექსტრემალური სპორტი.
23:30 ფრისტაილი. შვეიცარიის ჩემპიონატი (LIVE).
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ხელბურთი. რუმინეთის სუპერთასი. ქალები. 1/2 ფინალი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.
02:45 ახალი ამბები.

23 სექტემბერი. კვირა

I არხი

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ამერი-მურანი (LIVE).
19:00 რაგბი. მსოფლიო თასი. შოტლანდია-ახალი ზელანდია (LIVE).

რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მარსელი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.
14:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აქსმარი-აიაქსი (LIVE).
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი (LIVE).
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ბაიერნი.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლილი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია.

SPORT 1 (უკრაინა)

07:03 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
07:25 ფეხბურთი. Barca TV.
07:37 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
09:19 სპორტდოსიე. გოლფი.
09:47 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
10:15 სპორტული ისტორია.
10:34 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
12:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
14:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შალკე-ვალენსია.
15:56 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
16:24 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რასინგი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალბაკეტი-ბარსელონა (LIVE).
00:50 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
01:17 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ბაიერნი.
03:04 სპორტდოსიე. გოლფი.
03:33 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
05:19 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
06:24 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

EUROSPORT

07:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
08:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
10:00 მულტისპორტი.
10:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. 250 cc.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი. მოტოგრან-პრი.
12:00 ცხენოსნობა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
15:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ინგლისი (LIVE).
15:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი კარტინგში. ბელგია (LIVE).
16:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ფინალი. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
18:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ინგლისი (LIVE).
19:15 ველოსპორტი. ვუელტა. XXI ეტაპი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ჩინეთი.
21:00 ნინჯოსნობა. ბაიდარები და კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. სლალომი. ბრაზილია (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. პეკინი. ჩინეთი.
23:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. ტაილანდი.
00:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 94 კგ. ტაილანდი.
01:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
01:30 ახალი ამბები.
01:45 სუმო.
02:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
03:15 ახალი ამბები.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ინგლისი.
13:30 ახალი ამბები.
13:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი.
15:30 ხელბურთი. რუმინეთის სუპერთასი. ქალები. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ინგლისი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. საერთაშორისო ტური.ესპანეთი (LIVE).
19:15 ახალი ამბები.
19:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ინგლისი (LIVE).
20:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ინგლისი.
21:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. აშშ (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. აშშ (LIVE).
23:30 ექსტრემალური სპორტი.
02:20 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. აშშ (LIVE).
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.
02:45 ახალი ამბები.

ფეხბურთი

გერმანია

ბოზუმი-აინტრახტი	0:0

II ბუნდესლიგა

ფიურთი-ალემანია	2:0
ბორუსია (დ)-აუგსბურგი	4:2
მეუნხენი-სტ. პაული	2:1
ოსნაბრიუკი-აუე	2:1
პადერბორნი-პოუენპაიმი	0:2

რეგიონალლიგა (სამ)

შტუტგარტი II-ზიგენი	2:2
ბაიერნ II-პუიულენდორფი	2:1
როიტლინგენი-მეუნხენი	1:4

საფრანგეთი

II დივიზიონი

კლერმონი-დიჟონი	3:0
პაუერ-ბრეუ	0:0
ამიენი-ბულონი	2:1
ანეერსი-მონპელიე	1:1
ბასტია-ბორდოსელი	0:0
ბრესტი-გენიონი	2:1
შაგორუ-ნიორი	1:0
რეიმსი-აიაჩო	0:0
სედანი-მინგამი	1:0

პოლანდია

ვენლო-ბრედა	1:3

II დივიზიონი

ალმაარი-ეინდჰოვენი II	1:1
დენ ჰაგი-იგლზი	1:2
დენ ბოში-ეენი	1:1
დორდრეხტი-ვალვიკი	0:1
ვოლენდამი-ჰაარლემი	1:0
ცვოლე-ბოს ოსი	1:0
ფორტუნა-ომენეორდი	3:1
ალმერეი-ბელსბარი	2:1
როტერდამი-მაასბრიხი	1:2
ვენლოდამი-ალმელოორი	5:1

პორტუგალია

ნაციონალ-ბიგარაენი	1:4

ფინეთი

ჰაკა-ჯგს	3:0

შვეიცარია

ჩემპიონატი

ლიუკერნი-ფოლენი	2:0
ლოკარნო-ივერდონი	1:5
ბაზელ-ბელინზონა	5:1

II დივიზიონი

შვალორფი-ლეობენი	2:2
აუსტრია II-ბრაგფორნი	0:0
ლუზენეუ-შვანენშტადი	1:0
ალტენბერგი-ბად ოსი	3:1
კერნგენ-ზალცბურგი II	0:1

თურქეთი

ანკარაგიუჯუ-ისთანბული	1:0
მანიზა-ბრაბზონი	1:1

ირლანდიის თასი

დერი-დუბლინი	0:1

რუსეთი

ხიმკი-როსტოვი	1:0

უკრაინა

ნაფტოვიკი-მეტალურგი (ლ)	2:2

პოლონეთი

კორონა-ლეგია	1:0

უნგრეთი

ბაბანანა-დიოშდიორი	2:2
პინეული-ზალაეგერშეგი	2:1

პოკერი

რუსეთი

მეტალურგი (ნ)-ცსკა	2:4
სიბირი-ბორეელი	2:1

გერმანია

აუგსბურგი-აისბარენი	4:9
ბამბერგი-ფრანკფურტი	2:2
იზერლონი-დუისბურგი	3:0
კიოლნი-ინგოლშტადტი	5:2
კრეფელდი-დიუსელდორფი	2:2
მანჰაიმი-ბაიერნი	5:1
შტრაუბინგი-ნიურნბერგი	2:1

სლოვაკეთი

ჟილინა-სლოვანი	5:5
ზოლენი-ბარბინი	2:2
მიკულაში-სლოვაკეთი (ახ)	7:4
პოპრადი-ბრეზნიკი	4:6
სალიცა-კოშიცა	1:2
ნიტრა-კოშიცე	3:2

ფინეთი

ილვესი-სეინაჯოკი	2:2
ჰიუკ-ჰიკეო	3:3
ვიბორგიცე-ლოვანი	2:2
ჟლინი-ზნოიმო	2:2
კარლოვი ვარი-ლაპეა	5:5
ლიბერეცი-სპარტა	2:2
ლიბეინოვი-ბრნინეცი	4:2
ბუდეიოვიცე-პარდუბიცე	5:3

შვეიცარია

ამბრი-ცუგი	4:2
ბაზელი-სერვეტი	3:5
ბერნი-ლუგანო	3:3
ლანგნაუ-დავოსი	6:3
რაპერსვილი-ფრიბურგი	2:3

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

ბულგარეთი-ჩეხეთი	2:3
ხორვატია-საფრანგეთი	1:3
გერმანია-აზერბაიჯანი	3:0
პოლანდია-სლოვაკეთი	3:0
პოლონეთი-ესპანეთი	3:0
რუსეთი-თურქეთი	3:0

ჩოგბურთი

WTA. კოლაბა

კორიტცევა-პუტჩეკი	6:4, 6:2
ობზილერი-კეოტავონგი	1:6, 3:6
კირილენკო-პენეტა	6:3, 6:1
ჰანტუხოვა-ჩანი	6:4, 6:1

WTA. პეკინი

დავენპორტი-დემენტიევა	7:6, 6:1
შავაი-სალერნი	6:2, 6:4
იანკოვიჩი-მორიგამი	6:3, 7:5
მორესმო-პენგი	6:4, 4:6, 2:6

WTA. პორტორეკი

ზვონარევა-დუშევინა	4:6, 6:3, 6:7
გოლოვინი-ტუ	6:3, 6:2
სრებოტნიკი-ლუა	6:3, 6:3
ბამერი-დულკო	6:7, 6:1, 1:6

დევისის თასი

1/2 ფინალი

რუსეთი-გერმანია	**1:1**
ანდრეევი-ჰაასი	6:2, 6:2, 6:2
დავიდენკო-კოლშრაიბერი	7:6, 2:6, 2:6, 6:4, 5:7
შეერთებული ამერიკა-აშშ	**1:1**
ი. იოჰანსონი-როდიკი	6:7, 6:7, 3:6
ტ. იოჰანსონი-ბლეიკი	6:4, 6:2, 3:6, 6:3

კალათბურთი

მილუოკიმ ბელი შეინარჩუნა

ESPN-ის ხნის ვწერდით იმის შესახებ, რომ "მაიამი ჰიტმა" "მილუოკი ბაქსის" მცველ **ჩარლი ბელს** ხუთნლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 18.3 მილიონი დოლარი შესთავაზა. NBA-ში მოქმედი წესების თანახმად, თუ ბელის ამჟამინდელი კლუბი, "მილუოკი" შვიდი დღის განმავლობაში არ შესთავაზებდა კალათბურთელს ანალოგიურ პირობებს, ჩარლი "მაიამის" საკუთრება გახდებოდა.

"ბაქსის" ხელმძღვანელობამ კალათბურთელის შენარჩუნება გადაწყვიტა, "მაიამის" ნაბიჯი გაიმეორა და ზუსტად იგივე პირობები შესთავაზა ბელს. ასე რომ, ეს მცველი "მილუოკის" შემადგენლობაში დარჩება.

28 წლის ბელმა გასულ სეზონში 82 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 13.5 ქულა, 3 შედეგიანი გადაცემას, 2.9 მოხსნასა და 1.2 ჩაჭრას აგროვებდა.

ქადრაკი

პირველი წრე ანანდმა მოიგო

VII ტური. **ანანდი** (ინდოეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 1:0; **კრამნიკი** (რუსეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 0.5:0.5; **სვიდლერი** (რუსეთი)-**არონიანი** (სომხეთი) - 0.5:0.5; **ლეკო** (უნგრეთი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) - 0.5:0.5.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ანანდი - 5 ქულა; 2. გელფანდი - 4.5; 3-4. გრიშჩუკი, კრამნიკი - 4; 5-6. ლეკო, არონიანი - 3; 7-8. სვიდლერი, მოროზევიჩი - 2.5.

კრივი

უილიამსონი კლიჩკოს ნაცვლად

როგორც ცნობილია, 6 ოქტომბერს ამერიკელი **ჯამილ მაკლეინისა** და უკრაინელი **ვიტალი კლიჩკოს** საჩემპიონო ბრძოლა უნდა გამართულიყო. მაგრამ შეხვედრისთვის მზადების პროცესში, უფროსმა კლიჩკომ ტრავმა მიიღო და რინგზე გასვლისგან თავი შეიკავა.

გუშინ, ცნობილი გახდა, რომ ამ ბრძოლაში ვიტალის თავისივე სპარინგპარტნიორი, ამერიკელი სუპერმძიმეწონოსანი **დავარილ უილიამსონი** შეცვლის.

"როცა გერმანიაში ჩავედი და ვიტალი კლიჩკოს სპარინგპარტნიორის ფუნქციებს ვასრულებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჯამილ მაკლეინის წინააღმდეგ ბრძოლა მე მომიწევდა. გერმანიაში ძალიან მომეწონა - იქ კარგი პირობები შემიქმნეს. სესიების დროსაც სრულად ვიხარჯებოდი, რათა ვიტალი არ დამელალატებინა. მაგრამ როცა გაირკვა, რომ მაკლეინთან ჩხუბი მე მიწევდა, მივხვდით, რომ გერმანიაში ამ ბრძოლაზე ორ ბილეთსაც ვერ გავყიდდით. ამიტომაც მოხარული ვარ, რომ ჩვენი შეხვედრა ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება", - განაცხადა დავარილმა.

უილიამსონმა ისიც განაცხადა, რომ კლიჩკოსთან ერთად ვარჯიშმა მასზე დადებითად იმოქმედა და ის მზად არის მაკლეინის დასამარცხებლად.

ვის დარჩება მსოფლიო ჩემპიონატი?

სამოყვარულო კრივში 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე ორი ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან იტალია და სამხრეთი კორეა. ორივე ქვეყნის კრივის ფედერაციამ ბოლო წამს შეიტანა ამ ტურნირის მასპინძლობაზე განაცხადი.

თავდაპირველად, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზების სურვილი ტრინიდადს, კამერუნსა და უზბეკეთსაც ჰქონდათ, მაგრამ მათ აღარ შეიტანეს საერთაშორისო ფედერაციაში შესაბამისი განაცხადი.

იტალიასა და სამხრეთ კორეას შორის არჩევანს კი, 21 ოქტომბერს, ჩიკაგოში გასამართი 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ გააკეთებენ.

ფორმულა 1

ფერარიმ ტესტპილოტი იპოვნა

იტალიური პრესის ინფორმაციით, მომავალ წელს "ფერარის" ახალი ტესტპილოტი ეყოლება. ეს გახლავთ 22 წლის **ლუკა ფილიპი**.

2008 წელს, ახალგაზრდა ავტომობილი პარალელურად GP2-ის სერიაში გააგრძელებს გამოსვლას - აქ ის გუნდ ART Grand Prix-ის ღირსებას დაიცავს.

სავარაუდოდ, ფილიპი "ფერარის" მეორე ტესტპილოტი იქნება, პირველ ნომერს კი, იტალიელი **ლუკა ბადოერი** შეინარჩუნებს.

სპაიკერი გაიყიდა

ჰოლანდიურმა კონცერნმა "სპაიკერმა" ფორმულა 1-ში თავისი საჯინიბოს გაყიდვაზე ინდოელ ბიზნესმენ **ვიჯაი მალიასთან** შეთანხმებას მიაღწია. საგენტო "როიტერის" ცნობით, ეს უკანასკნელი "სპაიკერის" სანაცვლოდ 123 მილიონ დოლარს გადაიხდის.

მალია UB Group-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე და საკონტროლო აქციათა პაკეტის მფლობელია. ეს კომპანია ინდოეთში ალკოჰოლური სასმელების წარმოებითა და საავიაციო ბიზნესით არის დაკავებული.

"სპაიკერის" აქციონერები 29 სექტემბერს უყრიან კენჭს გუნდის გაყიდვას.

ოლიმპიზმი

ოლიმპიური ჩირაღდანი ტაივანს გვერდს აუვლის

ტაივანის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2008 წლის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა მათ კუნძულზე არ გაივლის. ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და ის აღარ შეიცვლება.

ამ ფაქტის მიზეზი გახდა ის, რომ შედეგი ვერ გამოიღო ჩინეთთან სხვადასხვა საკითხზე ექვსთვიანმა მოლაპარაკებებმა. კერძოდ, ტაივანი ითხოვდა პეკინის ოლიმპიადაზე საკუთარი დროშისა და ჰიმნის გამოყენებას, რაც ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას გაუსვამდა ხაზს. ჩინეთი კი, ჯიუტად მოითხოვდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესების დაცვას, რომელიც თამაშებზე ტაივანის სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენებას ზღუდავს.

ტაივანმა თავიდანვე არ მოიწონა ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტი, რომელსაც ტეიბეიზე უნდა გაევლო. ქვეყნის ხელმძღვანელთა აზრით, ამით ტაივანი ჩინეთის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლებოდა.

ველოსპორტი

ბოონენი მსოფლიოზე არ იქნება

ცნობილი ბელგიელი ველომრბოლი **ტომ ბოონენი** საგზატკეცილო ველორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატს გამოტოვებს. ამის მიზეზი მუხლის ტრავმა გახლავთ. ეს ინფორმაცია ბელგიელის გუნდის, "ქუიქ სტეპის" პრესცენტრმა გაავრცელა.

ბოონენს, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი ორი წლის წინ მოიგო, ზურგის ტრავმაც აწუხებს, რის გამოც მან ვუელტაზე გამოსვლაც არ ისურვა. მიუხედავად ამ ტრავმებისა, ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ბომანსმა** მაინც შეიყვანა ველომრბოლი ათკაციან შემადგენლობაში და ბოონენი მსოფლიო პირველობაზე მაყურებლის როლში გაემგზავრება.

მსოფლიო ჩემპიონატი შტუტგარტში 26 სექტემბერს დაიწყება.

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

ფერარი ჩემპიონად გამოცხადდა

"მაკლარენის" ხელმძღვანელობამ არ გამოიყენა აპელაციის უფლება, რითაც შეეძლო საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მოტორ სპორტის საბჭოს მიერ გამოტანილი მძიმე სასჯელის გასაჩივრება. ამის თაობაზე, ფია-ს ხელმძღვანელობას წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა ინგლისური საჯინიბოს შეფმა **რონ დენისმა**, რის შემდეგაც, კონსტრუქტორთა პირველობის გამარჯვებულად იტალიური "ფერარი" გამოცხადდა.

"ჩვენ კარგად გავაანალიზეთ მომხდარი და გუნდის აქციონერებთან და თანამფლობელებთან მოთათბირების შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ ავტოსპორტისთვის უმჯობესი იქნება, თუ ფია-ს გადაწყვეტილებას არ გავასაჩივრებთ და საქმეს კიდევ უფრო არ გავწელავთ. ამგვარად, ჩვენ უარს ვამბობთ, გამოვიყენოთ ჩვენივე უფლება", - ნათქვამია გუნდის ოფიციალურ განცხადებაში.

დენისის განცხადებით, მისი გუნდის ინტერესებში ამ ამბის რაც შეიძლება ჩქარა დავიწყებაა. *"ჩვენ პირად ჩათვლაში ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ამ საქმის განახლება ფსიქოლოგიურად უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს პილოტებსა და მთლიანად გუნდზე. "მაკლარენის" მიზანი რბოლების და ჩემპიონატების მოგებაა. ჩვენ უამრავი გამამხნევებელი გამოხმაურება მივიღეთ გუნდის ფანების, სპონსორებისა და პარტნიორებისგან. მათი უმეტესობა თვლის, რომ უმჯობესი იქნება, თუ მთელ ჩვენს რესურსებს რბოლებისკენ მივმართავთ და დროს აღარ დავკარგავთ კულუარულ ბრძოლებში. ჩვენი მიზანი დარჩენილი სამი რბოლის და ჩემპიონატის მოგებაა"*, - განაცხადა რონ დენისმა.

შეგახსენებთ, რომ მოტორ სპორტის საბჭოს განსჯით, "მაკლარენს" მეტოქე "ფერარის" ტექნიკური ინფორმაციის არალეგალური ფლობა და ნაწილობრივ გამოყენება დაუმტკიცდა, რის გამოც, გუნდი კონსტრუქტორთა პირველობიდან მოიხსნა და მას 100 მილიონი დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

კონსტრუქტორთა პირველობიდან "მაკლარენის" მოხსნის შემდეგ, ლიდერობა "ფერარის" ხელში გადავიდა, რომელსაც 161 ქულა აქვს. 90 ქულით მეორეზე "ბეემვე ზაუბერია". დარჩენილ სამ რბოლაში კი მაქვიმუმ 54 ქულის მოპოვებაა შესაძლებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იტალიური საჯინიბო მეტოქეებისთვის მიუწვდომელია.

რაც შეეხება პირად ჩემპიონატს, გუნდის პილოტების, ჩემპიონატის ლიდერ **ლუის ჰემილტონისა** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს** მიმართ არანაირი სანქცია არ იქნა მიღებული. ბელგიური რბოლის შემდეგ, ჩემპიონატს კვლავ ჰემილტონი ლიდერობს, ვისაც ორი ქულითღა ჩამორჩება ალონსო. მესამეზე "ფერარის" **კიმი რაიკონენია**, ვინც ლიდერს 13 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონობის მიზერულ შანსებს ჯერაც ინარჩუნებს.

ჩემპიონატის მორიგი ეტაპი იაპონიის ავტოდრომ "ფუძიზე", 30 სექტემბერს ჩატარდება.

ფორმულა 1. მაკლარენი

დენისი ალონსოს არ ელაპარაკება

ადრე ამაზე ჭორები დადიოდა, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მოტორ სპორტის საბჭოს წინაშე გამოსვლისას კი "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ უნგრეთის რბოლის შემდეგ, არანაირი ურთიერთობა არ აქვს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოსთან**.

როგორც ირკვევა, მათ შორის ურთიერთობა გაცილებით ადრე გაცივდა, ვიდრე ალონსო მასა და "მაკლარენის" ესპანელ ტესტპილოტ **პედრო დე ლა როსას** შორის გამართულ სატელეფონო საუბრებსა და მიმოწერას გააცნობდა.

"ჩემსა და ალონსოს შორის ურთიერთობა უკიდურესად ცივია. უფრო მეტიც, ეს კიდევ რბილად ნათქვამია. მას ჰგონია, რომ საქმისადმი ჩვენი მიდგომა, რომელიც ორივე პილოტისთვის თანაბარი სტატუსის მინიჭებას ემყარება, მისადმი, როგორც მსოფლიო ჩემპიონისადმი, არასამართლიანია. მას მიაჩნია, რომ იმ გამოცდილების სანაცვლოდ, რაც მან გუნდში მოიტანა, თანაგუნდელთან შედარებით, მაღალი სტატუსი ეკუთვნის", - ჰყვება დენისი.

მისი თქმით, ალონსო მეტისმეტად გაცხარებულა და როცა თავისი ვერ გაიტანა, დენისს განუცხადა, რომ მას გააჩნია ინფორმაცია, რომელიც "სპაიგეიტის" საქმეში შეიძლება გამოყენებულ იქნას "მაკლარენის" წინააღმდეგ.

"როგორც კი ყოველივე განმიცხადა, მაშინვე ვუთხარი - "სტოპ". გავედი, მარტინ უაიტმარში მოვძებნე, მოვიყვანე და ალონსოს ვთხოვე, რომ ყველაფერი გაემეორებინა. ალონსომ მოყოლა რომ დაამთავრა, მარტინს მივუბრუნდი და ვკითხე, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. მან მიპასუხა, რომ მაქს მოსლის (ფია-ს პრეზიდენტი) უნდა დავლაპარაკებოდით", - იხსენებს დენისი.

"რა თქმა უნდა, მაქსი ვნახე და ყველაფერი მასაც მოვუყევი. მაქსთან საუბრისას ძალიან განერვიულებული ვიყავი. მან მირჩია, დავმშვიდებულიყავი. მოგვიანებით, რბოლის წინ, ალონსოს მენეჯერი ჩემთან მოვიდა და განმიცხადა, რომ ფერნანდო ზედმეტად გაცხარდა და ყველაფერს ნანობსო". რბოლის შემდეგ, ალონსოს დენისისთვის პირადადაც მოუბოდიშებია.

ამ ინციდენტიდან ერთი თვის შემდეგ კი, ფია-მ პილოტებს წერილები დაუგზავნა და გამოძიებასთან თანამშრომლობა მოსთხოვა, რის შემდეგაც ალონსომ მისი და დე ლა როსას შორის მიმოწერა ფია-ს გაუგზავნა.

საქმის განხილვაზე, დენისმა თავისი ორივე პილოტი მიიწვია. მაგრამ პარიზში მხოლოდ **ლუის ჰემილტონი** ჩავიდა, ალონსომ კი ბელგიაში ჩასვლა და იქაური რბოლისთვის მომზადება ამჯობინა.

"მისტერ ალონსო აქ არ არის იმის გამო, რომ არ სურს აქ ყოფნა. ის გუნდშიც თითქმის აღარავის ელაპარაკება. მე მისთვის აქ ჩამოსვლა არ დამიძალებია. უბრალოდ, გუნდის სახელით, საქმის განხილვაზე დასწრება შევთავაზე", - ამბობს დენისი.



ალონსო (მარცხნივ) დენისს (მარჯვნივ) აღარ ელაპარაკება

ეროვნული სპორტული გაზეთი

სპორტული გაზეთი

განახლებულია
გადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაყიდვების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაჩარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გაზეთ ქვირისა